"კი ბატონო, ვიომოთ" A3 | მონადირე A8 | "ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 5 თებერვალი, 2003 წელი. №34 (246) | ფასი 50 თეთრი

ფარსი ძალადობით

გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეს მიმართულებას შეგნებულად უცვლიან

თავდასხმა ჟურნალისტ თიკო ფეიქრიშვილზე.

ინგა ალავიძე
ხათუნა ჭანგირაშვილი

2001 წლის 26 ივლისს, გიორგი სანაიას მკვლელობის ღამესვე საზოგადოება მკვლელობის მოტივზე ალაპარაკდა, ეს იყო ვერსია შეკვეთილი პოლიტიკური მკვლელობის შესახებ. ამ ვერსიას ხელისუფლებაც იზიარებდა:

"გიორგი სანაიას მკვლელობა ეროვნული უბედურებაა. დღეს მე სიმშვიდისკენ არავის მოვუწოდებ, რადგან ვერ დამშვიდდები ამ უბედურების ფონზე. გიორგი სანაიას მკვლელობა – კაენის ცოდვა მიუტევებელია. მკვლელობა უნდა გაიხსნას! დაუშვებელია აბსურდული ვერსიების გავრცელება..." – განაცხადა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. თუმცა, ცოტა მოგვიანებით, ქვეყნის პირველმა პირმა შეფასება შეცვალა: **"მაქვს ინფორმაცია, რომ მკვლელობა საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მოხდა."**

გაგრძელება A7 გვერდზე

საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუცია დაარღვია

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის თანახმად, "საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს". გუშინ გამართულ დეპუტატთა თავყრილობაზე, რომელიც, თავდაპირველად, ბიუროს სხდომად იყო ჩაფიქრებული, მართალია, სესიის გახსნის შესახებ განცხადება გაკეთდა, მაგრამ მას არ შეიძლება იურიდიული ძალა ჰქონდეს - კვორუმის არარსებობის გამო (ბიუროს 20 წევრიდან შეკრებას ესწრებოდა 16) ბიუროს სხდომა ვერ ჩატარდა და დეპუტატების შეკრება "ფრაქციათა შეხვედრად" მოინათლა. აქედან გამომდინარე, საგაზაფხულო სესია გუშინ კანონიერად არ გახსნილა, ამით კი საკონსტიტუციო მოთხოვნა არ შესრულდა.

კონსტიტუციური დარღვევის ფაქტს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარე გოჩა პაიჭაძეც ადასტურებს. იგივეს აცხადებენ როგორც ოპოზიციის, ასევე სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლებიც - კოტე კემულარია, ფიქრია ჩიხრაძე, ზეზვა ღუღუნიშვილი და სხვები. თითქმის ერთადერთი დეპუტატი, ვინც ბოლომდე იცავს პარლამენტის ღირსებას, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე როსტომ დოლიძეა. მისი თქმით, თებერვლის პირველ სამშაბათს საგაზაფხულო სესია თავისთავად იხსნება და ამას პარლამენტის დასტური არ სჭირდება (ამ შემთხვევაში, გაუგებარია, მაშინ რატომ დასჭირდა გუშინდელი ე.წ "ბიუროს სხდომის" წამყვანს ვახტანგ რჩეულიშვილს საზეიმო ვითარებაში სესიის გახსნა).

გაგრძელება A2 გვერდზე

ხელისუფლება გადარჩენის გზებს ეძებს

ეკა კვესიტაძე

ორი დღის წინ "ახალი მემარჯვენეების" ოფისში განხორციელებულმა თავდასხმამ ოპოზიციისგან ერთგვაროვანი დახასიათება მიიღო – ეს იყო ტერორი ხელისუფლების მხრიდან. მოსაზრება, რომ ასეთ ნაბიჯებზე წასვლა ხელისუფლებისთვის ხელსაყრელი არ არის - პირიქით, ის კიდევ უფრო ანგრევს მის იმიჯს, მაშინ როცა ხელს უწყობს ოპოზიციის რეიტინგის ზრდას - აბსოლუტურად ლოგიკურია და ერთი შეხედვით ხელისუფლებაც ამ ლოგიკით უნდა მოქმედებდეს. თუმცა, ამაში დაეჭვების საფუძველს ადგილობრივი არჩევნების წინ ჟვანიას წინააღმდეგ ჩატარებული კამპანია იძლევა. მაშინ ხელისუფლებამ გაუთვლელი და ხისტი ნაბიჯებით პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის წარმატებაში თითქმის გადამწყვეტი როლი შეასრულა.

ამიტომ, გარანტიებს, რომ ხელისუფლება ოპოზიციასთან ურთიერთობის გაგრძელებას იგივე ტაქტიკით არ შეეცდება, საღი ლოგიკა აღარ იძლევა. სამაგიეროდ, კანცელარიის შემართებისა და ურყევი სურვილის სახით უკვე არსებობს იმის გარანტია, რომ ამ არჩევნების მოსაგებად სახელისუფლო პარტია ყველაფერზე წავა.

დიდი ხანია, რაც სახელმწიფო მინისტრი საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლაზე და არჩევნების დემოკრატიულ ჩატარებაზე საუბრობს. ამ თემას ჯორბენაძემ არასამთავრობო ორგანიზაციებთან არაერთი შეხვედრა მიუძღვნა და ამ მიზნით რამდენიმე დღის წინ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსსაც შეხვდა. სახელმწიფო მინისტრის პათოსი ყველა შეხვედრაზე უცვლელია

გაგრძელება A3 გვერდზე

პოლიტიკა

ოპოზიცია საერთო შტაბს ქმნის

ორშაბათის თავდასხმამ "ახლების" ოფისში იმაზე მეტი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი მიიყვანა, ვიდრე, თავის დროზე, ედპ-ს ოფისში შეიკრიბნენ პოლიტიკაში ძალადობის წინააღმდეგ დეკლარაციაზე ხელმოსაწერად.
გუშინ ოპოზიცია დახურულ კარს მიღმა შეიკრიბა. შეხვედრაზე გახმოვანდა იდეა ოპოზიციის "აღმასრულებელი ორგანოს" შექმნის შესახებ.

A2

ეკონომიკა

ვაკე-საბურთალოს პროკურატურამ „გძბ„-ის ხელმძღვანელების წინააღმდეგ საქმე აღძრა

“ახლა დაიწყება საქმის გამოძიება, დაიკითხებიან მოწმეები და ეჭვმიტანილები და შეიძლება, ვანო ჩხარტიშვილამდეც მივიდნენ”, - განაცხადა ეკა ბესელიამ.

A4

უცხოეთი

ბუშის ადმინისტრაციისთვის საქართველო კვლავ პრიორიტეტულ ქვეყნად რჩება

3 თებერვალს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 2004 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოადგინა. ახალი პროექტი ცხადყოფს, რომ ბუშის ადმინისტრაცია საქართველოს სამხრეთ კავკასიაში კვლავ ყველაზე მნიშვნელოვან სახელმწიფოდ მიიჩნევს.

A5

საზოგადოება

არჩევნები სკოლიდან უნდა დაიწყოს

“მუნიციპალური სკოლების საქმეში არაფერია პარტიზანული და ანარქისტული. ეს არის განათლების კანონის მოთხოვნის, პრეზიდენტის ანტიკორუფციული ბრძანებულებისა და იმ მითითებების შესრულება, რომელსაც განათლების მინისტრი არ ასრულებს. ამ შემთხვევაში ჩვენ პრეზიდენტის სურვილს ვასრულებთ”, - ამბობს “თავისუფლების ინსტიტუტის” თანამშრომელი ლევან რამიშვილი.

A6

სამართალი

საიუველირო მაღაზიის ქურდს კატა შეეწინააღმდეგება

როგორც ოსოიანი იხსენებს, ერთადერთი პრობლემა კატას შეუქმნია, რომელიც ჩნაოდა, საკბენად იწვევდა და გასვლის საშუალებას არ აძლევდა.

A7

ამინდი

თბილისი	10
ქუთაისი	12
ბათუმი	12
სოხუმი	10
ფოთი	11
თელავი	8
ზუგდიდი	11
გორი	6
ახმეტა	8
ჭიათურა	9
გაბრა	9
სამტრედია	12

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1869
ევრო	2.3400
გირვანქა სტერლინგი	3.5911
რუბლი	0.0687

ყოველი არგამოცხადება - მილიონნახევარი ლარი

საკრებულო პოლიციას ემუქრება

სოფო ბუკია

საკრებულოში გუშინ დედაქალაქის ძალოვნებს ელოდნენ. თბილისის პოლიციის შეფს ლევან მაისურაძეს ქალაქში შექმნილი კრიმინოგენული სიტუაცია საკრებულოს წევრებთან ერთად უნდა განეხილა. მაისურაძეს “ახლების” ოფისის დარბევაზეც მოუწევდა ორიოდე სიტყვის თქმა. დეპუტატთა მოუთმენელი ლოდინის მიუხედავად, ძალოვნები სხდომაზე არ გამოცხადდნენ. მიხეილ სააკაშვილის ინფორმაციით, მაისურაძეს საკრებულოში მისვლა შინაგან საქმეთა მინისტრმა აუკრძალა.

ძალოვანთა დასჯას საკრებულო ეკონომიკური სანქციებით აპირებს. შესაძლოა, თბილისის პარლამენტში ყოველი არმისვლა სამართალდამცავებს მილიონნახევარი ლარი დაუჯდეთ. **“თბილისის ბიუჯეტიდან მილიონ ნახევარი ლარი დედაქალაქის პოლიციას ერიცხება, ყოველი აქ არგამოცხადება ძალოვნებს ამ თანხად დაუჯდებათ,”** – იმუქრება საკრებულოს თავმჯდომარე.

ამის შემდგომ, ფრაქცია “აღორძინება-თბილისის” წევრმა დავით იოსელიანმა ძალოვნებისთვის განკუთვნილი დროის მიზნობრივად გამოყენება გადაწყვიტა და სხდომაზე საკრებულოს მდივნის, ზურაბ ჟვანიას იმპიჩმენტის საკითხი წამოჭრა. ჟვანიას ცოდვად იმ პარტიის წევრობა ჩაეთვალა, რომელიც “ანტიდემოკრატიული” საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის. “ლეიბორისტებმა” უკვე აფრინეს პარლამენტში ახალგამომცხვარი კანონპროექტი, სადაც აღნიშნულია, რომ **“პოლიტიკური გაერთიანება, რომლის პარტიული სიითაც იქნა არჩეული საკრებულოს წევრი, ნებისმიერ დროს უფლებამოსილია საკრებულოდან გაიწვიოს საკრებულოს წევრი”**.

ამ კანონპროექტის თანახმად, ამჟამინდელი საკრებულოდან გამოწვევის პერსპექტივა რვა დეპუტატს ემუქრება, მათ შორის, ხუთი “ლეიბორისტია” და სამიც “აღორძინების” ყოფილი წევრი.

გარდა ამისა, “ლეიბორისტთა” ლიდერმა ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში თბილი სიტყვებით მოიხსენია სტალინი. **“თქვენ სტალინის მოტრფიალეთა პარტიიდან ბრძანდებით,”** – არაერთხელ წამოაძახეს გუშინ ჟვანიას, რომელიც თავს იმართლებდა, ჩვენს პარტიაში ძალიან ბევრია რეპრესირებულთა ოჯახებიდანო.

ზურაბ ჟვანის იმპიჩმენტი მისაღებელი აღმოჩნდა ერთ დროს ნათელაშვილის თანამებრძოლ ჯუმბერ შენგელიასთვის, რომელმაც ყოფილი თანაპარტიელები “საკრებულოს მუშაობის ხელისშემშლელებად” მონათლა.

“ლეიბორისტებმა” იოსელიანის ინიციატივაში “ვიღაცის” პოლიტიკური დაკვეთა ამოიკითხეს. **“რა თქმა უნდა, მხოლოდ იმიტომ**

გაგრძელება A2 გვერდზე

ჩრდილოეთ კორეამ ერთ თვეში შეიძლება ატომური ბომბი შექმნას

შეერთებული შტატების მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება კორეის ნახევარკუნძულის სიახლოვეს მძიმე ბომბდამშენების ბ-1-ის და ბ-52-ის გადასროლის შესახებ. ჩრდილოეთ კორეის მთავრობა მაშინვე გამოეხმაურა ამ ნაბიჯს და მას “ბოროტების პოლიტიკა” უწოდა.

ნახევარკუნძულზე ვითარება კვლავ დაძაბული რჩება. ამერიკული წყაროების ცნობით, კოსმოსური თანამგზავრებიდან გადაღებული ფოტოები ცხადყოფს, რომ კორეამ ბირთვულ რეაქტორში გადამუშავებული ურანის შეტანა დაიწყო. ამგვარი ურანიდან შესაძლებელია პლუტონიუმის მიღება, რომელიც ატომური ბომბის დასამზადებლად გამოიყენება. ექსპერტების აზრით, თითოეული ბომბის დამზადებას დაახლოებით ერთი თვე სჭირდება. სულ კი ფხენიანის ოდიოზურ რეჟიმს ექვსამდე ბომბის დამზადება შეუძლია.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დირექტორმა, მოჰამედ ელ-ბარადეიმ, რომლის უწყებაც ბოლო დრომდე ახდენდა კორეის ბირთვული პროგრამის მონიტორინგს, განაცხადა, რომ მას მეტი აღარაფრის გაკეთება არ შეუძლია და ახლა საქმის გაეროს უშიშროების საბჭოსათვის გადაცემას აპირებს.

გამომდინარე იქიდან, რომ უშიშროების საბჭოს წევრი ყველა ქვეყანა, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები კორეის კრიზისის დიპლომატიური გზით გადაჭრის მომხრეა, ვარაუდობენ, რომ საბჭო მხოლოდ დაგმობს ჩრდილოეთ კორეის მთავრობას და თავს შეიკავებს მისი

გაგრძელება A5 გვერდზე

ფინანსთა სამინისტრო იანვრის ბიუჯეტის გარღვევას უარყოფს

სოფიკო ოხანაშვილი

გუშინ ფინანსთა სამინისტროში სპეციალური ბრიფინგი გამართა მინისტრის მოადგილემ ლევან ჩრდილელმა. მან უარყო ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაცია 2003 წლის იანვრის ბიუჯეტის 40 მილიონი ლარით გარღვევის შესახებ. **“არანაირ გარღვევას ადგილი ჯერ არ ჰქონია. ამ ეტაპზე რაიმე დასკვნების გაკეთება არ შეიძლება, სანამ არ მოხდება ხაზინისა და ეროვნული ბანკის შემოსავლების პარამეტრების შედარება და სანამ ოფიციალურ, დაზუსტებულ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური არ გამოაქვეყნებს. რის საფუძველზე აკეთებენ ასეთ დასკვნებს, ჩემთვის წარმოუდგენელია”,** - განაცხადა ლევან ჩრდილელმა. მისივე თქმით, ფინანსთა სამინისტრო ოფიციალურ ინფორმაციას გამოაქვეყნებს პარამეტრების დადასტურებისთანავე, რვა თებერვალს. ჩრდილელი დარწმუნებულია, რომ 2003 წლის პირველი თვის ბიუჯეტი შესრულდება. ფინანსთა სამინისტროს წინასწარი ოპერატიული მონაცემებით, 2003 წლის ბიუჯეტის იანვრის საგადასახადო შემოსავლების ნაერთი პარამეტრის შესრულებამ (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საპროგნოზო მონაცემების გათვალისწინებით) 76 მილიონი ლარი შეადგინა, რაც გასული წლის იმავე მონაცემებზე ორი მილიონი ლარით მეტია. **“რატომ არ იყო უფრო დიდი მატება, ამას ვერ**

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 მონადირე

B2 კულტურა | B3 ანკეტა | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 განცხადებები | B7 სტილი | B8 სხვადასხვა

თბილისის მოსახლეობას ელექტროენერგიის ტარიფი 1.3 თეთრით გაუიაფდა

საქართველოს პრეზიდენტმა 2002 წლის 11 ნოემბერს (N1417) და 27 ნოემბერს (N1477) გამოსცა განკარგულებები, რომელთა თანახმადაც სახელმწიფო თბილისის მოსახლეობას ელექტროენერგიის ტარიფის ზრდით გამოწვეული ხარჯების სუბსიდირებას ჰპირდებოდა. ორივე განკარგულებით გათვალისწინებული თანხა, 7.8 მილიონი ლარი, "ეი-ი-ეს თელასმა" 2003 წლის იანვრის ბოლოს მიიღო.

მოსახლეობამ თითოეულ კილოვატ-საათზე 1.3 თეთრის ოდენობის სუბსიდია მიიღო. ეს ნიშნავს, რომ 2002 წლის 1 ნოემბრიდან თითოეული მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხა გადაანგარიშებულია და განსხვავება ძველსა და ახალ ტარიფებს შორის ასახულია "ეი-ი-ეს თელასის" ბარათზე.

"ეი-ი-ეს თელასის" მონაცემთა ბაზის სპეციფიკიდან გამომდინარე, ტარიფის სუბსიდია აისახა მხოლოდ ამა წლის 23 იანვრის შემდეგ მიღებულ ქვითარში. ასე რომ, თუ ქვითარი 23 იანვრამდე მიიღეთ და ამ ქვითარში არ არის გატარებული თქვენი კუთვნილი სუბსიდია, ეს არ ნიშნავს, რომ სუბსიდია არ მიგიღიათ - მომდევნო თვის ქვითარში 1 ნოემბრიდან მოხმარებული ელექტროენერგიის ტარიფის სუბსიდია სრულად აისახება.

ოპოზიცია საერთო შტაბს ქმნის

"ახალ მემარჯვენეებზე" თავდასხმა ახალი ბიძგი გახდა ოპოზიციისთვის, რომელმაც დიალოგი ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს სწორედ პოლიტიკაში ძალადობის წინააღმდეგ გამოსვლით დაიწყო. ორშაბათის თავდასხმამ "ახლების" ოფისში იმაზე მეტი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი მიიყვანა, ვიდრე, თავის დროზე, ედპ-ს ოფისში შეიკრიბნენ პოლიტიკაში ძალადობის წინააღმდეგ დეკლარაციაზე ხელმოსაწერად.

გუშინ ოპოზიცია დახურულ კარს მიღმა შეიკრიბა. შეხვედრაზე გახმოვანდა იდეა ოპოზიციის "აღმასრულებელი ორგანოს" შექმნის შესახებ.

თამარ ხორბალაძე

"24 საათის" ხელთ არსებული ინფორმაციით, შეხვედრა "ახალი მემარჯვენეების" ოფისში გაიმართა და მასზე წინასაარჩევნო პოლიტიკური თამაშის ყველასათვის მისაღები წესების შემუშავებასა და ამისათვის შესაბამისი გარანტიების შექმნაზე ისაუბრეს.

გუშინდელ შეხვედრაზე მივიდა თითქმის ყველა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი, პლუს "მრეწველები" და "აღორძინება". არ ჩანდნენ "ლეიბორისტები".

საინტერესოა, რომ ორშაბათს, დარბევის დღეს, "მემარჯვენეების" ოფისში "ლეიბორისტების" წარმომადგენელი ფრიდონ ინჯია სტუმრობდა, სამშაბათს კი "ლეიბორისტებმა" ლევან გაჩეჩილაძეს გადაურეკეს და "საპატიო მიზეზით გაცდენის" შესახებ აცნობეს. ეს ფაქტი მით უფრო საინტერესოა ზაფხულის გამოცდილების გათვალისწინებით, როცა ოპოზიციური პარტიების ერთობლივ გამოსვლას ძალადობის წინააღმდეგ შალვა ნათელაშვილმა მხოლოდ წერილობითი თანხმობა "მიაშველა". ნიშანდობლივია, რომ ოპოზიციური პარტიების დიალოგში შალვა ნათელაშვილს პირადად არც ერთხელ არ მიუღია მონაწილეობა

გუშინდელ შეხვედრაზე ოპოზიციურმა პარტიებმა "ერთობლივი მოქმედების" გეგმის დეტალები დააზუსტეს და ერთობლივი პოზიცია უკვე შეხვედრის დასრულებიდან ნახევარ საათში, პარლამენტის ბიუროზე დააფიქსირეს, სადაც ძალოვანებიც იყვნენ მოწვეულნი ორშაბათის ინციდენტთან დაკავშირებით.

გუშინდელ სამუშაო შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ოპოზიცია თავისი წევრებისგან ჩამოაყალიბებს ლიდერთა საკოორდინაციო საბჭოს, რომელიც ერთგვარი აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციას შეასრულებს.

საბჭო შეიმუშავებს და ოპოზიციურ პარტიებს შესთავაზებს ერთობლივი მოქმედების სტრატეგიასა და ტაქტიკას. ამ აქტივობის საბოლოო მიზანი უნდა იყოს ცივილიზებული და სამართლიანი არჩევნების ჩატარების გარანტიების შექმნა, ძალადობის დაუშვებლობა არჩევნების პროცესში.

გუშინვე შეთანხმდა მიმართვის ტექსტი, რომლითაც ოპოზიცია საერთაშორისო თანამეგობრობას, საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებს მიმართავს.

დღეს ოპოზიციური პარტიები ისევ "ახალი მემარჯვენეების" ოფისში, ამჯერად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად იკრიბებიან. დღეს გახდება ცნობილი საბჭოს თუ შტაბის წევრების ვინაობა და გაკეთდება ოფიციალური განცხადება.

მოკლედ

თბილისი. საქართველოს საპატრიარქო მხარს უჭერს ერაყის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას და მართლმორწმუნე ერს მშვიდობისთვის ლოცვისკენ მოუწოდებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. „ახლების“ ოფისზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის შემდეგ, „აღორძინების კავშირის“ თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ოფისის დაცვა გააძლიერეს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რიჩარდ მაილსი შეშფოთებულია „ახალ მემარჯვენეთა“ სათავო ოფისზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის გამო. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის უფროსის ზურაბ ხაჟალიას განცხადებით, ორშაბათს, "ახალი მემარჯვენეების" ცენტრალური ოფისის დარბევა შიდა პარტიული დაპირისპირების მიზეზით მოხდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 2003 წლის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიტიკის მთავარ მიმართულება ნატო-სთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა იქნება – ამის შესახებ გუშინ საგანგებო პრესკონფერენციაზე თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ განაცხადა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

კისლოვოდსკი. კავკასიის სახელმწიფოთა ქვეყნების პარლამენტის სპიკერთა შეხვედრა შაბათს, კისლოვოდსკში შედგება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

ჰააგა. 1992-93 წლებში ქართულ-აფხაზური შეიარაღებული დაპირისპირებისას, აფხაზეთში ჩადენილი სამხედრო დანაშაულებანი შესაძლოა ჰააგის სამხედრო ტრიბუნალმა განიხილოს. განაცხადა ტრიბუნალის ემისარმა ვანესა ლე როამ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი."მოქალაქეთა კავშირს" ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების სამი ვარიანტი აქვს შემუშავებული, რომელსაც პარტიის მთავარ საბჭოს განსახილველად შესთავაზებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალერი ჩხეიძე, გუშინ გერმანიის ელჩს საქართველოში უვე შრამს შეხვდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

ერევანი. რუსეთის მრეწველობის მინისტრმა ილია კლებანოვმა ერევანში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ საქართველო არბილებს თავის პოზიციებს აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

ახალციხე. ახალციხის სამხედრო ნაწილიდან ჯარისკაცთა მასობრივი გაქცევის მცდელობისას, გუშინ დილის 7 საათზე, ბრიგადის კომენდატმა რიგითი გიორგი გაგოშვილი მოკლა. **24 საათი**

■ ■ ■

ხევსურეთი. ხევსურეთში საზღვრის გამყარების მიზნით შექმილი ნაწილის პრეზენტაცია 12 თებერვალს სოფელ ბარისახოში გაიმართება. **24 საათი**

■ ■ ■

კოსოვო. კოსოვოში, ქართულ სამხედროთა სამშვიდობო კონტინგენტი 200 სამხედრო მოსამსახურემდე გაიზრდება. **24 საათი**

■ ■ ■

ცხინვალი. საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრების კობა ნარჩემაშვილისა და ჯემალ კარკუსოვის შეხვედრა, ცხინვალში 10 თებერვალს გაიმართება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი თვლის, რომ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი ხელისუფლების მიერ იქნა გამოყენებული და მან თანამდებობა უნდა დატოვოს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

ტაშკენტი. სუუამის წევრი სახელმწიფოების სასაზღვრო უწყებების ხელმძღვანელთა მეორე სამუშაო შეხვედრაში, რომელიც 7-8 თებერვალს თბილისში გაიმართება, უზბეკეთის დელეგაცია მონაწილეობას არ მიიღებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

სტრასბურგი. ევროსაბჭოს თავმჯდომარე ვალტერ შვიმერი 2003 წელს კავკასიაში გადამწყვეტი არჩევნების ჩატარების წლად აცხადებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ დედაქალაქის ტერიტორიაზე არჩევნებისთვის რამდენიმე სერიოზული შეიარაღებული ჯგუფი მზადდება. **მედია-ნიუსი.**

საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუცია დაარღვია

პირველი გვერდიდან

თუმცა, იმ ვნებათაღელვის ფონზე, რომელიც "ფრაქციათა შეხვედრად" გადაკეთებულ შეკრებას ახლდა, კონსტიტუციის დარღვევის ფაქტი თითქმის შეუმჩნეველი დარჩა. აჟიოტაჟი და ხმაური კი, "ახლების" ოფისის დარბევის ფაქტთან დაკავშირებით, ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელების პარლამენტში მიბრძანებამ გამოიწვია. მართალია, ფიქრია ჩიხრაძე, კოტე კემულარია, ჯემალ გოგიტიძე და სხვები პლენარული სხდომის დაწყებამდე, ძალოვანთა მხრიდან რაიმე ინფორმაციის მოსმენის წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, სახელისუფლებო ფრაქციებმა გამოიჩინეს ორთაჭალაში 3 თებერვალს მომხდარი ინციდენტის მიმართ ცხოველი ინტერესი. ჰოდა, "ბიუროს სხდომაზეც" გენერალურ პროკურორს ნუგზარ გაბრიჩიძეს, თბილისის პროკურორს თენგიზ მახარაძეს, უშიშროების მინისტრს ვალერი ხაბურძანიას და შს მინისტრის მოადგილეს ზურაბ ხაჟალიას სწორედ სახელისუფლებო ფრაქციებმა უხმეს.

25-მდე დაკითხული მოწმის ჩვენებებზე დაყრდნობით, თენგიზ მახარაძე აკეთებს დასკვნას, რომ "ახლების" ოფისში ჩხუბი შიდაპარტიულ ნიადაგზე მოხდა; თავის მხრივ კი, ზურაბ ხაჟალია დასძენს, რომ **"ინციდენტში მონაწილე პირთა წრე უკვე დადგენილია".**

თბილისის პროკურორის მიერ მომხდარის შიდაპარტიულ კონფლიქტად გამოცხადებამ ვიტალი ხაზარაძეს დედუქციურად აზროვნება დააწყებინა. **"თუ ეს ამბავი შიდაპარტიული კონფლიქტი იყო და მისი მონაწილეები ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი, მაშინ გამოდის, რომ "ახალ მემარჯვენეებს" შეიარაღებული ფორმირება ჰყოლიათ"**, - თავისმა "აღმოჩენამ" ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე თავადვე გააოცა.

კვორუმი ბიუროზეც აღარ იკრიბება.

უკანონო შეირაღებული ფორმირებების თემას ჯემალ გოგიტიძე განავრცობს. მისი მტკიცებით, ასეთი ფორმირება საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ პარტიას ჰყავს, გარდა "აღორძინებისა". საინტერესოა, რომ ასეთ განცხადებას პარლამენტის ბიუროში წარმოდგენილი მრავალპარტიული სპექტრის მხრიდან თითქმის არანაირი პროტესტი არ მოჰყოლია და ისე იქნა აღქმული, როგორც საყოველთაოდ აღიარებული ფაქტი. ერთადერთი, ვინც ჯემალ გოგიტიძეს შეუტია, ზეზვა ღუღუნიშვილი იყო:

"რომ გაიძახი უკანონო შეირაღებული ფორმირება არა გვყავსო, აბა მაშინ ვინ დგას ჩოლოქთან"?

გუშინდელი "სხდომაზე" განვითარებულ მოვლენებს ფიქრია ჩიხრაძე "შოუს" უწოდებს და მიიჩნევს, რომ იგი 14 პარტიის მიერ გაკეთებული განცხადების გასანეიტრალებლად გაკეთდა.

"მე არ მაინტერესებს იმ მინისტრების ინფორმაცია, რომლებიც მომხდარის შესახებ ტელევიზიით ქილიკობენ. მომხდურებს ჰყავდათ სერიოზული "კრიშა", რადგან პრეზიდენტის ტრასა ისე გაიარეს, რომ პრობლემა არ შექმნიათ. მე მაინტერესებს, რომელი ორგანოებიდან იყო ეს ხალხი გარანტირებული, რომ შემთხვევის ადგილს უსაფრთხოდ დატოვებდნენ", - ცხადია, ჩიხრაძის "ცნობისმოყვარეობის" დაკმაყოფილება გუშინ ვერავინ შეძლო. ალბათ, ამიტომაც აცხადებს "ახლების" წარმომადგენელი, რომ **"ეს ჯერ კიდევ არ არის აპოგეა, ან ბოლო შემთხვევა"** და მრავალმნიშვნელოვნად შენიშნავს: **"სწორედ ამის იქით იგეგმება სერიოზული მოვლენები".**

როდესაც წინ მრავალი მოულოდნელობა გველის, უფრო ვრცლად საუბარი ისეთ "წვრილმანზე", როგორიც პარლამენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევაა, ალბათ, "უხერხულია".

შევარდნაძე იმერლებს ნატო-ში შესვლას და ეკონომიკურ აღმავლობას ჰპირდება

სოფო კვინტრაძე
ზესტაფონიდან

საქართველოს პრეზიდენტი იმერეთის მოსახლეობას სამართლიან არჩევნებს, ეკონომიკურ აღმავლობას, ხოლო სტიქიით დაზარალებულებს დახმარებას ჰპირდება. რაც შეეხება ზესტაფონის "ფეროსა" და "ჭიათურმანგანუმს", შევარდნაძე არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, ამ ორი სტრატეგიული ობიექტისთვის უახლოეს მომავალში საერთო ინვესტორი გამოიძებნოს. თავის მხრივ, ქუთაისი შევარდნაძეს გამწვავებული კრიმინოგენული ვითარებით, ახალი პოლიტიკური მოძრაობით "საქართველოს რეგიონები – ძლიერი სახელმწიფოსათვის" და "ციფრული განვითარებისაკენ" გადადგმული ნაბიჯებით შეეგება.

იმერეთის რეგიონში ერთდღიანი სამუშაო ვიზიტისას პრეზიდენტს თან მრავალრიცხოვანი ამალა, მათ შორის საკუთარი რწმუნებული იმერეთის მხარეში თემურ შაშიაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი, საგზაო ფონდის თავმჯდომარე ბორის სალარიძე და იმერეთის რეგიონის გამგებლები ახლდნენ. პრეზიდენტმა ვიზიტი სტიქიით დაზარალებული სოფლების დათვალიერებით დაიწყო და მათ შეეულმფრენით შემოუფრინა. ამ სოფლების მოსახლეობის დასახმარებლად 2003 წლის ბიუჯეტში 700 ათას ლარამდეა გათვალისწინებული. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მან, შესაძლოა, ამ მიზნისთვის საკუთარი ფონდიდან დამატებითი თანხებიც მოიძიოს.

მიწაზე დაშვების შემდეგ კი პრეზიდენტმა ზესტაფონში მარგვეთის ეპარქიის სასულიერო ცენტრი დაათვალიერა. აქ ედუარდ შევარდნაძემ უპატრონო ბავშვთა პანსიონატი მოინახულა, სადაც ამჟამად 15 უდედმამო ბავშვი ცხოვრობს. პრეზიდენტმა მათ თავისი ფონდიდან საჩუქრად ფქვილი, ბურღულეული და სხვა საკვები პროდუქტები ჩაუტანა. შევარდნაძე ესტუმრა ზესტაფონის რკინიგზის რეკონსტრუირებულ სადგურსაც, შემდეგ კი საქარის ღვინის ქარხნის მიერ ჩამოსხმულ ღვინოს აუღო ჭაშნიკი. იმერლებმა პრეზიდენტის წინაშე თავი თერჯოლის ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი მეფრინველეობის ფაბრიკითაც მოიწონეს, სადაც ს/ს "ყაზბეგმა" 250 ათასი ლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელა.

ქუთაისში კი პრეზიდენტს ავსტრიული ორგანიზაციის დაფინანსებით აშენებული ბავშვთა სოფელი აჩვენეს, სადაც 12 სახლი დგას და შესაძლებელია, ასამდე ბავშვმა თავის აღმზრდელებთან ერთად იცხოვროს. შევარდნაძემ მონაწილეობა მიიღო გაეროს დაფინანსებით განხორციელებული პროექტის "ინტერნეტის ხიდი დიდი აბრეშუმის გზაზე - საქართველოს ახალგაზრდობისათვის" გახსნაშიც. ეს პროექტი იმერეთის რეგიონის სკოლებში 4 ათასი კომპიუტერის განთავსებასა და ინტერნეტის ქსელში ჩართვას ითვალისწინებს. ქუთაისშივე, პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა იმერეთის მხარის კულტურის მოღვაწეები და დაღუპული პოლიციელების ოჯახებს ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენები გადასცა.

სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე კი შევარდნაძეს იმერეთის განვითარების პროგრამები გააცნეს. იმერეთის მხარის რწმუნებულმა თემურ შაშიაშვილმა პრეზიდენტს 2002 წლის ანგარიში წარუდგინა და განუცხადა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც იმერეთში გაკეთდა, გაეროს დახმარებით განხორციელებული პროექტია. ის "საქართველოს იმერეთის მხარეში დემოკრატიული მმართველობის განვითარების ხელშეწყობას" ისახავს მიზნად. პროექტის ფარგლებში იმერეთის რეგიონის ადმინისტრაციული ორგანოები ერთიან კომპიუტერულ ქსელში უნდა ჩართონ.

შაშიაშვილი მიიჩნევს, რომ კარგი ადმინისტრირების შემთხვევაში, იმერეთში არსებული რესურსების მაქსიმალური მობილიზება გახდება შესაძლებელი. **"7-8 მილიონი პატარა წამუშავებით შევასრულეთ,** – განაცხადა შაშიაშვილმა, - **იმერეთის მხარის საკრებულოებმა კი 2002 წელს დაგეგმილზე 300 ათასი ლარით მეტი შემოსავალი შეაგროვეს."** მისი თქმით, საკრებულოს გამგებლები საგონებელში ყოფილან ჩავარდნილნი **"და არ იცოდნენ, ეს ფული სად წაეღოთ."** თუმცა, მოგვიანებით, შაშიაშვილმა აღიარა, რომ იმერეთში მარტო პენსიონერების ვალი 30 მილიონი ლარი ყოფილა გასასტუმრებელი.

შაშიაშვილმა პრეზიდენტს კრიმინოგენული ვითარების გამწვავების შესახებაც შესჩივლა. მისი თქმით, ქუთაისელებს მანქანებს ხშირად სტაცებენ. ძლიერია "კანონიერი" ქურდების ავტორიტეტიც. **"ეს ადმინისტრაციის ბრალიცაა. აღმასრულებელი ხელისუფლება კრიმინალებთანაა შეკრული,"** – განაცხადა პრეზიდენტის რწმუნებულმა.

თუმცა, შაშიაშვილი მიიჩნევს, რომ **"იმერეთს ძალუძს, რეგიონების რეალური ძალა ანაბოს თბილისს".** ამ მიზნით, 8 თებერვალს ქუთაისში შაშიაშვილის მიერ დაფუძნდება მოძრაობა "საქართველოს რეგიონები – ძლიერი სახელმწიფოსათვის".

ერთდღიანი ვიზიტი პრეზიდენტმა, ტრადიციულად, შემაჯამებელი სიტყვით დაასრულა და იმერეთის რეგიონს ყოველგვარი დახმარება აღუთქვა. მან იმერლებისთვის არც იმის შეხსენება დაიზარა, რომ სამ წელიწადში ნატო-ში შევალთ და ეს აფხაზეთში დაბრუნების წინაპირობა იქნება. მანამდე კი, შევარდნაძე ზესტაფონის "ფეროსა" და "ჭიათურმანგანუმის" მიხედვას აპირებს. ამ წარმოებების "ფეხზე წამოყენების" მიზნით ის არ გამორიცხავს მათ გაერთიანებას და ერთობლივი ინვესტორის მოძიებასაც. დამშვიდობების წინ კი პრეზიდენტი მომავალი არჩევნების თემასაც გადასწვდა. "არჩევნები ახლოვდება და პოლიტიკური დემაგოგია ნუ შეგაშინებთ, უამრავ დამკვირვებელს მოვიწვევთ და იდეალურად ჩავატარებთ არჩევნებსო," – აღუთქვა იმერეთის მოსახლეობას და საზეიმო ვითარებაში დატოვა ქუთაისი.

ყოველი არგამოცხადება - მილიონნახევარი ლარი

პირველი გვერდიდან

გვებრძვიან, რომ "ლეიბორისტები" ვართ", – სამწუხარო დასკვნა გააკეთა თავად ჟვანიამ.

მომრიგებელ მოსამართლეთა როლი გუშინ "ნაციონალებმა" და საკრებულოს თავმჯდომარემ შეასრულეს. ათწუთიანი შესვენება, რომელიც აღშფოთებულმა სააკაშვილმა საკითხში გასარკვევად ითხოვა, ჟვანიას "გადამრჩენი" გამოდგა.

"მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ზურაბ ჟვანიას საკითხის განხილვის. ეს პრობლემა კონკრეტული კანონპროექტის გამო წარმოიშვა, რომელსაც მე მხარს არ ვუჭერ, მაგრამ ეს არ გვაძლევს ბატონი ზურაბის იმპიჩმენტის საფუძველს," – აღნიშნა სააკაშვილმა.

როგორც დავით იოსელიანი ამბობს, ჟვანიას თემა საკრებულომ დროებით "ჩაფარცხა", საკრებულოს მდივნის იმპიჩმენტზე იოსელიანი კულუარულ მუშაობას გააგრძელებს. **"საკრებულოს მდივანი წარმოადგენს დედაქალაქის სახეს საზღვარგარეთ. ის, ფაქტობრივად, საკრებულოს საგარეო საქმეთა მინისტრია. მე, პირადად, არ მინდა თბილისი ანტიდემოკრატიულად განწყობილმა და სტალინის მოყვარულმა ადამიანმა წარმოადგინოს,"** – ამბობს იოსელიანი.

დედაქალაქის კანონმდებლებმა გუშინ კიდევ ერთი საქმე მოასწრეს - მიიღეს პარლამენტში გასაგზავნი რეზოლუცია, სადაც აღნიშნულია, რომ "ლეიბორისტ" ფრიდონ ინჯიას საკანონმდებლო ინიციატივა დეპუტატის საქმიანობის თავისუფლებას ზღუდავს და ეწინააღმდეგება დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებს.



სააკაშვილმა ჟვანია დაიცვა.

მაჟორიტარი დეპუტატი პოლიციის უფროსს ამხელს

ონის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი რევაზ ნოდარიშვილი თავისივე რაიონის პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ზაზა კახეთელიძეს საკმაოდ მძიმე ბრალდებას უყენებს და ახლო წარსულში მის დანაშაულებრივ საქმიანობაზე, კერძოდ კი, ნარკობიზნესში მონაწილეობაზე საუბრობს. გარდა ამისა, პარლამენტარი აცხადებს, რომ კახეთელიძე შინაგან საქმეთა მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის ოჯახურ წრესთან დაახლოებულია და მისი მფარველობით სარგებლობს.

გიორგი ასანიშვილი

"ზაზა კახეთელიძე 1994-95 წლებში ონის რაიონის პოლიციის განყოფილებაში მძღოლად მუშაობდა. იმ პერიოდში ძალიან გავრცელდა ნარკოტიკული ნივთიერებების ტრანზიტი ოწზე გავლით და ამ ნივთიერებების ადგილზე მოხმარება. ამ პროცესში ონის პოლიციის ცხრა თანამშრომელიც მონაწილეობდა. როდესაც ეს ამბავი გახმაურდა, რაიონის პოლიციის უფროსმა ზოგი მათგანი სამსახურიდან გაათავისუფლა, ზოგი კი შვებულებაში გავიდა და სამსახურში აღარ დაბრუნებულა. ასე მოიქცა ზაზა კახეთელიძეც", - აცხადებს რევაზ ნოდარიშვილი.

მისივე მონაყოლის მიხედვით, ამ ამბის შემდეგ კახეთელიძე რაიონიდან უხმაუროდ წავიდა და ამბოლაურის რაიონის პოლიციის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ **"იქაც რაღაც შეემთხვა და იქიდანაც დაითხოვეს"**, ოღონდ პარლამენტარისთვის უცნობია, რა მოტივით.

ნოდარიშვილი თავდაპირველად გაოცებულა იმ ფაქტით, რომ მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა მინისტრად კობა ნარჩემაშვილი დაინიშნა, ზაზა კახეთელიძის კარიერაში სწრაფი წინსვლა დაიწყო. თუმცა, დეპუტატის გაკვირვება დიდხანს არ გაგრძელებულა. **"დავადგინე, რომ კახეთელიძე ნარჩემაშვილის ოჯახურ წრესთან არის დაახლოებული",** -შენიშნავს ნოდარიშვილი.

მოგვიანებით, ონის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი და მხარის გუბერნატორი ირაკლი ფრუიძე შინაგან საქმეთა მინისტრს პირადად შეხვედრიან, რომლის დროსაც ნოდარიშვილს ნარჩემაშვილისთვის შეუთავაზებია, პოლიციის უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე კახეთელიძეზე უფრო ღირსეული კანდიდატურა ან ადგილზე შეერჩია, ან თბილისიდან გამოეგზავნა.

ბოლო პერიოდში დეპუტატმა შეიტყო, რომ მინისტრი მის "შეთავაზებას" არ ითვალისწინებდა და **"სამხარეო პოლიციის უფროსისისგან კახეთელიძის კანდიდატურის წარდგენას ითხოვდა".** ამიტომაც, ამის შესახებ ნოდარიშვილმა წერილობით აუწყა ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს თედო ჯაფარიძეს.

"ინფორმირებულთა" წრე გუშინ კიდევ უფრო გაფართოვდა - ზემოთქმულის შესახებ მასალები ონის მაჟორიტარმა დეპუტატმა პარლამენტში მყოფ გენერალურ პროკურორს ნუგზარ გაბრიჩიძესაც გადასცა.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

ხელისუფლება გადარჩენის გზებს ეძებს

ჰირველი გვერდიდან

- საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიულად უნდა ჩატარდეს და ის - ავთანდილ ჯორბენაძე, თავად იღებს პასუხისმგებლობას ასეთ არჩევნებზე.

მაგრამ არც არასამთავრობოებთან ჩატარებული კონსულტაციები და მითუმეტეს არც სახელმწიფო მინისტრის მიერ თავის თავზე აღებული პასუხისმგებლობა (ამ პასუხსიმგებლობის დემონსტრაცია სახმნისტრმა ჯერ კიდევ ადგილობრივი არჩევნების დროს მოახდინა), არჩევნების სამართლიანად ჩატარებისთვის არაფერს ნიშნავს მაშინ, როცა, მიუხედავად დიდი "ძალისხმევისა", ხელისუფლებამ ისიც კი ვერ მოახერხა, რომ დღემდე საარჩევნო სიების დაზუსტებაზე დაეწყო მუშაობა.

ბუნებრივია, დღეს ხელისუფლების მაღალჩინოსნები გამოსავალს ეძებენ, რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ პოსტშევარდნაძისტული ეპოქა მათთვის საბედისწერო არ აღმოჩნდეს. არ არის გამორიცხული, რომ ამ თემაზე სათათბიროდ ფარული თუ არაფარული შეხვედრებიც იმართება. თუმცა, ჯორბენაძისა და მისი გუნდისთვის დღეს შევარდნაძისგან გარიყვა და დამოუკიდებელი თამაშის დაწყება აშკარად წამგებიანი იქნება. მართალია, შევარდნაძის პოპულარობა ქვეყნის შიგნით თითქმის ნულს მიუახლოვდა, მაგრამ პრეზიდენტი (თუნდაც მისი საერთაშორისო ავტორიტეტიდან გამომდინარე) მაინც ერთადერთია ამ ხელისუფლებაში, ვისაც რაღაც პოლიტიკური კაპიტალი მაინც დარჩა. თავად სახელმწიფო მინისტრი დამოუკიდებლად არანაირ რესურს არ ფლობს - არც საერთაშორისო ავტორიტეტს, არც პოპულარობას და არც ძალას, რომ რაღაც რეალურად შეცვალოს. ასე რომ, მართალია შევარდნაძე დაბერდა და მისი ქარიზმა თანდათან წლების კუთვნილება გახდა, მაგრამ მის ნაცრისფერ და უსახურ გარემოცვაში ის ერთადერთი ლოკომოტივია, ვისაც მთელი ამ ბალასტის სამშვიდობოს გატანა აბარია.

მაგრამ, რაც არ უნდა ძვირფასი იყოს შევარდნაძე ამ გარემოცვისთვის, ქართულ პოლიტიკაში მისი თავისთავადი ღირებულება უკვე ძალიან დაბალია. ამიტომ მხოლოდ შევარდნაძის იმედად ყოფნა "მოქალაქეთა კავშირს" არ არგია და უკვე სხვა მექანიზმების ძიებაშია ჩართული.

რა შეიძლება აღმოჩნდეს ეს მექანიზმები, ძნელი სათქმელია. ერთი რამ აშკარაა, ეს მხოლოდ ამომარჩეველთა ხმებით მანიპულირება არ იქნება, რადგან არჩევნების ყველაზე დიდი პროცენტით გაყალბების შემთხვევაშიც კი, მოქალაქეთა კავშირი საპარლამენტო არჩევნებში სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწევს. ასე რომ, ხელისუფლებას მხოლოდ რადიკალურ ნაბიჯებზე წასვლა რჩება. ასეთ დროს კი არაფერი არ არის გამორიცხული, არც თვით არჩევნების ხელოვნურად ჩაშლა.

ქვეყანაში სიმულაციებით დაიძაბება ვითარება

მიხეილ სააკაშვილის განცხადება

მაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამართალდამცავი ორგანოების მაღალ ეშელონებში მზადდება გეგმა, რათა ხელისუფლების კონსტიტუციური გადაცემა არ მოხდეს. ეს ინფორმაცია ბოლო ერთი თვის განმავლობაში სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და აბსოლუტურად სანდო წყაროდან მომდის. ამ გეგმის დამუშავებაში ჩართულები არიან შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი, სახელმწიფო დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი სულხან პაპაშვილი და კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი, რომელსაც გენერალური პროკურორის თანამდებობა სურს. მაგრამ მე შემიძლია ოფიციალურად განვაცხადო, რომ ეს ხალხი არ ენდობა არც დავით თევზაძეს და არც ვალერი ხაბურძანიას. შესაბამისად, ისინი ამ გეგმის თანამონაწილეები არ არიან. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ამაში მონაწილეობას ვერ გაბედავდა ვერც ჯორბენაძე, რადგან ის ძალიან არის დამოკიდებული შევარდნაძეზე.

ამ შეხვედრებზე საუბარი იყო იმაზე, რომ პრეზიდენტი ძალიან არაპოპულარულია, რომ ჯობია ის ახლა წავიდეს და ხელისუფლება საიმედო ხალხს ჩააბაროს. გარდა ამისა, მოხერხდეს ის, რომ საპარლამენტო არჩევნები არ ჩატარდეს და ოპოზიციას გამარჯვების საშუალება არ მიეცეს. შეიქმნას რაღაც ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ხელისუფლების წყნარად ჩაბარებას. ამ მიზნით, დარწმუნებული ვარ, რომ იქნება სერიოზული პროვოკაციები. მათ შორის ისიც, რის შესახებაც ადრე მე და ჟვანიამ განვაცხადეთ: აფხაზეთში ომის სიმულაცია. ანუ ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ არჩევნები არ ჩატარდეს.

"კი ბატონო, ვიომოთ"

მაია მოსიაშვილი

ედპ-ს რუსთავის ორგანიზაციის ოფისის საკითხი კვლავაც სადავოა. გუშინ დილით რუსთავის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, კალათბურთელი რამაზ გოგობერიშვილი, მისი მოადგილე, ყოფილი მოჭიდავე კობა ლოჩოშვილი და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი ედეპელებს ეწვივნენ და მათ "საქმის გარჩევა" პოლიტიკური კონტექსტის გარეშე შესთავაზეს. ასეთ პირობაზე, ბუნებრივია, "ედეპელები" არ დათანხმდნენ.

"ამ შენობიდან ედპ გამსვლელი არ არის, თუ ხელისუფლება ძალას გამოიყენებს, კი ბატონო, მაშინ ძალა ძალაზე მეტი არსებობს და ვიომოთ,"- განუცხადეს მათ მერიის წარმომადგენლებს.

"ისეთი რამ არ უნდა მოხდეს, რომ პოლიცია ჩადგეს ჩვენ შორის. მე მაგრად მეწყინება, რომ ჩვენ გამო ედპ დაიჩაგროს. თქვენ პოლიტიკოსები ბრძანდებით, ბატონ მერაბთან გაარკვიეთ, რაც გინდათ. ჩვენ სუფთა ხალხი - სპორტსმენები - მიგვიშვით ჩვენს საქმეზე. მაგრამ თუ ომზე წავა საუბარი, იცოდეთ, რომ სპორტსმენი უფრო მეტია რუსთავში, ვიდრე "ედეპეშნიკი" და, თუ ასე გინდათ, კი ბატონო, ვიომოთ," - ასეთი იყო სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის ლოჩოშვილის პასუხი. მისი თქმით, ედეპელები ჯერ კიდევ 6 თვის წინ გააფრთხილეს, რომ შენობა დაეცალათ, თუმცა ამაოდ.

"ეს არის ედპ-ს დევნა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან. იმედი მაქვს, რომ აქ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ადგილი არ აქვს და ბატონი მერაბი ამ გადაწყვეტილებას გადახედავს. ეს ოფისი თავად გია ჭანტურიას მიერ იყო აღებული, აქ სხდომებს ატარებდა და ტყეშელაშვილს, რომელიც დროებითაა მერად არჩეული, ვერ დავუთმობთ," - განაცხადა თანაპარტიელების მხარდასაჭერად რუსთავში ჩამოსულმა ედპ-ს გენერალურმა მდივანმა ბაჩუკი ქარდავამ. მისივე თქმით, სადაოდ გამხდარი ოფისი ცოტა ხნის წინ ქონების მართვის სამინისტროს საპრივატიზაციო ნუსხაში ჰქონდა შეტანილი და ედპ მის შესყიდვას აპირებდა. მერაბ ტყეშელაშვილის მერად მოსვლის შემდეგ კი, მინისტრმა ეს ობიექტი ნუსხიდან ამოიღო. **"სამაგიეროდ სპორტკომიტეტის ადმინისტრაციის შენობა გაყიდეს,"**- ამბობენ ედეპელები.

სახელმწიფო ქონების მართვის ქვემო ქართლის სამმართველოს უფროსის ზაზა გველესიანი ადასტურებს, რომ რუსთავის სპორტკომიტეტის შენობა მერიამ გასული წლის თებერვალში გაყიდა (სწორედ ამის გამო დარჩა სპორტის დეპარტამენტი უბინაოდ). მისივე ინფორმაციით, ფართი, სადაც ედპ-ს შტაბ-ბინაა განთავსებული, მართლაც ამოიღეს საპრივატიზაციო ნუსხიდან და ეს რუსთავის მერის ინიციატივით მოხდა. მოტივაცია კი ის იყო, რომ მას მერიის სამსახურებისათვის ოფისები სჭირდებოდა. **"საიჯარო ხელშეკრულება ედპ-ს ქონების მართვის სამმართველოსთან უნდა ჰქონოდა გაფორმებული, რაც არ მომხდარა. მათ ხელშეკრულება მუნიციპალიტეტთან ჰქონდათ დადებული, რაც სამართლებრივად სწორი არ არის და ის კანონიერად ვერ ჩაითვლება. ამჟამად ამ ობიექტს მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის მთავრობა განკარგავს და მათი გადასაწყვეტია, ვის შეუშვებენ შენობაში,"** - აცხადებს გველესიანი.

საქართველოს ელჩი გერმანიაში ხელს აწერს ხელშეკრულებას ბუნდესვერთან

4 თებერვალს ბერლინში, საქართველოს საელჩოში, შედგა ხელშეკრულების ხელმოწერა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის ფედერალურ სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის, კოსოვოში (KFOR) საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობისა და მხარდაჭერის შესახებ. გერმანიის მხარეს წარმოადგენდა გერნარალი ენგერჰარტი, ხოლო საქართველოს მხარეს - საქართველოს ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და პოლონეთის რესპუბლიკაში კონსტანტინე გაბაშვილი. ხელმოწერას ესწრებოდნენ გერმნიის თავდაცვის სამინისტროს, საგარეო უწყების და პარლამენტის წარმომადგენლები, გერმანელი ჟურნალისტები.

საქართველოს მხარისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნდესვერის მხარდაჭერას და ქართული დროშის ქვეშ ასეულის მონაწილეობას კოსოვოში სამშვიდო ოპერაციებში. ხელშეკრულების შედეგად 140 ზემსახური გადამზადებას გაივლის ბუნდესვერის სამხედრო დაწესებულებებში და მოემზადება სამშვიდობო მისიის შესასრულებლად. ქართული სამშვიდობო ასეული, გერმანიის მეშვიდე კონტიგენტის ცვლასთან ერთად, ივნისის დასაწყისში გაემგზავრება კოსოვოში. ეს ფაქტი ნატო-ს სტანდარტების მიღწევისაკენ გადადგმული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ხელმოწერის შემდეგ საქართველოს უშიშროების საბჭოს, პრეზიდენტისა და თავდაცვის მინისტრის მრჩეველს, საერთაშორისო მრჩეველთა ჯგუფის წევრს 1998-2002 წლებში, გერმანელ გერნარლს ბატონ ჰენინგ ფონ ონდარცას საზეიმო ვითარებაში გადაეცა საქართველოს პრზიდენტის მიერ მინიჭებული ღირსების ორდენი.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს საჯარო კონკურსს

სატელეკომუნიკაციო სფეროში მაღალხარისხოვანი მომსახურების დანერგვის უზრუნველსაყოფად სამართლებრივი, ტექნიკური და ფინანსური ბაზის შექმნის და მის საფუძველზე მომხმარებელთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების სრულფასოვანი დაცვის მექანიზმების ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, იქმნება მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახური.

მომხმარებელთა უფლებების და ინტერესების დაცვის, სატელეკომუნიკაციო სფეროში მაღალხარისხოვანი მომსახურების დანერგვის წინაპირობების შესაქმნელად საჭირო თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავება მსოფლიო ბანკის და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ერთობლივი პროექტით არის გათვალისწინებული და მისი განხორციელება უახლოეს პერიოდში დაიწყება.

კომისიას მიაჩნია, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის მიზნების წარმატებული განხორციელება მხოლოდ მიუკერძოებელი მაღალკვალიფიციური კადრების, მათდამი საზოგადოების ნდობის მაღალი ხარისხის და მათთვის რეალური ბერკეტების მინიჭების შემთხვევაში არის შესაძლებელი.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურში თანამდებობების დასაკავებლად საჯარო კონკურსის გამოცხადების შესახებ. ფართო საზოგადოების ინტერესების და მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით, შეიქმნა საკონკურსო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლებების, არასამთავრობო სექტორის და მასმედიის კარგად ცნობილი წარმომადგენლები (კომუნიკაციების ეროვნული კომისია გულწრფელ მადლობას უხდის მათ თანამშრომლობისთვის). საკონკურსო საბჭო, საქართველოს სახალხო დამცველის ქ-ნ ნანა დევდარიანის თავმჯდომარეობით, შეარჩევს და 2 წლის ვადით დანიშნავს შესაბამისი უფლებამოსილებითა და პასუხისმგებლობით აღჭურვილ მომხმარებელთა უფლებების დამცველს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს საჯარო კონკურსს კომისიის აპარატის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის უფროსის და ორი სპეციალისტის თანამდებობების დასაკავებლად, შემდეგი პირობებით:

მოვალეობები:

- კომისიის უფლებამოსილებაში შემავალი საკითხების (ლიცენზირება, ტარიფების, მომსახურების გაწევის წესების, სტანდარტების დადგენა და სხვ.) განხილვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში უშუალო მონაწილეობა და მომხმარებელთა კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვა;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით ლიცენზიის მფლობელის მიერ მოქმედი კანონმდებლობისა და სალიცენზიო პირობების შესრულების ზედამხედველობა და კონტროლი;
- მსოფლიო ბანკის სატელეკომუნიკაციო პროექტის კონსულტანტებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობით მომხმარებელთა დაცვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლებისა და ტექნიკურ-ფინანსური ნორმების შემუშავება;
- მომხმარებელთა უფლებების სავარაუდო დარღვევის შემცველი ქმედებების და გადაწყვეტილებების კვლევა;
- მომხმარებელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვა;
- ლიცენზიის მფლობელსა და მომხმარებელს შორის სადავო საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადება;
- მომხმარებელთა სახელით ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესში მხარედ გამოსვლა;
- მომხმარებელთა წარმოდგენა ლიცენზიის მფლობელთან დავის დროს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება (cover letter);
ბ) ავტობიოგრაფია (CV);
გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
დ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან ცნობა სამუშაო ადგილიდან;
ე) სარეკომენდაციო წერილი/ები.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის უფროსს - მომხმარებელთა უფლებების დამცველს მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება - იურიდიულ, კავშირგაბმულობის, ეკონომიკის, მედიის ან ბიზნეს-ადმინისტრირების სფეროში;
ბ) არანაკლებ 5 წლის სამუშაო გამოცდილება სამართლის, კავშირგაბმულობის, ეკონომიკის, მედიის, ბიზნეს-ადმინისტრირების ან მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში (სასურველია ხელმძღვანელ თანამდებობაზე);
გ) ოფიციალური კორესპონდეციის, დოკუმენტაციის წარმოებისა და შედგენის ცოდნა როგორც მშობლიურ, ასევე უცხო (ინგლისური) ენაზე;
დ) კომპიუტერიული პროგრამების (Word, Excel, PowerPoint), ინტერნეტის და ელექტონული ფოსტის ცოდნა;
ე) მართვისა და ხელმძღვანელობის გამოცდილება და უნარ-ჩვევები, კომუნიკაბელურობა, ინიციატივიანობა, მეტყველების კულტურა.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის უფროსი - მომხმარებელთა უფლებების დამცველი ინიშნება 2 წლის ვადით, შრომის მაღალი ანაზღაურებით.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის სპეციალისტს (1 ვაკანსია) მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება – იურიდიულ ან ეკონომიკურ სფეროში;
ბ) არანაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილება სამართლის, ეკონომიკის ან მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში;
გ) ოფიციალური კორესპონდეციის, დოკუმენტაციის წარმოებისა და შედგენის ცოდნა როგორც მშობლიურ, ასევე უცხო (ინგლისური) ენაზე;
დ) კომპიუტერიული პროგრამების (Word, Excel, PowerPoint), ინტერნეტის და ელექტონული ფოსტის ცოდნა;
ე) მართვის უნარ-ჩვევები; კომუნიკაბელურობა; ინიციატივიანობა; მეტყველების კულტურა.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის სპეციალისტს (1 ვაკანსია) მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება – კავშირგაბმულობის სფეროში;
ბ) არანაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილება კავშირგაბმულობის ან მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში;
გ) ოფიციალური კორესპონდეციის, დოკუმენტაციის წარმოებისა და შედგენის ცოდნა როგორც მშობლიურ, ასევე უცხო (ინგლისური) ენაზე;
დ) კომპიუტერიული პროგრამების (Word, Excel, PowerPoint), ინტერნეტის და ელექტონული ფოსტის ცოდნა;
ე) მართვის უნარ-ჩვევები; კომუნიკაბელურობა; ინიციატივიანობა; მეტყველების კულტურა.

სპელიალისტებისთვის გათვალისწინებულია შრომის მაღალი ანაზღაურება.

კონკურსი ჩატარდება შერჩევის, ტესტირებისა და გასაუბრების გზით. შერჩევა და ტესტირება ჩატარდება კომისიის შესაბამისი სპეციალისტების მიერ ა.წ. 24 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით.

კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება საკონკურსო საბჭოს სხდომაზე, რომელიც ჩატარდება ა.წ. 4 მარტს 1200 საათზე.

საკონკურსო საბჭო უფლებმოსილია თუ სხდომას ესწრება წევრთა რაოდენობის არანაკლებ 2/3. საკონკურსო საბჭო კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით; ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

განცხადებები და საკონკურსო დოკუმენტაცია მიიღება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ა.წ. 5 თებერვლიდან 21 თებერვლის 1800 საათამდე, მისამართზე: ქ.თბილისი, გ.ჭანტურიას ქ.N12, მე-8 სართული, ოთახი 803;

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
გიორგი რატიშვილი
საზოგადოებრივი ურთიერთობების კოორდინატორი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ტელ.: 921667 ტელ/ფაქსი: 921625. ელ-ფოსტა: gratishvili@gncc.ge

„ალორძინება" „თბილგაზის" პრივატიზაციის ჩაშლას გეგმავს

"ალორძინება" "თბილგაზის" პრივატიზაციის პროცესის ჩასაშლელად იურიდიულ გზებს ეძებს. გუშინ ამის შესახებ ჯონდი ბაღათურიამ და ცოტნე ბაკურიამ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადეს. მათ მიხეილ სააკაშვილი ვანო ზოდელავასა და ედუარდ შევარდნაძესთან კორუფციულ გარიგებაში დაადანაშაულეს. "ალორძინება" მიიჩნევს, რომ "თბილგაზის" მართვის უფლებით გაცემაზე დაწყებული საუბრები იმ გარიგების შედეგია, რომელიც მიზნად ისახავს თბილისის ბიუჯეტიდან 12 მილიონი ლარის გამოთავისუფლებასა და წინასაარჩევნო კამპანიისაკენ მიმართვას.

მაია ურუშაძე

როგორც ცნობილია, ქალაქის მერიას უკვე მზად აქვს სატენდერო პირობები "თბილგაზის" მართვის უფლებით გადაცემისათვის. ჯონდი ბაღათურიას თქმით, „თბილგაზის" მართვის უფლების ხელში ჩაგდებას ორი ჯგუფი ცდილობს. მისი ინფორმაციით, პირველი მათგანი პრეზიდენტის ოჯახის წარმომადგენელი, საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი ალეკო გოცირიძეა, მეორე კი - სააკაშვილ-ბეჟუაშვილის ტანდემი, რომელიც საკუთარ ინტერესებს "საქგაზის", "საქტრანსგაზმრეწვისა" და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის საშუალებით ახორციელებს. ბაღათურიას ინფორმაციით, სააკაშვილ-ბეჟუაშვილის ტანდემი "საქგაზში" საკუთარ წილს ფლობს.

"თბილგაზის" გასხვისების წინაპირობად სამი პრიორიტეტული პირობა უნდა იქცეს: მმართველმა კომპანიამ არ უნდა დაუშვას ტარიფის მომატება, ჰყავდეს გაზის გარანტირებული მომწოდებელი და თბილისის მოსახლეობის უწყვეტი გაზმომარაგება იკისროს. ბაღათურიას სქემის მიხედვით კი, „თბილგაზის" ხელში ჩაგდების მიღმა ზოდელავასა და სააკაშვილის ფინანსური ინტერესები იკვეთება, რის გამოც ისინი მმართველი კომპანიისთვის ამ მოთხოვნების წაყენებას არ აპირებენ. **"თბილისის ბიუჯეტიდან, თბილგაზის" გასხვისების შედეგად, 12 მილიონი ლარი გამოთავისუფლდება. ამ თანხას არჩევნებზე ნაციონალური მოძრაობა გამოიყენებს,"** – განაცხადა ბაღათურიამ. მისი ინფორმაციით, ასეთი შეთანხმება სააკაშვილსა და შევარდნაძეს შორის ფარული შეხვედრისას მოხდა.

"ალორძინება" მიიჩნევს, რომ "თბილგაზის" მართვის უფლებით გაცემისათვის ქალაქის მერიის მიერ მომზადებული ხელშეკრულება არასწორადაა შედგენილი და ის მმართველ კომპანიას გაზის ტარიფის მომატების საშუალებას მისცემს. **"გაზის ტარიფი იქნება იმხელა, რამხელაც სააკაშვილს მოეგუნებება,"** – აცხადებს "ალორძინების" პოლიტიკური მდივანი და შიშობს, რომ "თბილგაზისთვის" განკუთვნილი ფულით სააკაშვილი წარმატებულ საარჩევნო კამპანიას გააჩაღებს.

"თბილგაზით" დაინტერესებულთა ჩამოთვლისას ჯონდი ბაღათურიას "გამორჩა" "იტერა" - საქართველოსთვის გაზის უალტერნატივო მომწოდებელი. "იტერას" სათავო ოფისში აცხადებენ, რომ თბილისის ბაზრის მიმართ რუსულ კომპანიას ინტერესი არ განელებია და მის ტენდერში მონაწილეობას არ გამორიცხავენ. **"თბილგაზზე" ტენდერს რაღაც ორი დღის წინ გამოცხადდა. ახლა ჩვენ კარგად უნდა შევისწავლოთ სატენდერო პირობები და მხოლოდ შემდეგ განვაცხადებთ, გვსურს თუ არა კონკურსში მონაწილეობა,"** – აკონკრეტებს "იტერას" პრესმდივანი ნიკოლაი სემინენკო.

სხვათა შორის, "ალორძინების" განცხადება გუშინვე უარყო თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ და ბაღათურიას ბრალდებას "მტკნარი სიცრუე" უწოდა. მისი განცხადებით, „თბილგაზი" მართვის უფლებით ათი წლით გადაეცემა იმ კომპანიას, რომელიც საკონკურსო პირობებს დააკმაყოფილებს, პრივატიზაციას კი ეს ობიექტი არ ექვემდებარება და ქალაქის მერიის განკარგულებაში დარჩება.

ევროგაერთიანება კონტროლის პალატასთან თანამშრომლობით კმაყოფილია

ნინო ნარჩემაშვილი

უკანასკნელი 18 თვის განმავლობაში საქართველოს კონტროლის პალატის მხარდასაჭერად (დსთ-ს ქვეყნებისათვის ევროგაერთიანების ტექნიკური დახმარების პროგრამის (Tacis) ფარგლებში) ტექნიკური დახმარების ორი პროექტი განხორციელდა. პირველი პროექტი, რომლისთვისაც ევროგაერთიანებამ 30 ათასი ევროს ოდენობის გრანტი გამოყო, გასულ წელს დასრულდა და მისი შედეგები მეორე - 20 ათასი ევროს ღირებულების პროექტის განხორციელების მიზეზი გახდა.

გუშინ, "შერატონ მეტეხი პალასში," საქართველოს კონტროლის პალატისა და ევროგაერთიანების წარმომადგენლებმა მეორე პროექტის შედეგების განხილვა მოაწყვეს. პროექტის მიზანი იყო კონტროლის პალატის განვითარებისთვის საფუძვლის შექმნა, რათა სამომავლოდ მიღწეულ იქნას მისი გარდაქმნა თანამედროვე და მაღალეფექტურ აუდიტორულ ორგანიზაციად. ასეთი ორგანიზაცია კი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მთავრობის ეფექტურობის გაზრდაში, კორუფციის შემცირებასა და საერთო ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში. TACIS-ის ექსპერტის იან ბოლტონის განცხადებით, პროგრამა წარმატებულად დასრულდა. გაერომ და გერმანიის მთავრობამ კი შემდგომი პროექტების განხორციელების სურვილი გამოთქვეს, რომლებიც, სავარაუდოდ, კონტროლის პალატას ტრეინინგის განხორციელებაში დაეხმარება.

კონტროლის პალატის ხელმძღვანელის სულხან მოლაშვილის განცხადებით, პროექტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ისინი ანტიკორუფციული ხასიათისაა. საზოგადოებას საშუალება ექნება, გაიგოს, თუ რა სტრატეგიით იმუშავებს მომავალში კონტროლის პალატა.

დაბოლოს, ევროგაერთიანების დელეგაციის ხელმძღვანელის ტორბენ ჰოლცეს შეფასებით, TACIS-ის პროექტები საქართველოში ყველაზე ეფექტურად კონტროლის პალატაში განხორციელდა.

მოკლედ

თბილისი. მიმდინარე წელს ჯანდაცვის სფერო გათავისუფლდა სამეწარმეო საქმიანობაზე ერთპროცენტიანი გადასახადისგან, რაც შესაძლებელს გახდის სამედიცინო მომსახურების ყველასთვის ხელმისაწვდომობას. როგორც გუშინდელ ბრიფინგზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა, ჯანდაცვის სფერო ასევე გათავისუფლდა საგზაო, მოგების, ქონების გადასახადისგანაც. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ თბილისში გაზის აფეთქების ორი შემთხვევა დაფიქსირდა, მსხვერპლი არ არის. როგორც "თბილგაზის" საავარიო სამსახურში განაცხადეს, ავჭალის დასახლებაში მომხდარი აფეთქების შედეგად ერთმა ადამიანმა მიიღო დამწვრობა. მეორე შემთხვევა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მოხდა. დგინდება აფეთქების გამომწვევი მიზეზები. ავარიის სამსახური არ აკონკრეტებს, ჰქონდა თუ არა ადგილი გაზის გაჟონვას. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა გენერალურ პროკურორ ნუგზარ გაბრიჩიძეს "ეი-ი-ეს თელასის" ქმედებებზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით მიმართა. მისი განცხადებით, "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, "ეი-ი-ეს თელასი" ჯიუტად ცდილობს სასამართლო გადაწყვეტილების იგნორირებას და მოსახლეობისგან ფულის გამოძალვას აგრძელებს." საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ახალი ტარიფი სემეკმა მიმდინარე წლის 1 მარტამდე უნდა დაადგინოს, მანამდე მოსახლეობამ ელექტროენერგიის საფასური ძველი ტარიფით უნდა გადაიხადოს. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი ენერგოობიექტების მშენებლობის გადასახადებისგან, მათ შორის - დღგ-სგან, გათავისუფლებას ითხოვს. გუშინ მინისტრმა გიორგი გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში ელექტროენერგიის ტარიფს სერიოზული შეღავათები ექნება; თუმცა, სახელმწიფო ბიუჯეტი 25 მილიონ ლარს დაკარგავს. ამ წინადადებას მხარს უჭერს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავაც. **მედია-ნიუსი.**

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ
2003 30 იანვარი - 5 თებერვლის მდგომარეობით

მსოფლიოს ვალუტების კროსკურსები

	UKE	US$	Euro	Yen
UKE		0.6084	0.6597	0.0051
US$	1.6492		1.0882	0.0084
Euro	1.5153	0.9189		0.0077
Yen	197.37	119.72	130.24	

ვაკე-საბურთალოს პროკურატურამ „გძბ"-ის ხელმძღვანელების წინააღმდეგ საქმე აღძრა

სოფიკო ოხანაშვილი

გუშინ, ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში პროცესის დაწყებამდე, ვაკე-საბურთალოს პროკურორმა დალი იმნაიშვილმა დააკმაყოფილა "გაერიანებული ქართული ბანკის" მეანაბრეების ადვოკატების - ეკა ბესელიას და ლილი გელაშვილის მოთხოვნა "გაერთიანებული ქართული ბანკის" ხელმძღვანელი პირების მიმართ 180-ე (თაღლითობა) მუხლით სისხლის-სამართლის საქმის აღძვრის შესახებ. პროკურორის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ დარბაზში მყოფი მეანაბრეებისა და მათი ადვოკატის კმაყოფილება გამოიწვია. **"ახლა დაიწყება საქმის გამოძიება, დაიკითხებიან მოწმეები და ეჭვმიტანილები და შეიძლება, ვანო ჩხარტიშვილამდეც მივიდნენ",** - განაცხადა ეკა ბესელიამ. პროკურორის განცხადების შემდეგ მოსამართლე ლალა კალიჩენკომ სასამართლო სხდომა დამთავრებულად გამოაცხადა.

მეანაბრეების ადვოკატებმა "გაერთიანებული ქართული ბანკის" ხელმძღვანელების მიერ ერთი მილიონი აშშ დოლარის ოდენობის თანხის თაღლითური გზით მითვისებაზე გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვეს. ვაკე-საბურთალოს საგამომძიებო სამსახურმა საქმე არ აღძრა. ბესელიას ინფორმაციით, ადვოკატებმა მიღებული გადაწყვეტილება ვაკე-საბურთალოს რაონულ სასამართლოში გაასაჩივრეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა რაიონულ პროკურატურას დაევალა; მაგრამ რაიონულმა პროკურატურამ მაშინ დავალება არ შეასრულა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარი განაცხადა. გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მეორედ უნდა განეხილა დაზარალებული მხარის საჩივარი.

ეკა ბესელია და გახარებული მეანაბრეები.

ფინანსთა სამინისტრო იანვრის ბიუჯეტის გარღვევას უარყოფს

პირველი გვერდიდან

გეტყვით, მაგრამ თავისთავად დადებითია ის ფაქტი, რომ წელს, შარშანდელთან შედარებით, ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა", - აღნიშნა მინისტრის მოადგილემ. მისი განცხადებით, ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრობლემას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან ცენტრალურ ბიუჯეტში თანხების მობილიზება წარმოადგენს. ჩრდილელი იმედოვნებს, რომ კონსტრუქციული მოლაპარაკებით ამ პრობლემის მოგვარებას შეძლებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ცენტრალური ბიუჯეტი ყოველწლიურად დაკარგავს დაახლოებით 50 მილიონი ლარის ოდენობის შემოსავლებს.

ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი კი, სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად, გუშინ ბრიუსელში გაემგზავრა. ვიზიტის მიზანს ევროგაერთიანებიდან ჯერ კიდევ შარშან მისაღები, სასურსათო უსაფრთხოების პროგრამით გათვალისწინებული 44 მილიონიანი გრანტის გადმორიცხვასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების გამართვა წარმოადგენს. 2002 წელს ევროგაერთიანებამ საქართველოს მხოლოდ ორი მილიონი ლარი გამოუყო. ჩრდილელის განცხადებით, 44 მილიონი საქართველოს დღე-დღეზე გადმოერიცხება.

შესყიდვების სპეციალისტი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენის ექსპლოატაციის და მშენებლობის პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს შესყიდვების სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად. შესყიდვების სპეციალისტი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს აღწერა:

შესყიდვების სპეციალისტის პასუხისმგებლობის სფეროში შედის საქონლისა და მასალების შესყიდვის კონტრაქტების გაფორმება, ხოლო ძირითად მოვალეობას შეადგენს შესყიდვების ზოგადი ადმინისტრირება. შესყიდვების სპეციალისტს მოეთხოვება უზრუნველყოს, რომ კომპანია "ბიტ-პი"-ს სახელით განხორციელებული შესყიდვები შესრულდეს ეთიკური ნორმების სრული დაცვით, ჯანსაღი ბიზნეს-პრაქტიკის გამოყენებით, ხარისხის, საერთო ღირებულების, მოწოდების პირობების, საიმედოობის, უსაფრთხოების ტექნიკისა და გარემოს დაცვის, აგრეთვე შესაბამისი წესებისა და ნორმების მოთხოვნების შესრულების პირობებში, რომელიც ჩამოყალიბებულია "ბი-პი"-ს ბროშურაში - "ჩვენი პრინციპები" ("What We Stand For").

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

შესყიდვებთან დაკავშირებული კონკრეტული მოვალეობები მოიცავს შემდეგს:
მოთხოვნების დამუშავება მარაგების რეგულარული, არასასწრაფო შესყიდვის თაობაზე. კონკრეტულ ფუნქციებში შედის:
საერთაშორისო და ადგილობრივი მომწოდებლების მოძებნა, სატენდერო სიის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში) და ფასიანი წინადადებების მოთხოვნის გამოქვეყნება;
ფასიანი წინადადებების მიღება და შეფასება, კონტრაქტის გაფორმების რეკომენდაციის გაცემა;
ძირითადი "მიწოდების შეკვეთების" მომზადება;
შეკვეთის გაფორმების შემდგომი მენეჯმენტი, მათ შორის, ტექნიკური და კომერციული საკითხების გადაწყვეტის ოპერატიული კოორდინირება;
"მიწოდების შეკვეთების" და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების სათანადო აღრიცხვიანობის წარმოება.
კონტრაქტების გაფორმების ნაწილში კონკრეტული მოვალეობები მოიცავს შემდეგს:
"მომსახურების შეკვეთის" მომზადება რეგულარულ, არასასწრაფო მომსახურებაზე;
ჩარჩო-ხელშეკრულებების მომზადება;
სხვა ძირითადი კონტრაქტების მომზადება;
კონტრაქტის გაფორმების შემდგომი ადმინისტრირება;
კონტრაქტების და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების სათანადო აღრიცხვიანობის წარმოება.
პასუხისმგებლობათა სფეროში შედის ისეთი საკითხების უზრუნველყოფა, როგორიცაა:
დამკვეთის მოთხოვნების და გრაფიკების დაცვა;
პროფესიული და ეთიკური ბიზნეს-პრაქტიკის წესების მუდმივად დაცვა;
დამოწმების და შესაბამისი სახელმძღვანელოებით დაწესებული კონტროლის სხვა მექანიზმების შესრულება;
ხარისხის, საერთო ღირებულების, მოწოდების პირობების, საიმედოობის, უსაფრთხოების ტექნიკის და საქართველოს სხვა შესაბამისი კანონმდებლობის და ნორმატივების სათანადოდ დაცვა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში;
შემკვეთის ინიციატორის ინფორმირება შეკვეთასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
საჭიროების შემთხვევაში, უფრო გამოცდილი კოლეგებისაგან კონსულტაციის მიღება.

გამოცდილება და განათლება:

კანდიდატს უნდა გააჩნდეს უმაღლესი განათლების დიპლომი. აუცილებელია კონტრაქტების და შესყიდვების სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 2 წლის სტაჟი. უაღრესად სასურველია ინგლისურად ზეპირმეტყველების და გამართული წერითი მეტყველების უნარი. სასურველია რუსული ენის თავისუფლად ფლობის უნარი. ადამიანებზე ზემოქმედების დადებითი უნარის ფლობა აუცილებელია. უპირატესობა ენიჭება დასავლურ ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილებას. კანდიდატს მოეთხოვება დატვირთული სამუშაოსთვის თავის გართმევის უნარი - სამუშაოს ხარისხის, სიზუსტის და დროის ჩარჩოების დაცვის პირობებში.
აუცილებელია კომპიუტერული პროგრამების - Microsoft Word და Excel - სრულყოფილი ფლობა და კომპიუტერთან მუშაობის ჩირითადი უნარ-ჩვევები.
კანდიდატისთვის საჭირო ტექნიკური უნარ-ჩვევები, ზოგადად, მდგომარეობს შემდეგში:
შესყიდვების ძირითადი წესების გამართული ცოდნა სამუშაო დონეზე;
ამ ცოდნის გამოყენებით, რეგულარულ შეკვეთებთან დაკავშირებული შესყიდვების დოკუმენტების მომზადება და გამოცემა;
შეკვეთების დოკუმენტების ეფექტური განკარგვა და შეკვეთის შემდგომი ოპერაციების შესრულება, მინიმალური ზედამხედველობის პირობებში.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადა 2003 წლის 12 თებერვალი, ოთხშაბათი, 18 საათი.
კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.
ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი საქართველო"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

ექსპლოატაციის ტექნიკოსი

კომპანია "ბი-პი ექსპლორეიშენ (კასპიან სი) ლიმიტედ" (საქართველო) BP Exploration (Caspian Sea) LTD. Georgia) აცხადებს კონკურსს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ექსპლოატაციის ნაწილში ექსპლოატაციის ტექნიკოსის ვაკანსიის დასაკავებლად.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

შერჩეული კანდიდატები გაივლიან ოფიციალურ სწავლებას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სრულ ამოქმედებამდე, და ორიენტაციის პროგრამის გავლის შემდეგ ჩაირიცხებიან მილსადენის ექსპლოატაციის და ტექმომსახურების ჯგუფში, რომელიც უზრუნველყოფს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის და მისი ობიექტების გამართულ მუშაობას და მექანიკურ მთლიანობას.

ზოგადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები მდგომარეობს შემდეგში (არ შემოიფარგლება რა ამით):

- საექსპლოატაციო ტექმომსახურების პროცედურების ცოდნის დემონსტრირება;
- მილსადენის ტექმომსახურების ყველა საჭირო პროცესის, პროცედურის და ვალდებულების სათანადოდ შესრულება;
- კომპანიის პოლიტიკის წესების დაცვა, ვალდებულებების და მენეჯმენტის სისტემის მოთხოვნების შესრულება;
- "ადამიანთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ტექნიკის და გარემოს დაცვის" (HSE) პრინციპებისადმი ერთგულების დემონსტრირება:
  - უსაფრთხო და ეფექტური კონტროლის განხორციელება სამუშაო ობიექტზე;
  - "მუშაობის ნებართვის" სისტემის და ობიექტის უსაფრთხოების ჟურნალის შევსების ყველა წესის შესრულება;
  - HSE-ს და "წარმოების" სფეროებში პროცედურების დაცვის უზრუნველყოფა.
- პროფილაქტიკური მიდგომა პრობლემების მოგვარებისადმი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისათვის მზადყოფნა;
- მზადყოფნა მოშორებული ადგილმდებარეობის მქონე ობიექტებზე მუშაობისათვის;
- აუცილებელია ადამიანებთან ურთიერთობის დადებითი უნარის გამოვლენა ობიექტზე მომუშავე პერსონალთან და მილსადენის საოპერაციო ჯგუფის წევრებთან ურთიერთობისას;
- აუცილებელია გუნდური მუშაობის კარგი უნარი;
- სხვადასხვა მოწყობილობის ტექნიკური მახასიათებლების ათვისების უნარის გამოვლენა;
- აქტიური მონაწილეობა მილსადენის / ობიექტების გამართული მუშაობის მართვის პროცესში;
- სამუშაოს დაგეგმვის და დროის განაწილების ჩამოყალიბებული უნარი.

კონკრეტული მოვალეობები განისაზღვრება გამოსაცდელი პერიოდის გასვლის შემდეგ.

მუშაობის გამოცდილება და განათლება:
კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების დიპლომი ტექნიკური სპეციალობით (ინჟინერი);
- საწარმოო დაწესებულებებში, მაგ., ელექტრო, ხელსაწყოების, მექანიკურ საწარმოებში მუშაობის საკმარისი გამოცდილება;
- ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერითი მეტყველების უნარი და ენის უკეთ შესწავლის სურვილი;
- ავტომანქანის მართვის უფლება (მინიმუმ "B" კატეგორია);
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2003 წლის 14 თებერვალი, პარასკევი, 18 საათი.
კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.
ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი საქართველო", საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

ბუშის ადმინისტრაციისთვის საქართველო კვლავ პრიორიტეტულ ქვეყნად რჩება

რევაზ ბახტაძე

3 თებერვალს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 2004 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოადგინა. მსოფლიოს ერთადერთი ზესახელმწიფოს მიერ დაგეგმილი დანახარჯები უზარმაზარ გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის დინამიკაზე და საერთაშორისო არენაზე ვაშინგტონის პრიორიტეტებს ასახავს. ახალი პროექტი ცხადყოფს, რომ ბუშის ადმინისტრაცია საქართველოს სამხრეთ კავკასიაში კვლავ ყველაზე მნიშვნელოვან სახელმწიფოდ მიიჩნევს.



ჯორჯ ბუში

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, ბუშის ადმინისტრაცია მომავალ წელს 2.23 ტრილიონი დოლარის დახარჯვას გეგმავს, რათა ქვეყანამ მის წინაშე მდგარი სამი უმთავრესი ამოცანა გადაწყვიტოს: ტერორიზმის წინააღმდეგ ომის მოგება, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის სტიმულირება.

ბიუჯეტის პროექტში ვაშინგტონის მოკავშირეებისა და განვითარებადი ქვეყნებისათვის გასაწევ დახმარებას მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს. პროექტის თანახმად, ბუშის ადმინისტრაცია კონგრესს 49.5 მილიონი ამერიკული დოლარის გამოყოფას თხოვს სომხეთისათვის. გასულ წელს პრეზიდენტმა ანალოგიური მიზნით 70 მილიონი დოლარი მოითხოვა, მაგრამ კონგრესში განხილვის შემდეგ ეს თანხა 90.2 მილიონამდე გაიზარდა. 2002 წელს ერთ სულ მოსახლეზე გაწეული დამხარების მოცულობით სომხეთი ისრაელის შემდეგ მეორე ადგილზე იდგა, რაც, რეალურად, გავლენიანი სომხური ლობის აქტიური მოქმედების შედეგი უფროა, ვიდრე ვაშინგტონის საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტების გამოხატულება.

ახალი პროექტი სომხეთისათვის განკუთვნილ, ტრადიციულად გულუხვ დახმარებას მკვეთრად ამცირებს. ბუშის ადმინისტრაციამ შედარებით ნაკლებად შეამცირა აზერბაიჯანისათვის 2003 წელს გამოყოფილი თანხა - 46 მილიონი ამერიკული დოლარიდან 41.5 მილიონამდე 2004 წელს.

ამერიკის პრეზიდენტის ახალი საბიუჯეტო პროექტი სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის სამხედრო დახმარების თანაბარ შეკვეცას გულისხმობს და პარიტეტს იცავს.

სომხეთისათვის დახმარების შემცირებამ ამერიკაში სომხური ლობის აღშფოთება გამოიწვია. "ჩვენ ვიმუშავებთ [სომხური][სათვისტომოს მეგობარ კონგრესმენებთან ერთად, რათა აშშ-ის დახმარება იმ დონეზე ავიდეს, რაც უსაფრთხოების, ეკონომიკისა და რეგიონული პოლიტიკის საკითხებზე შეერთებულ შტატებთან სომხეთის თანამშრომლობას შეესაბამება", - განაცხადა არამ ჰამპარიანმა, ამერიკაში სომეხთა ეროვნული კომიტეტის აღმასრულებელმა დირექტორმა.

2004 წლისათვის თავისუფლების მხარდაჭერის აქტის ფარგლებში თეთრმა სახლმა სომხეთისათვის 49.5 მილიონი, აზერბაიჯანისათვის 41.5 მილიონი, ხოლო საქართველოსათვის 75 მილიონი დოლარი მოითხოვა. სამხრეთ კავკასიელ მეზობლებთან შედარებით, თითქმის, ორჯერ მეტი თანხის გამოყოფა იმაზე მიანიშნებს, რომ ბუშის ადმინისტრაციისათვის საქართველო კვლავ მნიშვნელოვანი ინტერესების ობიექტს წარმოადგენს და კორუფციაში ჩაფლულ ქვეყანას ვაშინგტონი ჯერჯერობით მთლიანად ზურგს არ აქცევს. რაც შეეხება საგარეო სამხედრო დაფინანსებასა და საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და წვრთნის პროგრამებს, ბუში სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის მხოლოდ 3.4 მილიონს მოითხოვს, ხოლო საქართველოსათვის 11.3 მილიონს ითვალისწინებს. აქ არ იგულისხმება "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამით" გათვალისწინებული სამხედრო დახმარება საქართველოსათვის.

აშშ-ის დახმარება

	2002 რეალური	2003 მოთხოვნილი	2004 მოთხოვნილი
სომხეთი	$90.2 მილიონი	$70 მილიონი	$49.5 მილიონი
აზერბაიჯანი	$43.51 მილიონი	$46 მილიონი	$41.5 მილიონი
საქართველო	$89.807 მილიონი	$75 მილიონი	$87 მილიონი

საგარეო სამხედრო დაფინანსება (FMF)

	2002 რეალური	2003 მოთხოვნილი	2004 მოთხოვნილი
სომხეთი	$4,000,000	$3,000,000	$2,500,000
აზერბაიჯანი	$4,000,000	$3,000,000	$2,500,000
საქართველო	$31,000,000	$7,000,000	$10,000,000

საერთაშორისო სამხედრო განათლება და წვრთნა (IMET)

	2002 რეალური	2003 მოთხოვნილი	2004 მოთხოვნილი
სომხეთი	$75,000	$750,000	$900,000
აზერბაიჯანი	$377,000	$750,000	$900,000
საქართველო	$889,000	$1,200,000	$1,300,000

წყარო: ამერიკელ სომეხთა ეროვნული კომიტეტი

თავდაცვა უპირველეს ყოვლისა

ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის ინიციატივით მკვეთრად იზრდება თავდაცვის ბიუჯეტი, რომელმაც პრეზიდენტის გეგმის თანახმად, ათწლეულის ბოლოს წელიწადში 500 მილიარდ დოლარს უნდა მიაღწიოს.

ორშაბათს გამოქვეყნებულ 2.23 ტრილიონიან პროექტში ბუში თავდაცვის სფეროსათვის დამატებით 15.3 მილიარდს ითხოვს, რაც ჯამში 379.9 მილიარდ დოლარს შეადგენს. მიმდინარე წელთან შედარებით (364.6 მლრდ) თავდაცვის ბიუჯეტი 4.2 პროცენტით გაიზარდა. თუმცა, მოთხოვნილ თანხებში ერაყში მოსალოდნელი ომის ხარჯები არ არის გათვალისწინებული.

თავდაცვის დანახარჯები ახალი ბიუჯეტის დაახლოებით 13.5 პროცენტს შეადგენს. აშშ თავდაცვაზე იმდენს ხარჯავს, რამდენსაც ყველაზე განვითარებული ოცი ქვეყანა ერთად აღებული.

თავდაცვის ხარჯების მკვეთრი ზრდა 307 მილიარდიან საბიუჯეტო დეფიციტს გამოიწვევს, რაც რეკორდული მაჩვენებელია, მაგრამ ერთობლივ შიდა პროდუქტთან (მშპ) შეფარდებით ადრე გაცილებით უარესი მდგომარეობა იყო. თეთრი სახლის ინფორმაციით, 1992 წელს მამა ბუშის დროინდელი საბიუჯეტო დეფიციტი - 290 მილიარდი დოლარი მშპ-ის 6 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2004 წელს ეს მაჩვენებელი დაახლოებით 3 პროცენტი იქნება.

აღსანიშნავია, რომ კლინტონის ადმინისტრაციის ბოლო წლებში დემოკრატები ტრილიონიან პროფიციტს (დაგეგმილ ხარჯებზე მეტი შემოსავალი) ვარაუდობდნენ. "[დემოკრატების წასვლის შემდეგ] პროფიციტი დეფიციტმა ჩაანაცვლა, მშვიდობა – ომმა, ხოლო ეკონომიკამ 2 მილიონი სამუშაო ადგილი დაკარგა", - აღნიშნავს დემოკრატი კონგრესმენი ჩარლს რანგელი.

თავდაცვაზე დანახარჯების მკვეთრ ზრდას თან სდევს გადასახადების შემცირების 10 წლიანი პროგრამა, რომელიც რესპუბლიკელების გათვლით, გადასახადების გადამხდელებს 670 მილიარდ დოლარს დაუზოგავს. ბუშის აზრით, საგადასახადო რეფორმა ამერიკული ეკონომიკისთვის უზარმაზარი სტიმული იქნება, რაც ბევრს სადავოდ მიაჩნია.

ახალი ბიუჯეტით, ბუნებრივია, ყველაზე მეტად პენტაგონია კმაყოფილი. ამერიკის თავდაცვის უწყების განცხადებით, შემდეგი წლის ბიუჯეტი პენტაგონის ინტერესს, რეალურად, ითვალისწინებს, რაც სამხედრო სფეროს სრულ ტრანსფორმირებას გულისხმობს.

ტერორიზმის წინააღმდეგ ომში ამერიკის მოკავშირეები (ისრაელი, იორდანია, პაკისტანი და კოლუმბია) გასულ წლებთან შედარებით კიდევ უფრო მეტ დახმარებას მიიღებენ.

თეთრი სახლის საბიუჯეტო განყოფილების დირექტორმა მიჩ დანიელსმა "ვაშინგტონ პოსტს" განუცხადა, რომ ერაყში ომის დაწყების შემთხვევაში ადმინისტრაცია კონგრესს დამატებით ფულს მოსთხოვს. "მე ეჭვი არ მეპარება, რომ კონგრესი სწრაფად იმოქმედებს", - აღნიშნა მან.

დანიელსის ოპტიმიზმის მიუხედავად, სენატის ერთ-ერთი რესპუბლიკელი სენატორის თანაშემწემ "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტს ანონიმურობის პირობით განუცხადა, რომ ერაყთან ომი თეთრ სახლს მთელი საბიუჯეტო პროცესის ხელახლა დაწყებას აიძულებს. "ეს ბიუჯეტი სულ რამდენიმე დღეში გაუქმდება", - დასძინა ანონიმმა რესპოდენტმა.

დამოუკიდებელი ექსპერტების გათვლებით ერაყთან ომი 100 მილიარდი დოლარი დაჯდება.

თვალშისაცემია ტერიტორიული უსაფრთხოების დეპარტამენტისათვის გამოყოფილი თანხა - 36.2 მილიარდი დოლარი. ეს 7 პროცენტიანი ზრდაა გასულ წელს იმ სამთავრობო დანესებულებებისათვის გამოყოფილ თანხებთან შედარებით, რომელიც ახალმა უწყებამ გააერთიანა.

წარმოდგენილი პროექტის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ თავდაცვის დანახარჯების ზრდის გამო სხვა პროგრამების დაფინანსება გაცილებით ნელა გაიზრდება, ან საერთოდ შემცირდება, განსაკუთრებით ბუშის მიერ დაგეგემილი გადასახადების შემცირების ფონზე.

ახალი ბიუჯეტი განათლების სამინისტროს დაფინანსებას 5 მილიარდი დოლარით უკვეცავს, რაც 45 პროგრამის მთლიანად გაუქმებას გამოიწვევს. ბუში ცდილობს სამთავრობო პროგრამების პრივატიზაცია მოახდინოს.

კონსერვატული სოციალური შეხედულებებიდან გამომდინარე ბუშის ახალი ბიუჯეტი ახალგაზრდა ორსული ქალებისათვის ფულად დახმარებას ითვალისწინებს, აფართოებს იმ სამთავრობო პროგრამებს, რომელთა მიზანს ოჯახების შექმნის წახალისება და აბორტების რაოდენობის შემცირება წარმოადგენს.

სენატის უმცირესობის ლიდერმა ტომ დეშლმა ბუშის ახალ პროექტზე საუბრისას განაცხადა, რომ "ფისკალური თვალსაზრისით, პრეზიდენტი ბუში ისტორიის განმავლობაში ყველაზე უპასუხისმგებლო ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს".

აღსანიშნავია, რომ 2004 წელს მიღებულ ბიუჯეტს ძალზე დიდი პოლიტიკური დატვირთვა ექნება, რადგან ამ წელს საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. კონგრესს კი ჯერ 2003 საფინანსო წლის ბიუჯეტი არ დაუმტკიცებია, რომელიც ოთხი თვის წინ დაიწყო. ამის გამო, საბიუჯეტო დანახარჯების შემცირებისა და გაზრდის შესახებ შედარება გასულ წელს პრეზიდენტის მიერ ანალოგიური საბიუჯეტო პროექტის საფუძველზე კეთდება, რომლის თანახმად ახლა ნაწილდება ფული.

იმაზე, თუ რამდენად ხელშესახები იქნება გადასახადების შემცირებით გამოწვეული ეფექტი და რეალურად რა დაჯდება ერაყში ომი (თუ ის დაიწყო) ფინანსური და ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, ბევრად იქნება დამოკიდებული პოლიტიკურ ძალთა განლაგება აშშ-ში 2004 წელს.

პუტინის პარტიის რეიტინგი დაეცა

ვლადიმირ პუტინი

რუსეთის ყველაზე ავტორიტეტული სოციოლოგიური სამსახურის "საზოგადოებრივი აზრის შესწავლის რუსული ცენტრის" მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, საპარლამენტო არჩევნები დღეს რომ ტარდებოდეს (ის რამდენიმე თვის შემდეგ უნდა გაიმართოს), სახელისუფლო პარტია "ერთიანი რუსეთი" (იედინაია როსია) ხმების 14 პროცენტს მიიღებდა.

დეკემბერში ანალოგიური გამოკითხვის შედეგი 27 პროცენტი იყო.

თავად რუსეთის პრეზიდენტი კვლავინდებურად მაღალ რეიტინგს ინარჩუნებს. მისი პოპულარობა მუდმივად 70-80 პროცენტს შორის მერყეობს.

"დათვის" ("ერთიანი რუსეთის" მეორე სახელწოდება) პოპულარობის სწრაფი ვარდნის მიზეზად, ექსპერტები ორ გარემოებას ასახელებენ. პირველი საკადრო საკითხია; მაშინ, როცა პარტიის ხელმძღვანელის პოსტზე ბესპალოვის დათხოვნის შემდეგ, პოპულარული პოლიტიკოსები ლუჟკოვი, შოიგუ და შაიმიევი განიხილებოდნენ, კრემლმა უპირატესობა არაპოპულარულ შინაგან საქმეთა მინისტრს, გრიზლოვს მიანიჭა. საკადრო ცვლილებებს და შიდაპარტიულ ბრძოლას უკავშირდება სრული ჩავარდნა საზოგადოებასთან ურთიერთობაშიც.

მეორეც, მიმოხილველები აღნიშნავენ, რომ პარტიამ არჩევნების წინ დიდი ავანსები გასცა, ბევრი აიღო თავის თავზე და ახლა დანაპირების შესრულებას ვერ ახერხებს.

პრეზიდენტის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მრჩეველი, გლებ პავლოვსკი კი ფიქრობს, რომ ეს მონაცემები შეიძლება ოპონენტი პარტიების მიერ იყოს "შეკვეთილი", და რეალურად, პრეზიდენტის პარტია კვლავინდებურად ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად რჩება.

"ნეზავისიმაია გაზეტა" თავის წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, რომ პარტიის ხელმძღვანელობა ძალზე შეშფოთებულია რეიტინგის დაცემით და გარკვეული ნაბიჯების გადადგმას აპირებს. მათ შორის პირველი პარტიის წინასაარჩევნო ბიუჯეტის 500 მილიონი დოლარიდან 1 მილიარდამდე გაზრდა იქნება.

ჩრდილოეთ კორეამ ერთ თვეში შეიძლება ატომური ბომბი შექმნას

ჰირველი გვერდიდან

დიპლომატიურ იზოლაციის, ან ეკონომიკური სანქციების დაწესებისაგან. ფხენიანი აცხადებს, რომ სანქციების დაწესებას ომის გამოცხადებად განიხილავს.

შეერთებულმა შტატებმა არაერთხელ განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებას არ აპირებს. მიზეზი ნათელია - ფხენიანს მილიონიანი არმია ჰყავს, რომელიც სამხეთ კორეის საზღვარზეა განლაგებული. თანაც, იმ დროს, როდესაც ერაყის წინააღმდეგ საომარი სამზადისი სრულდება, ამერიკას არ სურს მეორე კრიზისული კერის შექმნა.

ამის გამო ბევრი ადანაშაულებს ამერიკას იმაში, რომ ნაცვლად იმისა რომ რეალურ პრობლემას (ჩრილოეთ კორეას) მიხედოს, იგი წარმოსახულ საფრთხეს (ერაყს) ებრძვის.

რაც შეეხება ბომბდამშენების შესაძლო გადასროლას (ბ-1 და ბ-52 ამერიკული მძიმე სამხედრო ავიაციის სიამაყედ ითვლება), პენტაგონი აცხადებს, რომ ეს იმისთვის ხდება, რომ ერაყთან ომის დაწყების შემდეგ, ჩრდილოეთ კორეამ "ოპორტუნისტული" ნაბიჯები არ გადადგას.

არადა, არის საშიშროება, რომ ჩრდილოეთ კორეის მთავრობამ, რომელიც გამუდმებით აცხადებს, რომ აშშ-ის მისი დამხობა სურს, ეს ნაბიჯი აღიქვას, როგორც ომისთვის მზადება და თავადაც შეასაბამისი ნაბიჯები გადადგას, რაც კონფლიქტის ესკალაციას გამოიწვევს.

"გააკოტრე და იბატონე"

რუსულ ნავთობზე მოთხოვნა ყოველდღიურად იზრდება, საექსპორტო ინფრასტრუქტურა ვეღარ აუდის გაზრდილ დატვირთვას, ამ დროს კი რუსეთი აცხადებს, რომ ლატვიის გავლით ნავთობის ექსპორტს აღარ გააგრძელებს.

ზოტა უტიაშვილი

ანტიტერორისტული კამპანიის, სპარსეთის ყურეში საომარი სამზადისისა და ვენესუელის კრიზისის დამთხვევამ ნავთობზე ფასების არნახული ზრდა გამოიწვია. ფასების სტაბილიზებაში და ნავთობზე შესაძლო დეფიციტის თავიდან აცილებაში რუსეთს განსაკუთრებული როლი ეკისრება. დასავლეთის ქვეყნებსა და მათ შორის, შეერთებულ შტატებს იმედი აქვთ, რომ სწორედ რუსული ნავთობის მეშვეობით მოხდება არასტაბილური ახლო აღმოსავლეთის ნავთობზე დამოკიდებულების შემცირება. გასულ ზაფხულს, ისტორიაში პირველად, რუსული ნავთობით დატვირთულმა ტანკერმა ამერიკულ პორტში ჩაუშვა ღუზა, მოგვიანებით კი აშშ-რუსეთის ენერგეტიკული სამიტი გაიმართა.

მეორე მხრივ, ნავთობზე მაღალი ფასები და გაზრდილი მოთხოვნა რუსეთისათვის, ნამდვილი "ღვთის წყალობა" იყო. რუსეთის საბიუჯეტო შემოსავლების ლომის წილი სწორედ ნავთობსა და გაზზე მოდის.

მოთხოვნა რუსულ ნავთობზე იმდენად გაიზარდა, რომ ქვეყნის უზარმაზარი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა მის გატარებას ვეღარ ახერხებს. როგორც ლუკოილის ვიცე-პრეზიდენტმა ფედუნმა ნიუ იორკ ტაიმსს განუცხადა, წლის ბოლოსათვის რუსეთში დაგროვდება 60-130 მილიონი ბარელი ჭარბი ნავთობი, რომელიც მომხმარებლამდე ვერ მიაღწევს.

რუსეთის ნავთობსადენების მთელი ქსელი ერთ სახელმწიფო კომპანიას, "ტრანსნეფტს" ეკუთვნის. რამდენიმე ხნის წინ, "ტრანსნეფტმა" ერთ-ერთ მსხვილ რუსულ ნავთობკომპანიას სურგუტნეფტეგაზს უარი უთხრა ნავთობის დამატებითი რაოდენობის გატარებაზე.

ხსენებული ლუკოილის ვიცე-პრეზიდენტი ფედუნი აცხადებს, რომ ორ წელიწადში, საექსპორტო ნავთობის რაოდენობა ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობას დღეში 580 ათასი ბარელით გადააჭარბებს.

ამგვარ ვითარებაში "ტრანსნეფტმა" მიიღო გადაწყვეტილება შეეწყვიტა რუსული ნავთობის ექსპორტი ლატვიაში ვენტსპილსის ტერმინალიდან, რომელიც სიდიდით მეორეა ნოვოროსიისკის ტერმინალის მერე.

ვენტსპილსის ტერმინალს წელიწადში 16 მილიონი ტონა ნავთობის გატარება შეუძლია და ერთადერთია მსხვილ ტერმინალებს შორის, რომელიც მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს. მისმა დაკეტვამ ნავთობის მომპოვებელთა უკმაყოფილება გამოიწვია. რუსეთის ხუთივე უდიდესმა ნავთობკომპანიამ მთავრობას გადაწყვეტილების შეცვლა სთხოვა., ამ თხოვნას პრემიერმა კასიანოვმა დემონსტრატიული იგნორირებით, ხოლო ვიცე-პრემიერმა ხრისტენკომ, რომელიც ქვეყნის ნავთობინდუსტრიას აკონტროლებს, ცივი უარით უპასუხა.

ექსპერტების აზრით, რუსეთმა მოქმედებაში მოიყვანა ტრადიციული სქემა, რომელიც მას არაერთხელ გამოუყენებია და როგორც ჩანს, მომავალშიც არაერთხელ გამოიყენებს.

ვენტსპილსს, რომელიც ლატვიაში ყველაზე დიდი ეკონომიკური სუბიექტია, რამდენიმე ხანს ამერიკული კომპანია აკონტროლებდა. რუსეთმა, რომელიც ტერმინალისათვის ნავთობის ერთადერთი მიმწოდებელია იოლად მოახერხა იგი წამგებიანი გაეხადა. "უილიამს ინტერნეშენალმა" თავისი აქციების გაყიდვა გადაწყვიტა. შესაძლო მყიდველად ასახელებდნენ რუსულ კომპანია იუკოსს. გარდა ამისა, თავისი კუთვნილი აქციების გაყიდვა გადაწყვიტა ლატვიის მთავრობამაც. საეჭვოა, რომ მას რუსების გარდა, სხვა მყიდველი გამოუჩნდეს.

როგორც გაზეთი "უოლ სტრიტ ჯორნელ იუროპი" წერს, რუსეთის მთავრობა ექსპორტის შეჩერებით, ცდილობს რაც შეიძლება გააუფასუროს ტერმინალი და მერე მინიმალურ ფასად ჩაიგდოს ხელში. ვენტსპილსის კონტროლი კი რუსეთს ლატვიის ეკონომიკასა და შესაძლოა პოლიტიკაშიც მნიშვნელოვან გავლენას პირდება.

ლატვია ცდილობს, ყველას დაუმტკიცოს, რომ ის, რასაც რუსეთი აკეთებს გაუმართლებელი ზეწოლაა, რომელსაც პოლიტიკური სარჩული უდევს. თუმცა, რაკი ეს ქვეყანა, ისევე როგორც საქართველო და აღმოსავლეთევროპული ქვეყნების უმრავლესობა, მთლიანად რუსულ ენერგოშემცველებზეა დამოკიდებული, მას ალბათ მაინც მოუწევს ყველაზე დიდი საწარმოს კონტროლი აღმოსავლელ მეზობელს გადააბაროს.

ვენტსპილსის საქმიდან ექსპერტები ორ საყურადღებო დასკვნას აკეთებენ. ერთი რომ რუსული დიდი ბიზნესი, განსაკუთრებით პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მთლიანად სახელმწიფოს გავლენის ქვეშაა, და მეორე, რომ კრემლი ინტენსიურად ცდილობს მის გამოყენებას ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებში რუსული გავლენის გაძლიერების მიზნით.



არჩევნები სკოლიდან უნდა დაიწყოს

“მუნიციპალური სკოლების საქმეში არაფერია პარტიზანული და ანარქისტული. ეს არის განათლების კანონის მოთხოვნის, პრეზიდენტის ანტიკორუფციული ბრძანებულებისა და იმ მითითებების შესრულება, რომელსაც განათლების მინისტრი არ ასრულებს. ამ შემთხვევაში ჩვენ პრეზიდენტის სურვილს ვასრულებთ”, - ამბობს “თავისუფლების ინსტიტუტის” თანამშრომელი ლევან რამიშვილი.

დალი კუპრავა

გუშინ “სამართლიანი არჩევნების” ოფისში მოეწყო შეხვედრა რომლის მიზანი იყო მუნიციპალური სასკოლო რეფორმის დეტალურად განხილვა და მის განსახორციელებლად მოქმედებების დაგეგმვა.

შეხვედრას ესწრებოდნენ “თავისუფლების ინსტიტუტისა” და “სამართლიანი არჩევნების” თანამშრომლები, აქტივისტი სტუდენტები და საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთი ცნობილი სახეების წყალობით მოხვდნენ ამ შეხვედრაზე.

ემზარ ჯგერენაია, ნოდარ ლადარია, ბაკურ სულაკაური, ლევან ბერძენიშვილი სწორედ ის ადამიანები არიან, ვინც უნდა მიეხმაროს საინიციატივო ჯგუფს და სკოლებში გაახმოვანოს მუნიციპალური სკოლის იდეა.

მუნიციპალური სკოლის არსი და მართვის სტრუქტურა

დაფუძნდეს თბილისში მუნიციპალური სკოლები და მთლიანად შეიცვალოს მართვის სისტემა. პროცედურულად, უკვე მომზადებულია ტიპური დებულება, რომელსაც დაამტკიცებს ქალაქის პრემიერი და შემდეგ სკოლები დამტკიცდება ინდივიდუალური აქტებით.

დღევანდელი მდგომარეობით, სკოლა არც შენობის და არც მიწის მფლობელი არ არის. ისინი თბილისის ქონებრივ დეპარტამენტს ეკუთვნის.

სკოლისთვის ქონების დაკანონება მუნიციპალური სკოლის დებულების საკვანძო საკითხია. სკოლა იქნება ქონების განმკარგავი, რაც ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. დღეს სკოლებში თავშეფარებული უმაღლესი სასწავლებლების საარენდე გადასახადი სკოლას არ ხმარდება და, დაუზუსტებელი ინფორმაციით, ბუნდოვან სპეცანგარიშზე ხვდება.

დღეს სკოლის დირექტორს განათლების მინისტრი ნიშნავს. მუნიციპალურ სკოლას მართავს სამეურვეო საბჭო, რომლის ფუნქციაა, დაამტკიცოს სკოლის ბიუჯეტი, აირჩიოს სკოლის დირექტორი. საბჭოს ფუნქციაა მასწავლებლის დამტკიცებაც.

სამეურვეო საბჭოში შედის ხუთი მშობელი და ოთხი მასწავლებელი.

მშობლები აირჩევა მშობელთა სათათბიროს მიერ, რომელშიც წარმოდგენილია ყველა კლასის თითო მშობელი. ხუთი მშობელი აირჩევა კვოტური პრინციპით: ორ-ორი დაწყებითი და საბაზო, ერთიც საშუალო სკოლის წარმომადგენელი. ოთხ მასწავლებელსაც, ასევე, კვოტური პრინციპით ირჩევს პედაგოგიური საბჭო.

ძირითადი დაფინანსება გათვლილი იქნება მოსწავლეზე. ამის შემდეგ განისაზღვრება დაფინანსება და ამას საკრებულო დაამტკიცებს. დიდი ხარჯები დარჩება საკრებულოს განკარგულებაში. ეს არის პასუხისმგებლობაც, რომ სკოლამ შეიმუშაოს საკუთარი სასწავლო გეგმები. სახელმწიფო სასწავლო გეგმას ამტკიცებს სამინისტრო, სასკოლო სასწავლო გეგმას კი ადგენს სკოლა.

დემოკრატია სამართლიანი არჩევნებით იწყება, ხოლო არჩევნები სკოლიდან უნდა დაიწყოს

“იდეა ძალიან მნიშვნელოვანია. ორგანიზაციაში, როგორიცაა სკოლა, არჩევნების ჩატარება ხელს შეუწყობს სამოქალაქო აზროვნების ჩამოყალიბებას. პრინციპულად ამ საქმის გადადება არჩევნების შემდეგ არ ღირს. კარგი საქმისთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, როდის”, - თქვა ემზარ ჯგერენაიამ.

“სამართლიანი არჩევნების” ოფისში. გამოსახულება ბაბუაძის ფოტოდან

“საქმე კეთდება ან ძალიან სწრაფად, ან საერთოდ არ კეთდება”, -ასე თვლის ლევან რამიშვილი, რომელიც სასკოლო არჩევნების ჩატარებას სასკოლო გამოცდებამდე ვარაუდობს. ეს სკოლებს ავტონომიას დაუმკვიდრებს და უფლებას მისცემს სკოლებს, თავად განკარგონ სახსრები განათლების მიზნებისთვის, არამიზნობრივ ხარჯვას კი ხელი შეუშალონ. მსოფლიო ბანკსა და სხვა უცხოურ ორგანიზაციებს სურთ, მაგრამ ვერ ეხმარებიან სკოლას იმის გამო, რომ ისინი არ არიან საჯარო იურიდიული პირი. დღეს სკოლები იურიდიულად არ არსებობენ. 1997 წელს მიღებული კანონი მოითხოვდა სკოლების დაფუძნებას საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად. ეს დღემდე არ გაკეთებულა. შარშან პრეზიდენტმა ანტიკორუფციული საბჭოს რეკომენდაციები სპეციალური ანტიკორუფციული ბრძანებულების სახით გამოსცა და იქ 2001 წლის გაზაფხულისთვის სამინისტროს ამ საკითხების გადაწყვეტა დაავალა. ამის შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციები შეხვდნენ სახელმწიფო მინისტრს. შეხვედრაში განათლების მინისტრიც მონაწილეობდა. ჯორბენაძემ მისცა მითითება, რომ რეფორმა უნდა დაჩქარდეს, რადგან სკოლების დირექტორების დანიშვნა ანაქრონიზმია და ეს არ არის სამინისტროს საქმე, რომელსაც სტანდარტების შემუშავება და მათზე კონტროლის დაწესება ევალება. განათლების სამინისტროს ეს არ გაუკეთებია. მიზეზი, თუ რატომ არ უშვებს ხელიდან დირექტორთა დანიშვნის სადავეებს, გაუგებარია.

საზოგადოება სკოლას ანდობს მისთვის ყველაზე ძვირფასს - ბავშვებს. მაშ, რატომ უნდა იყოს საკამათო, რომ იგივე სკოლას ანდონ სახსრები, რითაც მათ ბავშვების განათლება უნდა უზრუნველყონ? საქართველო განათლებაზე ძალიან ცოტას ხარჯავს, თითქმის, უკანასკნელ ადგილზეა განვითარებად ქვეყნებს შორისაც კი. მაგალითად, მოლდოვა ათჯერ მეტს ხარჯავს განათლების საჭიროებებზე. საქართველოში კი ეჭქვეშ აყენებენ საკითხს, მოხვდეს თუ არა ეს თანხა იმათ ხელში, ვისზეც რეალურად არის დამოკიდებული ჩვენი შვილების მომავალი. დიდხანს იცხოვრა ქართულმა სკოლამ ისეთ ვითარებაში, როცა საქმე ერთ ადგილზე კეთდებოდა, ხოლო გადაწყვეტილებებს სხვაგან იღებდნენ. დროც შესაფერისია შერჩეული, როგორც თვლის ლევან რამიშვილი, რადგან ცოტა ხანში დაიწყება პოლიტიკური არჩევნების ორომტრიალი. თუმცა, ის, ამავე დროს, ამ არჩევნებს პოლიტიკური არჩევნების რეპეტიციადაც განიხილავს: “როგორ სამართლიანად ჩატარდება ეს არჩევნები, იმასაც გვიჩვენებს, შევძლებთ თუ არა პოლიტიკური არჩევნების სამართლიანად ჩატარებას”.

სად არის სირთულე, ანუ ვინ მოიპარავს ფულს: ჩინოვნიკი, დირექტორი თუ მასწავლებელი...

პირველ ეტაპზე, ოთხ სკოლაში, საინიციატივო ჯგუფმა უკვე გააცნო მუნიციპალური სკოლის პროექტი დირექტორს, მასწავლებლებსა და მშობლებს.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მატერიალური საკითხი, რომელიც, მეთოდოლოგიურად, ყველა სხვა მექანიზმზე უფრო ამართლებს. ამ თვალსაზრისით, საექსპერიმენტო სკოლების დირექტორები არც არჩევითობას დაუფრთხია. გამოიკვეთა შიში: ხომ არ დაუპირისპირდებიან განათლების სამინისტროს და სამინისტრო ხომ არ დაადანაშაულებს, რომ არ ასრულებს მათ ბრძანებას, ანუ “ჯერ ქალაქი და სამინისტრო მორიგდნენ”, ფიქრობენ ისინი და შემდეგ ყველაფრისთვის მზად არიან.

დებულებას კანონთან არავითარი წინააღმდეგობა არა აქვს. დებულება არ იჭრება სამინისტროს უფლებამოსილებაში -განათლების სამინისტროს უფლება არა აქვს, დააფუძნოს სკოლა. სკოლას თვითმმართველობა აფუძნებს. თუ სამინისტრო აღმოაჩენს, რომ მუნიციპალურ სკოლაში არ სრულდება ან ცუდად სრულდება სტანდარტები, ის უფლებამოსილია, არ მისცეს ლიცენზია, მასწავლებელთა სერტიფიცირება, სკოლების აკრედიტაცია. ეს ყველაფერი სამინისტროს ფუნქციად რჩება.

ლევან ბერძენიშვილის შეფასებით, რომელიც ერთ-ერთ სკოლაში დებულების “პროპაგანდისტი” იყო, ბუნებრივია, დირექტორი ამ პროექტის მოკავშირეა, მასწავლებელს აინტერესებს, თუ რატომ არის მშობელი ხუთი და მასწავლებელი ოთხი, როცა ისინი თვლიან, რომ ზოგიერთი მშობელი ისეთია, შვილი, რაც უფრო შორს იქნება მისგან, უკეთესია. რაც შეეხება მშობლებს, ისინი კატეგორიულად წინააღმდეგი ყოფილან. მაგალითად, პირველი კლასის მშობელმა არ იცის, დირექტორი კარგია თუ ცუდი და როგორ აირჩიოს ან არ აირჩიოს. ბერძენიშვილი ამ საქმის დასაგვირგვინებლად დემოკრატიულ ძალადობის საჭიროებასაც არ გამორიცხავს.

მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ საჭიროა შეხვედრების გაგრძელება, ხოლო მუნიციპალური სკოლის არჩევნების პროექტისთვის ნდობის მოსაპოვებლად ცნობილი, ავტორიტეტული ადამიანების “გამოყენება”. რას გადაწყვეტენ იქ მყოფი და არმყოფი ცნობილი სახეები, ესაუბრებიან თუ არა მასწავლებლებს და მშობლებს, მომავალი გვიჩვენებს.

ინფორმაცია

სამედიცინო დაწესებულებები სამეწარმეო საქმიანობის გადასახადისგან გაათავისუფლეს

პარლამენტის მიერ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, სამედიცინო დაწესებულებები წლეულს სამეწარმეო საქმიანობის ერთპროცენტიანი გადასახადისგან გაათავისუფლეს. როგორც დღეს გამართულ ბრიფინგზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა, პარლამენტმა ეს ცვლილება უროლოგიის ინსტიტუტის დირექტორის ლაური მანაგაძის ინიციატივით მიიღო.

მისივე ინფორმაციით, ეს პროცესი ეტაპობრივად განხორციელდება - გაზაფხულამდე შეეცდებიან, მიაღწიონ საავადმყოფოების გათავისუფლებას საგზაო, მოგების და ქონების გადასახადებისგან. **მედია-ნიუსი**

დიფტერიით ბავშვი გარდაიცვალა

დიფტერიით 6 წლის ბავშვი გარდაიცვალა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის რამაზ ურუშაძის განაცხადებით, ბავშვი ლანჩხუთის რაიონის მცხოვრები ყოფილა. როგორც გაირკვა, მისთვის დიფტერიის საწინააღმდეგო ვაქცინაცია არ ჩაუტარებიათ, რამაც ტრაგიკული შედეგი გამოიწვია. რაიონში დაგეგმილია ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შესწავლა და დაავადების მიზეზების დადგენა. შარშან ქვეყანაში დიფტერიის 28 შემთხვევა აღირიცხა. გარდაიცვალა ერთი ადამიანი. **მედია-ნიუსი**

ათონზე ქალების ადგილი არ არის

ევროპარლამენტში მოისმინეს საბერძნეთის კულტურის მინისტრის საგანგებო განცხადება ათონის წმინდა მთის მონასტრების მომავლის შესახებ.

ევანგელოს ვენიზელოსის ეს განცხადება არის პასუხი ცოტა ხნის წინათ ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციაზე, რომელიც წმინდა მთის ტერიტორიაზე ქალების დაშვების ტრადიციულ აკრძალვას აუქმებს.

მინისტრმა ვენიზელოსმა განაცხადა, რომ ევროსაბჭოსა და საბერძნეთის კონსტიტუციის შესაბამისი აქტებით დამოწმებული უძველესი მართლმადიდებლური ბერული რესპუბლიკის წესდება შემდგომ გადასინჯვას არ ექვემდებარება. „ათონზე არ არის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, რომლის მონახულება ქალებსაც შეუძლიათ. მთელი ტერიტორია ოცი სავანის საკუთრებაა“, - განაცხადა საბერძნეთის კულტურის მინისტრმა, რომელიც გაოცებულია, რომ ევროპარლამენტის ყურადღების ცენტრში მოულოდნელად აღმოჩნდა სწორედ მართლმადიდებლურ სავანეთა ცხოვრების წესი და არა, თუნდაც, ევროსაბჭოს შემადგენლობაში მყოფი სახელმწიფო ვატიკანი, რომლის მთავრობის ფორმირებაში მონაწილეობა ქალებს ეკრძალებათ. **მედია-ნიუსი**

ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე

ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მიმოსვლის მარშრუტისა და მასთან დაკავშირებული სიწმინდეების კვლევის მიზნით, ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ფონდის „ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრისა“ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომელთა მონაწილეობით მოეწყო კომპლექსური ექსპედიცია.

ეს იყო ასეთივე ტიპის ექსპედიციის გაგრძელება, რომელიც 2001 წლის 4-10 ოქტომბერს მოეწყო მარშრუტით: გეგუთ-ზეკარის უღელტეხილით აწყურამდე. წლევანდელი ექსპედიცია ისევ WWF-მა (ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა) დააფინანსა.

ექსპედიციას დახმარება გაუწია, აგრეთვე, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული ტყე-პარკის ხელმძღვანელობამ.

მონაწილეებმა გაიარეს ზემო იმერეთის მთიანეთის დღემდე შეუსწავლელი მარშრუტი: შერთული, სახვლარი, რკინის ჯვარი, სამეცხვარიო. რკინის ჯვარზე, სადაც, ექსპედიციის წევრთა აზრით, ანდრია პირველწოდებულს ჯვარი უნდა აღემართა, თბილისის უნივერსიტეტის დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის მოძღვარმა მამა ბასილ ჟორჟიკაშვილმა პარაკლისი გადაიხადა.

საბოლოო დასკვნას იმის შესახებ, რომ ანდრია პირველწოდებულმა ზუსტად ამ მარშრუტით იმოგზაურა საქართველოში, ექსპედიცია გააკეთებს მაშინ, როცა ანდრია პირველწოდებულის გზის კვლევის ჯგუფი შეისწავლის და გაივლის ყველა იმ მარშრუტს, რომელიც სხვადასხვა წყაროშია მითითებული. **მედია-ნიუსი**

თბილისში გაზის აფეთქების ორი შემთხვევა დაფიქსირდა

გუშინ თბილისში გაზის აფეთქების ორი შემთხვევა დაფიქსირდა. "თბილგაზის" საავარიო სამსახურის ცნობით, ავჭალის დასახლებაში მომხდარი აფეთქების შედეგად ერთმა ადმიანმა მიიღო სხეულის დამწვრობა. მსხვერპლი არ არის. მიმდინარეობს ექპერტიზა, რათა აფეთქების გამომწვევი მიზეზები დადგინდეს. გაზის აფეთქების მეორე შემთხვევა აღინიშნა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რასაც მსხვერპლი არ მოჰყოლია. **კავკას-პრესი**

ველით გაზაფხულს

მაკა ჭაიანი

სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში გაზაფხულს ელიან. ამ გაზაფხულზე პარლამენტმა საპენსიო რეფორმის განხორციელებისთვის აუცილებელი სამი კანონპროექტი უნდა დაამტკიცოს. ამის გარეშე პენსიონერებისთვის მიცემული ყველა დანაპირები ფუჭი აღმოჩნდება, საპენსიო სისტემა კი ჭაობიდან ამოსვლას კიდევ ერთი წლით დააგვიანებს.

“გვეშველება ვითომ რამე?” ზაზა შარაშენიძის ფოტო

სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში შიშობენ, რომ, თუ პარლამენტმა გაზაფხულს გადააშორა, კანონპროექტების დამტკიცება ახალ პარლამენტს მოუწევს. ეს შეშფოთება სავსებით გასაგებია. შემოდგომაზე, საარჩევნო მარათონში ჩაბმული კანონმდებლებისთვის, ძირითადი მოვალეობები კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდება. არადა, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის გარეშე, ვერანაირი რეფორმა ვერ განხორციელდება.

საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ყოფილ სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში მომზადდა, სამ კანონპროექტს გულისხმობს, კანონპროექტებს: “სავალდებულო სოციალური დაზღვევის”, “სავალდებულო სადაზღვევო პენსიების შესახებ” და “სავალდებულო სოციალური დაზღვევის სისტემაში ინდივიდუალური (პერსონიფიცირებული) აღრიცხვისა და ინდივიდუალური ანგარიშების შემოღების შესახებ”.

კანონმა “სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ” უნდა უზრუნველყოს სადაზღვევო შესატანების ადმინისტრირება, განსაზღვროს სოციალური დაზღვევის ფორმირების მეთოდები და წესი, დაზღვეულის, დამზღვევისა და მზღვეველის უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები, სავალდებულო სოციალური დაზღვევის სფეროში ერთმანეთისგან გამიჯნოს სადაზღვევო და სახელმწიფო ვალდებულებები.

კანონმა “სავალდებულო სადაზღვევო პენსიების შესახებ” უნდა დაარეგულიროს ასაკის, შესაძლებლობების შეზღუდვისა და მარჩენალის დაკარგვის გამო სავალდებულო სადაზღვევო პენსიების გაანგარიშება და დანიშვნა. იგი უკვე პიროვნების დასაქმების პერიოდში შექმნის ხანდაზმულობისა თუ შრომისუუნარობის რისკისგან მისი დაზღვევის გარანტიებს.

სწორედ ამ პროექტშია საუბარი სადაზღვევო პენსიის ორ კომპონენტზე, რომელიც საპენსიო რეფორმის ნომერ პირველ სიახლედ ითვლება. ერთი - მინიმალური და საბაზისო ნაწილი, ყველასთვის ერთნაირი და გარანტირებულია, მეორე, სადაზღვევო ნაწილის სიდიდე კი დიფერენცირებულია და დამოკიდებულია სადაზღვევო სტაჟის ხანგრძლივობასა და სადაზღვევო შენატანების სიდიდეზე.

ფონდის გათვლების მიხედვით, საპენსიო ასაკი, როგორც ქალების, ისე მამაკაცებისთვის, 65 წლამდე გაიზრდება, მინიმალური სადაზღვევო სტაჟი 15 წელი იქნება, ბაზისური პენსია - ქვეყანაში წინა წელს არსებული საშუალო ხელფასის 13 პროცენტი. ფასების ინდექსის გათვალისწინებით, დანიშნული პენსიები ყოველწლიურად გაიზრდება. საწყისი პერიოდისთვის კი საშუალო პენსიის შეფარდება საშუალო ხელფასთან 30-35 პროცენტს შეადგენს.

კანონი “სავალდებულო სოციალური დაზღვევის სისტემაში ინდივიდუალური (პერსონიფიცირებული) აღრიცხვისა და ინდივიდუალური ანგარიშების შემოღების შესახებ” ითვალისწინებს ყველა დაზღვეული პირის (ადამიანის დაბადებისთანავე) პერსონიფიცირებულ აღრიცხვასა და მათზე პირადი სადაზღვევო ბარათების გაცემას. ყველა დაზღვეულ პირს ეხსნება ინდივიდუალური ანგარიში, რომელშიც აღირიცხება დაზღვეულის მიერ მუშაობის დაწყებიდან მასზე შეტანილი სოციალური დაზღვევის შესატანები და სადაზღვევო გასაცემლის გაცემა. პერსონიფიცირებული აღრიცხვის განხორციელება დაგეგმილია 2003 წლის მეორე ნახევრიდან.

2004 წლის 1 იანვრისთვის დაგეგმილი საპენსიო რეფორმის დაწყებისთვის ეს აუცილებელი ტექნიკური ბაზაა. ამდენად, წლევანდელი გაზაფხული ქართველი პენსიონერებისთვის ორმაგად მნიშვნელოვანია. მომძლავრებულმა მზემ მათ ძვლები უნდა გაუთბოს, ხელისუფლებამ კი, თუ, რა თქმა უნდა, პარლამენტი შიდაპოლიტიკურ ინტრიგებს არ გადაყვა, მათი სიბერის შემსუბუქებისთვისაც უნდა მოიცალოს.

გრანტი შიდსის წინააღმდეგ

ზაზა ფაჩუაშვილი

საქართველოს შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრს სოციალურად საშიშ დაავადებებთან ბრძოლის გაეროს გლობალური ფონდიდან 12-მილიონდოლარიანი გრანტი დაუმტკიცეს. ამის შესახებ გუშინდელ ბრიფინგზე ოფიციალურად განაცხადეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ და ინფექციური პათოლოგიების, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ თენგიზ ცერცვაძემ.

ამირან გამყრელიძე: **“საქართველოში შიდსი აღარ არის ფატალური დაავადება. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ჩვენ, ჩვენდა სამწუხაროდ, მხოლოდ ოთხ ავადმყოფს ვმკურნალობდით და ათობით დაავადებული ისე გვრჩებოდა. ამიერიდან უფრო დიდი შესაძლებლობები გაგვიჩნდა.”**

თენგიზ ცერცვაძე: **”ეს იყო უპრეცედენტო გადაწყვეტილება, ვინაიდან საქართველოში შიდსის გავრცელების დონე დაბალია. არ დაკმაყოფილდა ისეთი ქვეყნების მოთხოვნა, სადაც შიდსის ეპიდემია მძვინვარებს და ინფიცირებულთა რაოდენობა ოცჯერ-ოცდაათჯერ მეტია, ვიდრე საქართველოში (უკრაინა, მოლდოვა, რუსეთი, ბელორუსი, ლიტვა, ლატვია და ა.შ.).**

რატომ აირჩიეს საქართველო? ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს.

მათივე შეფასებით, თავად პროექტი იყო ძალიან მაღალ დონეზე შესრულებული, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ ავტორებს - ქეთი სტვილიასა და მარიკა ჯაშს.

ამას ისიც დაემატა, რომ საქართველოში დეტალურად იქნა შესწავლილი ჩვენი სამსახურის მუშაობა და შესაძლებლობა, რომელმაც საუკეთესო შეფასება დაიმსახურა.

დაბოლოს, დადებითი როლი შეასრულა იმან, რომ საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შესაფერისი ჯანდაცვის რეფორმა მიმდინარეობს. ყოფილი სსრკ ქვეყნებიდან საქართველო სწორედ ამით გამოარჩიეს. ამ ფაქტორებს გლობალური ფონდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.”

წლეულს საქართველო 1,9 მილიონი დოლარის ღირებულების წამლებს მიიღებს, რაც 50 დაავადებულის მკურნალობის საშუალებას იძლევა. შემდეგ ფონდის მიერ შეფასდება შესრულებული სამუშაო და გრანტის გაგრძელების საქმეც გადაწყდება.

ფარსი ძალადობით

ჰირველი გვერდიდან

გიორგი სანაიას მკვლელობის მომდევნო დღეებში შსს–მაც კატეგორიულად უარყო ვერსია, შეკვეთილი მკვლელობის შესახებ. მაშინდელმა "რკინის მინისტრმა" კახა თარგამაძემ ამის შესახებ ოფიციალური განცხადებაც გააკეთა. გენერალურმა პროკურატურამ კი, რომელსაც საქმის ძიება დაევალა, მკვლელობის საყოფაცხოვრებო მოტივზე ღიად დაიწყო საუბარი. ბოლოს, პოლიცია-პროკურატურამ გიორგი სანაიას პირადი ცხოვრების რევიზიაც ჩაატარა და მათ მიერ ვერსიის სახით, დოზებით გავრცელებული არგუმენტების გამყარება სხვადასხვა ძალადობრივი მეთოდებით დაიწყო.

თუმცა, მკვლელობაში ბრალდებულის "გრიცკოს" – გრიგოლ ხურცილავას სქელტანიან საბრალდებო დასკვნაში ბუნდოვნად დაიწერა: გრიგოლ ხურცილავას ბრალად ედება განზრახ მკვლელობა ჩადენილი შურისძიების მოტივით, რომელიც მოკლულსა და მკვლელობაში ბრალდებულს შორის მომხდარმა კონფლიქტმა გამოიწვია. ანუ, გამოძიებამ "ხელები დაიბანა" და თანაც, დატოვებული ღრიჩოთი სასამართლოს ნიადაგიც გაუმზადა.

ძველების ნამუშევარი ახლადდანიშნულმა შს მინისტრმა და გენერალურმა პროკურორმა "ღირსეულად" ჩაიბარეს. რამდენიმე დღის დანიშნულმა კობა ნარჩემაშვილმა და ნუგზარ გაბრიჩიძემ საზოგადოებას გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის გახსნა ახარეს. შუაღამისას შსს-ში ჩატარებული სპეცბრიფინგისას მათ ჟურნალისტებს მოკლე "მესიჯი" მიაწოდეს – საქმე გაიხსნა, მკვლელი – გრიგოლ ხურცილავა დაპატიმრებულია. გადამდგარი მინისტრი კახა თარგამაძე კი ირწმუნებოდა - მკვლელობა ჩემი გახსნილია, მე ვიმუშავე ოპერატიულად, ამათმა კი მიიწერესო. სხვათა შორის, ნარჩემაშვილი-გაბრიჩიძის მოკლე ინფორმაციამ უკვე გაჩენილი ეჭვები, რომ საქმე "იკერებოდა", კიდევ უფრო გაამძაფრა. საქმე ისაა, რომ სამართალდამცველებმა ოპერატიულად გამართულ პრესკონფერენციაზე უდანაშაულობის პრეზუმფციაც დაარღვიეს – რამდენიმე წუთის დაჭერილი გრიგოლ ხურცილავა დაბეჯითებით მკვლელად გამოაცხადეს. მათ რატომღაც მოვლენებს გაუსწრეს და წინასწარ გამოძიებამდე და სასამართლო განაჩენამდე ეჭვმიტანილს მსჯავრი დასდეს.

გიორგი სანაიას მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით წელიწადნახევრის წინ წარმოქმნილი ეჭვები, რომ სამართალდამცველ უწყებებში საქმე ითითხნებოდა, გუშინდელ სასამართლო პროცესზეც დადასტურდა.

"გიორგი სანაიას მკვლელობაში თავს ნაწილობრივ ვცნობ დამნაშავედ. ყველაფერი სასამართლო გამოძიებისას გაირკვევა", - განუცხადა გუშინ მოსამართლეს სანაიას განზრახ მკვლელობაში ბრალდებულმა გრიგოლ ხურცილავამ.

დაზარალებული მხარე უნდობლობისა და პროტესტის გამოხატვის მიზეზით სასამართლო პროცესს არც გუშინ დასწრებია. **"საქმე გახსნილი არ არის, სასამართლო განხილვას აზრი არ აქვს, ხურცილავას სასამართლო წინასწარ დადგმული სანახაობაა",** – ასეთი პოზიცია აქვს გიორგი სანაიას მეუღლეს ხათუნა ჩხაიძეს, რომლის სამოქალაქო სარჩელი გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ უპასუხოდ არის დარჩენილი.

"მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია პროცესის დაწყება დაზარალებულის გარეშე. სჯობს, სასამართლომ ჯერ ხათუნა ჩხაიძის საჩივარი განიხილოს, გაირკვეს, რაც გასარკვევია და ეს პროცესი ამის შემდეგ დაიწყოს," - ასეთი მოთხოვნით მიმართეს გუშინ მოსამართლეს თავად განსასჯელმა და მისმა დამცველმა.

მიუხედავად ამისა, პროკურორების მოთხოვნითა და მოსამართლე ნანა გუგუნაშვილის გადაწყვეტილებით, გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვა გუშინ მაინც დაიწყო. გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს ახალგაზრდა თანამშრომლები გუშინ ზედმეტად იყვნენ მობილიზებული "წესრიგის დასაცავად". არადა, კანონით, სასამართლო დარბაზში წესრიგი საბადრაგო სამსახურმა უნდა დაიცვას და არა ახალბედა იურისტებმა. იმ დროს კი, როდესაც მართლაც საჭირო გახდა უსაფრთხოების ზომების დაცვა, როდესაც "რუსთავი-2"-ის ჟურნალისტს თიკო ფეიქრიშვილს სასამართლო პროცესზე მოწმედ დაკითხულმა გრიგოლ ხურცილავას მეგობარმა სასტიკად სცემა და სხვებთანაც აპირებდა მუშტი-კრივის გამართვას, "წესრიგის დამცველები" ჩუმად იდგნენ და სანახაობით ტკბებოდნენ. ინციდენტის დროს და შემდეგაც, გლდანი-ნაძალადევის სასამართლოს შენობის დაცვის სამსახურის თანამშრომლებისთვის არავის მოუკრავს თვალი. **"ეს უკვე ჩვენს ფუნქციებში არ შედის, უფლება არ გვაქვს, შენობის გარეთ რაიმე ზომები მივიღოთ"**, - თავი გაიმართლეს სასამართლოს თანამშრომლებმა.

განსასჯელმა გუშინ ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა. **"ჯერჯერობით დუმილის უფლებით ვისარგებლებ. სასამართლოს ჩვენებას მივცემ მხოლოდ მოწმეთა დაკითხვის შემდეგ"**, - განაცხადა გრიგოლ ხურცილავამ. მოწმედ დასაკითხთა ვრცელი სიიდან გუშინ გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში მხოლოდ სამი მოწმე – "გრიცკოს" მეუღლე, სიდედრი და მეგობარი – მალხაზ ხვედელიანი გამოცხადდნენ.

ჩვენების მისაცემად მომზადებულ მეუღლეს, განსასჯელმა სიტყვა შეაწყვეტინა და მოსამართლის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა აუკრძალა. რამდენიმეწუთიანი ფიქრის შემდეგ, შორენა ალანიამ ქმრის სურვილის შესაბამისად, დუმილი არჩია. ხანმოკლე იყო განსასჯელის სიდედრის დაკითხვა. **"კარგი მამა, კარგი მეუღლე, კარგი სიძე"**, - მხოლოდ ამ დახასიათებით შემოიფარგლა გრიგოლ ხურცილავას სიდედრი. სამაგიეროდ, დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა გრიგოლ ხურცილავას მეგობრის, მალხაზ ხვედელიანის დაკითხვა, რომელმაც წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება გუშინ შეცვალა.

ხვედელიანის თქმით, ხურცილავას ჯერ კიდევ სამთავრობო დაცვის სპეცსამსახურში მუშაობისას დაუახლოვდა.

"გრიცკო ჩემი მეგობარია. მისმა მეუღლემ ბავშვი მომინათლა და დავნათესავდით კიდეც. ერთ მშვენიერ დღეს ჩემმა სიმამრმა რაღაც საქმე შემომთავაზა, დიდი ფული იყო საჭირო საქმეში ჩასადებად. გრიცკოს საქმეში ჩართვა შევთავაზე, ჭკუაში დაუჯდა, სახლი დააგირავა და ფულიც ჩადო. იმ საქმიდან არაფერი გამოვიდა და ვალი გრიცკოს დაედო. ნერვიულობდა, სვამდა და მევალეებს ჩემთან ემალებოდა. ერთ მშვენიერ დღეს მითხრა, სახლში უნდა წავიდე, ცოლშვილი მომენატრაო. დაახლოებით 12 საათი იქნებოდა რომ წავიდა. დილის შვიდ საათზე ისევ ჩემთან მოვიდა. მე მგონი, კაცი შემომაკვდაო, მითხრა. სადარბაზოში გავიყვანე და იქ მომიყვა ყველაფერი. არ დავუჯერე, მეგონა მარიაჟობდა. ტყვიის მასრა და გორგოლაჭიანი გასაღები ამოიღო ჯიბიდან და მაჩვენა. იარაღი მშრალ ხიდთან გადავაგდეო. სპეცრაზმული გამოცდილება კი აქვს, მაგრამ ის არ იცოდა, რომ იარაღის დადგენა ტყვიის გულათიც შეიძლება. შევთავაზე, გასაღები ხომ შენ გაქვს, რომ დაღამდება, წავიდეთ და გულაც მოვსპოთ-მეთქი. უარი მითხრა. ამბობდა, მე მგონი, გიორგი სანაია მოვკალი, რომ ვკითხე, შენ ხომ სანაია ხარ-მეთქი, მიპასუხა – არა, უბრალოდ ძალიან ვგავარ და ყველა მამსგავსებსო,"- ასე გაიხსენა სანაიას მკვლელობის ისტორია განსასჯელის მეგობარმა.

გრიგოლ ხურცილავა ადვოკატს ესაუბრება.

მოწმე მალხაზ ხვედელიანი და პროკურორი კახა მაჭავარიანი.

ინციდენტის შემდეგ.

საქმის მასალების მიხედვით, მალხაზ ხვედელიანი სანაიას მკვლელობის მოტივად მომხდარ შელპარაკებას ასახელებს. გუშინ კი მან რამდენიმესაათიანი დაკითხვისას ჩვენება შეცვალა და მკვლელობის სწორედ ის მოტივი დაასახელა, რომელსაც სამართალდამცველები სანაიას მკვლელობის მომდევნო დღეებიდანვე უყრიდნენ საფუძველს – სექსუალური ძალადობის ნიადაგზე მომხდარი მკვლელობა.

მალხაზ ხვედელიანის, როგორც მოწმის როლი გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეში ასე გამოიყურება: მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ იგი ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ს ეწვია და ხელმძღვანელობას 15 ათასი დოლარის საფასურად მკვლელის დასახელება შესთავაზა. "რუსთავი 2"-ისთვის ეს პირველი შემთხვევა არ გახლდათ, ხვედელიანამდე ტელეკომპანიაში რამდენიმე პირისგანაც შევიდა მსგავსი შეთავაზება.

"რუსთავი 2"-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსის ეკა ხოფერიას განცხადებით: **"ხურცილავას დაპატიმრებამდე რამდენიმე თვით ადრე ტელევიზიაში მოვიდა ჩვენთვის უცნობი ადამიანი, რომელმაც თქვა, რომ გიორგი სანაიას მკვლელობის შესახებ გააჩნდა დეტალური ინფორმაცია. მან დაასახელა ვინაობაც. მალხაზ ხვედელიანმა ისიც განაცხადა, რომ ძალიან უჭირდა მატერიალურად და ინფორმაციის სანაცვლოდ გასამრჯელო მოითხოვა. ხვედელიანმა დაასახელა მკვლელის ვინაობა – გრიგოლ ხურცილავა და მკვლელობის მოტივიც – სექსუალური ძალადობა. მეტი ნდობისთვის მოითხოვა ასევე ფარული კამერა მკვლელის საუბრის ჩასაწერად. თუმცა, მან პირობა დაარღვია და შემდეგ განაცხადა, ჩამწერი გამეთიშაო.**

ეს იყო ზუსტად მეხუთე შემთხვევა. ხვედელიანის გამოჩენამდე ტელევიზიაში მოდიოდნენ ადამიანები, რომლებიც გვეუბნებოდნენ, რომ ფლობდნენ დეტალურ ინფორმაციებს, გვისახელებდნენ მკვლელთა ვინაობებს, სხვათაშორის საკმაოდ ცნობილ ადამიანებს და გვეუბნებოდნენ იმასაც, რომ ეთერშიც იტყოდნენ ყველაფერს. ყველა შემთხვევაში დასახელებული მკვლელობის მოტივი სექსუალური ძალადობა იყო.

ამას აკეთებდნენ სპეციალურად, რათა ჩვენივე ეთერის საშუალებით, ჩვენი მეგობრისა და თანამშრომლის შესახებ გაჟღერებულიყო ის, რაც მათ სურდათ. "რუსთავი 2"-ის მეშვეობითაც აპირებდნენ მათი ვერსიისთვის საფუძვლის ჩაყრას.

როცა შსს-ში გამართულ პრესკონფერენციაზე კობა ნარჩემაშვილმა დაასახელა მკვლელის ვინაობა, ის ჩვენთვის უცხო არ იყო. შემდეგ, როცა შს მინისტრი გადაცემაში მოვიწვიეთ, ხვედელიანის ვიზიტის შესახებ ყველაფერი მოვუყევით და ვაჩვენეთ ფირიც. თუმცა, ამით არაფერი შეცვლილა, ვითომცდა არაფერი მომხდარა.

მაინც იმედი გვქონდა, რომ მანამდე გაჩენილ საეჭვო კითხვებს სასამართლოზე გაეცემოდა პასუხი, მაგრამ პირველივე სხდომაზე ცხადი გახდა ყველაფერი.

ჩვენ ჩავერთვებით პროცესში და ამ მართლაც დადგმულ სპექტაკლს პასუხს გავცემთ, არც ერთ საეჭვო კითხვას უპასუხოდ არ დავტოვებთ. იმედი გვაქვს, რომ სასამართლო ჩვენს მოთხოვნას პროცესში მხარედ ჩართვის შესახებ დააკმაყოფილებს," – ამბობს ეკა ხოფერია.

მალხაზ ხვედელიანი "რუსთავი 2"-ის თავკაცებს მკვლელის მონოლოგის ფარულ კამერაზე ჩაწერასაც დაპირადა, მას ჩამწერი აპარატურა გადასცეს კიდეც. მალხაზ ხვედელიანმა რატომღაც გადაწყვეტილება შეცვალა და მეგობართან წასვლის წინ ჩამწერი გამორთო. "რუსთავი 2"-ში კი განაცხადა, აპარატურა შემთხვევით გაითიშაო. თუმცა, ფარული კამერის მიერ აღბეჭდილ ფირზე მართალია, ფრაგმენტულად და ბუნდოვნად, მაგრამ ორი მეგობრის საუბარი გარიგების შესახებ მაინც ისმის. სხვათა შორის, გუშინდელ სასამართლო პროცესზეც ცხადი გახდა, რომ გრიგოლ ხურცილავასა და მალხაზ ხვედელიანს შორის ფარულ თამაშს აქვს ადგილი.

რატომ გახდა საჭირო სასამართლოზე ხვედელიანის ახალი ჩვენების მიცემა? ამაზე პასუხის გაცემა მარტივად შეიძლება. გრიგოლ ხურცილავა, რომელმაც განაცხადა, რომ ჩვენებას მოწმეთა დაკითხვის შემდეგ მისცემს, მეგობრის "აღიარებას" გაამყარებს, განავითარებს. იმ შემთხვევაში კი, თუ სასამართლო ხურცილავასა და ხვედელიანის ჩვენებებს მტკიცებულებად მიიღებს, განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ "გრიცკოს" წაყენებული ბრალდება გაცილებით მსუბუქი სასჯელით შეეცვლება. კვალიფიკაცია შეცვლილი მუხლით კი მას 1-დან 5 წლამდე პატიმრობა ელის.

გუშინდელ პროცესზე ხვედელიანის მიერ "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტის თიკო ფეიქრიშვილისა და ოპერატორის ცემის ფაქტზე გლდანი-ნაძალადევის პოლიციაში მოკლევა დაიწყო. სავარაუდოდ, მალხაზ ხვედელიანის წინააღმდეგ საქმე ხულიგნობის მუხლით აღიძვრება.

დღევანდელ სასამართლო სხდომაზე ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის ხელმძღვანელობა პროცესში მესამე მხარედ ჩართვას მოითხოვს.

საზოგადოების გარკვეული ნაწილის ვარაუდით, პროცესის დასასრული კვლავ შეიკერება. რაც იმას ნიშნავს, რომ, რაც მოხდა წელიწადნახევრის წინ, 26 ივლისის გამთენიისას, რეალურად ვინ და რატომ მოკლა გიორგი სანაია, საზოგადოებისთვის კვლავ საიდუმლოებით მოცული დარჩება. ყველაფერი ქართული სამართალწარმოების ტრადიციების შესაბამისად წარიმართება და იმავე გრიგოლ ხურცილავას ბრალეულობა თუ უბრალოება ისევე დარჩება დაუსაბუთებელ-დაუმტკიცებელი, როგორც აქამდე არაერთი საეჭვოდ გამოძიებული საქმის შემთხვევაში.

სამხედრო ნაწილიდან გაქცევას ჭარისკაცის მკვლელობა მოჰყვა

ჯარში მორიგი გაქცევა მოხდა. თავდაცვის სამინისტროს ახალციხის 22-ე ბრიგადის 11-მა ჯარისკაცმა გუშინწინ დისლოკაციის ადგილი დატოვა. ჯარისკაცთა გაქცევას მსხვერპლი მოჰყვა – 19 წლის რიგითი გიორგი გუგეშაშვილი მდევარმა მოკლა.

გაქცეულ ჯარისკაცებს ბრიგადის კომენდანტი შალვა გოგოლაძე და სპეციალურად შექმნილი ჯგუფის წევრები დაედევნენ. რამდენიმე საათში მათ 2 ჯარისკაცს სოფელ წნისთან მიაგნეს.

შალვა გოგოლაძის განცხადებით, მან ჯარისკაცები ჯერ სიტყვიერად გააფრთხილა, ხოლო შემდეგ ჰაერში ორჯერ გაისროლა. მოგვიანებით ერთ-ერთ სახლში, მაგიდის ქვეშ დამალული იპოვეს გაქცეული ჯარისკაცი - გიორგი გუგეშაშვილი, რომელიც ზურგში იყო დაჭრილი. იგი ჰოსპიტალში მიყვანამდე, მანქანაში გარდაიცვალა.

გიორგი გუგეშაშვილის მკვლელობის შემდეგ დააკავეს ახალციხის 22-ე ბრიგადის კომენდანტი შალვა გოგოლაძე. არსებული ვერსიით, მის მიერ ჰაერში გასროლილი ტყვია ჯარისკაცს ასხლეტით მოხვდა, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.

მთავარი სამხედრო პროკურორის გია ჯიქიას განცხადებით, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ახალციხის სამხედრო პროკურატურაში განზრახ მკვლელობის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ჯიქია აცხადებს, რომ შალვა გოგოლაძეს ჰაერში გასროლის უფლება არ ჰქონდა და მან კანონი დაარღვია.

სამხედრო ნაწილიდან გაქცეული დანარჩენი 10 ჯარისკაცის ადგილსამყოფელი დაუდგენელია. თუ ისინი 2 დღის მანძილზე არ დაბრუნდებიან ბრიგადაში, დეზერტირებად გამოცხადდებიან. ჯერჯერობით, დაუდგენელია ისიც, თუ რამ გამოიწვია სამხედრო ნაწილიდან ჯარისკაცთა მასიური გაქცევა.

საიუველირო მაღაზიის ქურდს კატა შეეწინააღმდეგა

თამარ კაკიტაძე

ახალი წლის წინა დღეს, 31 დეკემბერს გაქურდეს მეტრო "ვაგზლის მოედანის" ცენტრალურ ამოსასვლელში მდებარე მაღაზია, შპს "ოცნება 96", საიდანაც დაახლოებით 30-40 ათასი ლარის ღირებულების ოქროს, ვერცხლის და ძვირფასი ქვების სამკაულები და ხანჯლები გაიტაცეს.

ორი დღის წინ მეტროპოლიტენის პოლიციის თანამშრომლებმა მაღაზიის ქურდობაში ეჭვმიტანილი ძმები - 17 წლის ჯემალ და 21 წლის ივანე ოსოიანები დააპატიმრეს. მეტროპოლიტენის პოლიციის სამმართველოს უფროსის შალვა იოსელიანის განცხადებით, უმცროსმა ძმამ დაკავებიდან რამდენიმე საათში აღიარა დანაშაული, უფროსმა ძმამ კი, რომელიც მაღაზიის გაქურდვამდე ორი დღით ადრე გამოვიდა ციხიდან, მიუთითა ის ადგილი, სადაც მოპარული ძვირფასეულობა ჩამარხა. პოლიციამ კუკიის სასაფლაოზე დამარხული ნივთმტკიცება იმავე ღამეს ამოიღო. როგორც იოსელიანმა გვითხრა, ნაწილი ძვირფასეულობისა ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი. სავარაუდოდ, ძმებმა ან უკვე მოახერხეს მისი რეალიზაცია, ან სხვა ადგილას დამარხეს და, ჯერჯერობით, არ ამბობენ.

პოლიციისთვის მიცემული ჩვენებით, "ოცნება 96"-ის გაქურდვის ისტორია ასეთია:

ახალ წლამდე მეტროპოლიტენის ერთ-ერთი თანამშრომელი (მის ვინაობას გამოძიება ჯერჯერობით არ ასახელებს) ჯემალ ოსოიანს დაკავშირებია და საახალწლოდ მეტროს ფოიეში მდებარე მაღაზიის გაქურდვა შეუთავაზებია. წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევს, მაგრამ ასაკის გამო ექვსწლიანი პატიმრობიდან პირობით გათავისუფლებულ ოსოიანს, იდეა მოსწონებია და გაქურდვამდე მეტროც და მაღაზიაც ძირფესვიანად შეუსწავლია.

30 დეკემბერს, ღამის თორმეტის ნახევარზე, ოსოიანი სადგურ "ვაგზლის მოედანის" მეტროში ჩავიდა და დაელოდა, ვიდრე ბოლო მატარებელი არ ჩაივლიდა, რის შემდეგაც ლიანდაგებში ჩახტა და გვირაბში შევიდა, ვინაიდან დაკეტვის შემდეგ მეტროს ყველა სადგურს ყოველ ღამე ამოწმებს სპეციალური ჯგუფი (ოსოიანმა ეს წინასწარ იცოდა), ვინმეს რომ არ შეემჩნია, რამდენიმე მეტრით გვირაბში შევიდა და კაბელების (800 ვოლტიანი ძაბვა გადის) ქვეშ შეძვრა. დაახლოებით სამოოთხი საათის შემდეგ სამალავიდან გამოვიდა და ზევით ავიდა; შეგულებული მაღაზიის მეტალოპლასტმასის ჭერი დანით ჩაჭრა და მაღაზიაში ჩახტა. ოსოიანმა დაახლოებით თხუთმეტ წუთში თავისი საქმე დაამთავრა, ძვირფასეულობა აიღო, მაღაზიიდან იმავე გზით ამოვიდა, უხმაუროდ ამოიღო ფოიეს ფანჯარა და გაიქცა.

მიუხედავად იმისა, რომ მეტროს რამდენიმე თანამშრომელი და სამი პოლიციელი იმავე ფოიეში იყვნენ, სადაც მაღაზიებია, მათ საეჭვო არაფერი შეუნიშნავთ. როგორც მოგვიანებით მეტროპოლიტენის პოლიციამ დაადგინა, ოფიცერი ხვედელიანი და რიგითები - გრუნჩაძე და ბარამიძე, რომლებსაც იმ ღამეს მეტროს დაცვა ევალებოდათ, დაცვის ოთახში ქეიფობდნენ და გარეთ არც გასულან. როგორც ოსოიანი იხსენებს, ერთადერთი პრობლემა კატას შეუქმნია, რომელიც ცნაოდა, საკბენად იწევდა და გასვლის საშუალებას არ აძლევდა.

გაქურდვიდან მეორე დღეს, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ტრანსპორტის პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. როგორც მეტროპოლიტენის პოლიციის სამძებრო სამსახურის უფროსმა კოკაიამ გვითხრა, ოქროს ყველა გადამცვლელი პუნქტი პოლიციამ კონტროლზე აიყვანა. მაღაზიის გაქურდვიდან რამდენიმე დღეში ივანე ოსოიანმა "ოცნება 96"- დან მოპარული საათი ერთ-ერთ გადამცვლელ პუნქტში ჩააბარა. იმავე დღიდან ოსოიანების ოჯახზე პოლიციამ თვალთვალი დააწესა. ორკვირიანი დაკვირვების და ოპერატიული მასალების შეკრების შემდეგ ძმები დააპატიმრეს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯემალ ოსოიანი ირწმუნება, მაღაზია მე გავძარცვე და ჩემმა ძმამ არაფერი იცოდაო (კანონით, ოჯახის წევრი არ ისჯება დანაშაულის დაფარვის გამო), მეტროპოლიტენის პოლიციის უფროსი არ გამორიცხავს, რომ ქურდობა უფროს ძმას ჰქონდეს ჩადენილი, მაგრამ ვინაიდან უმცროსი ძმა არასრულწლოვანია და სასჯელიც შედარებით ნაკლები ემუქრება, უფროსი ძმის დანაშაულს უმცროსი ძმა საკუთარ თავზე იღებს.

თუმცა, აღნიშნულ ვერსიაზე თავისი სიტყვა ჯერ ტრანსპორტის პროკურატურამ უნდა თქვას, სადაც საქმე გადაიგზავნა, შემდეგ კი სასამართლომ. მიუხედავად იმისა, რომ ხვედელიანი, გრუნჩაძე და ბარამიძე ქურდობის მეორე დღესვე დაითხოვეს პოლიციის რიგებიდან, პროკურატურას მსჯელობა მათ შესახებაც მოუწევს.

მოსკოვში არძინბას ნათესავი მოკლეს

მოსკოვში მორიგი შეკვეთილი მკვლელობა მოხდა. საკუთარ სადარბაზოში მოკლეს ვლადისლავ არძინბას ნათესავი – სალიმბეი (აკა) არძინბა. ქილერმა, რომელიც ლიფტის უკან იმალებოდა, სადარბაზოში შესულ აკა არძინბას "ლუგერის" ტიპის ავტომატური პისტოლეტიდან ცეცხლი გაუხსნა და მთელი მჭიდი დააცალა. არძინბას 15 სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს და იგი ადგილზევე გარდაიცვალა. მილიციის განცხადებით, მკვლელობა შეკვეთილია, რადგან ქილერმა საკონტროლო გასროლაც გააკეთა. თავდამსხმელს მოკლული არ გაუქურდავს; არადა, მას თან ჰქონდა სოლიდური თანხა, ძვირადღირებული საათი და სხვა ძვირფასეულობა.

გავრცელებული ინფორმაციით, სალიმბეი არძინბა მოსკოვში სულ ცოტა ხნის წინ ჩავიდა, სადაც 2 პრესტიჟული რესტორანი გახსნა. მანამდე იგი სოჭში ეწეოდა ბიზნესს. მოსკოვის მილიციის განცხადებით, სალიმბეი არძინბა შავ ბიზნესში იყო ჩაბმული და შესაძლოა, იგი პარტნიორთა ან კონკურენტთა მსხვერპლი გახდა.

აკა არძინბა და მისი ძმა აფხაზეთის ომში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, ხოლო შემდეგ ჩამოაყალიბეს "აფხაზეთის ომის ვეტერანთა კავშირი", რომლის წევრებიც ქართველების მიმართ სისასტიკით გამოირჩეოდნენ. აკა არძინბას სახელს უკავშირდება აფხაზეთში მოქმედი ნარკომაფიაც.

რუს ჰაკერებს ნიუ-იორკის მერის შანტაჟისთვის ასამართლებენ

მანჰეტენის ფედერალურ სასამართლოში დაიწყო სასამართლო პროცესი, რომელზეც რუსეთის მოქალაქეს, 29 წლის ოლეგ ზეზევს ასამართლებენ. იგი ბრალდებულია ამერიკის საფინანსო ინფორმაციის სააგენტო "Bloomberg"-ის კომპიუტერულ სისტემაში შეღწევასა და სააგენტოს დამარსებლის, ნიუ-იორკის მერის მაიკლ ბლუმბერგისთვის ფულის გამოძალვის მცდელობაში. ზეზევთან ერთად ბრალდებულია მისი პარტნიორი იგორ ირიმაკი, რომლის სასამართლო პროცესიც მარტის თვეში დაიწყება.

ზეზევმა ბლუმბერგს, ლონდონის ერთ-ერთ ბანკში ჯერ 200 ათასი დოლარის, ხოლო შემდეგ 400 ათასი დოლარის გადარიცხვა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამომძალველი მერს შანტაჟის მოწყობით დაემუქრა. საქმე ისაა, რომ ზეზევმა "Bloomberg"-ის კონფიდენციალური ინფორმაციების გაშიფვრა მოახერხა. სწორედ მათი გამოქვეყნებით დაემუქრა ნიუ-იორკის მერს ზეზევი.

გამომძალველისა და ბლუმბერგის შეხვედრა ლონდონის სასტუმრო "ჰილტონში" დაიგეგმა, სადაც ზეზევი სკოტლენდ-იარდის თანამშრომლებმა დააპატიმრეს კიდეც. ბრიტანეთის პოლიციას შეტყობინება თავად ბლუმბერგმა მიაწოდა.

აშშ-ს გფბ-ს მოთხოვნით, ზეზევი და ირიმაკი სკოტლენდ-იარდმა ამერიკას გადასცა. ორ მეგობარს საკმაოდ მძიმე სასჯელი ელის.

სასამართლომ მილოშევიჩის შვილის დაპატიმრების ორდერი გასცა

სერბიის ქალაქ პოჟარევაცის სასამართლომ მარკო მილოშევიჩის ძებნისა და დაპატიმრების ორდერი გასცა. იუგოსლავიის ექსპრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის ვაჟს, მარკო მილოშევიჩს, ცოტა ხნის წინ სასამართლომ პატიმრობა მიუსაჯა. სასაჯელი სასამართლომ ექსპრეზიდენტის შვილის პროცესზე დაუსწრებლად გამოიტანა. მარკო მილოშევიჩი ქვეყნიდან გაუჩინარდა მას მერე, რაც მისმა მამამ პრეზიდენტის პოსტი დატოვა. მისი ადგილსამყოფელი დაუდგენელია.

მარკო მილოშევიჩი ბრალდებულია 2000 წლის 7 მარტს მომხდარ დანაშაულში, როცა გაიტაცეს მოძრაობა "ოტპორის" წევრი - ზორან მილოვანოვიჩი.

მარკო მილოშევიჩის სასამართლო პროცესზე მისმა ადვოკატებმა განაცხადეს, რომ ექსპრეზიდენტის შვილი მოსკოვში ცხოვრობს.

ჟუთაისში საერთაშორისო ორგანიზაცია გაძარცვეს

ბექა სისაური
ჟუთაისიდან

საერთაშორისო ორგანიზაციებზე თავდასხმები იმერეთის რეგიონში ქრონიკულ ხასიათს იღებს. ყაჩაღთა მსხვერპლი არაერთხელ გახდა ორგანიზაცია "დანიის ლტოლვილთა საბჭო" და სხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები. რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციას ავტომობილები ერთმანეთის მიყოლებით მოპარეს. უცხოელებზე გახშირებული თავდასხმების გამო, საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა რეგიონის სამართალდამცველ სტრუქტურებს დახმარებისთვის არაერთხელ მიმართეს. მათი განცხადებით, თუკი უსაფრთხოების ზომები მიღებული არ იქნებოდა, ისინი ქუთაისს დატოვებდნენ. რამდენიმე დღის წინ, დაახლოებით დღის სამ საათზე, ქუთაისის ცენტრში, გოგებაშვილისა და თბილისის ქუჩების გადაკვეთასთან, ოთხმა ნიღბიანმა პირმა ჰუმანიტარული ორგანიზაცია "ქეას" კუთვნილი "გრანდ-ჩეროკი" გაიტაცა. "ქეას" თანამშრომლები ბანკიდან მოდიოდნენ, საიდანაც მათ ხელფასი უნდა წამოეღოთ. არსებული ვერსიით, თავდამსხმელები ამის შესახებ ინფორმაციას ფლობდნენ. მძარცველებმა, ავტომობილთან ერთად, "ქეას" მოლარეს ფული და მობილური ტელეფონიც წაართვეს. მართალია, გატაცებულ ავტომობილს სამართალდამცველებმა მიაკვლიეს და პატრონებს დაუბრუნეს, მაგრამ გამტაცებელთა დაკავება ვერ შეძლეს.

იხვზე სატყუარა ფიტულებით ნადირობა

შალვა ციხისთავი

სატყუარა ფიტულებით ნადირობა იხვზე ნადირობის კლასიკურ "ჟანრად" ითვლება. წარმოიდგინეთ, გარიჟრაჟამდე კარგა ხნით ადრე საფარში ჩამჯდარი მონადირე გულმოდგინედ გასცქერის წყალზე მოფენილ "იხვების გუნდს" - საგანგებოდ გაშლილ ფიტულებს, სმენაგამახვილებული ფრთების შრიალის ხმის გაგონებას ელოდება. ჯერ სრული სიწყნარეა, სადღაც შორს მამალი იხვის ყიყინი მოისმის, მოშორებით რომელიღაც ღამის ფრინველმა გადაიფრინა ზანტად, მისი ლანდი აირეკლა წყლის ზედაპირმა. ოდნავ ინათა, უკვე გამოჩნდა ჭალა და ხეების სილუეტები. მონადირე იძაბება, ელის ჯერ კიდევ ფერმკრთალ ცაზე იხვების გუნდის დალანდვას და ამ დროს იქვე ახლოს ხმაური ესმის, აცქერდება წყლის ზედაპირს და ფიტულების დათვლას იწყებს, თითქოს მეტიაო და მართლაც ორი თამამი იხვინჯა მოულოდნელად და სრულიად უხმაუროდ "მიმჯდარა" ფიტულებთან. ჯერ კიდევ ბნელა, ვერც გაარჩევ, რომელია ფიტული და რომელი ცოცხალი იხვი. თვალი ეჩვევა სიბნელეს, აი, ერთ-ერთი სილუეტი ოდნავ ამოძრავდა, მონადირე უმიზნებს მას და გასროლის შემდეგ უმალ ესვრის მეორეს, უკვე აფრენილ იხვინჯას. ვერ ითმენს, მიდის პირველი ნადავლის ასაღებად, ტენის თოფს და მისთვის უკვე სხვა აღარაფერი არსებობს, მთელი ყურადღება ცისკენ აქვს მიპყრობილი. ასე, ან დაახლოებით ასე იწყება დილა-ბნელზე ნადირობა და ხშირად მთელი დღე გასტანს ხოლმე.

ამგვარი ნადირობის წარმატებით ჩასატარებლად პირველი პირობა საფარის კარგად მოწყობაა. წინასწარ შერჩეულ ადგილზე მონადირე იკეთებს საფარს წყლის პირიდან 15-20 ნაბიჯის მოშორებით. საფარი უნდა დაიდგას ისე, რომ მონადირის მხედველობის არე აღმოსავლეთით იყოს მიქცეული. საფარი კარგად უნდა ეხამებოდეს ადგილმდებარეობას. გამართლებაა, თუ იქვე სადმე გამორიყული ხე ან ბუჩქია, სადაც მონადირე დაიმალება, თუ არა და საფარის "ასაშენებლად" ადგილობრივი მასალა უნდა გამოვიყენოთ - ხის ტოტები, სარეველა ბალახი, ნარიყი წყალმცენარეები და სხვა. თუ გრუნტი საშუალებას გვაძლევს, საუკეთესო ვარიანტია ორმოს ამოთხრა იმგვარად, რომ მონადირეს შიგ ჯდომისას სწრაფად ადგომა შეეძლოს. ფეხზე დგომისას სროლა გაცილებით ეფექტური და მოსახერხებელია. ვიმეორებ, როგორიც არ უნდა იყოს საფარი, მთავარია ადგილს ეხამებოდეს. მოვიტან ერთ მაგალითს: მტკვარზე ორნი წავედით სანადიროდ. ადგილები ჯერ დაზვერილი არ გვქონდა. ამხანაგი ერთ კარგ ყურესთან შეჩერდა და გადაწყვიტა საფარის გაკეთება. მოზიდა ლერწამი, ხის ტოტები, საკმაოდ დიდი "ქოხი" დადგა და გაშალა ფიტულები. მე მდინარის ტოტი გავტოპე და წყლისპირას ერთ ამორჩეულ ხესთან მოვიკალათე. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ამხანაგის ადგილი მდებარეობითაც და ფართითაც გაცილებით უკეთესი ჩანდა, მას ნადირობა არ გამოუვიდა. საფარი იმდენად გამოირჩეოდა გარემოსგან, რომ იხვი დანახვისთანავე მაღლა იწევდა, შორიდან უვლიდა. მეორე საპირისპირო მაგალითი: ორმა მონადირემ შეამჩნია, რომ მტკვარზე იხვი რეგულარულად შუადინების გასწვრივ მოძრაობდა. ნადირობის საშუალება თითქმის არ იყო. შუა მდინარეში ერთი პატარა მშრალი მეჩეჩი აღმოაჩინეს, სულ რაღაც 20-30 კვადრატული მეტრი. შემდეგი წამოსვლისათვის მონადირეებმა ბრეზენტის ნაჭერი წამოიღეს, რომელზეც ნაცნობ მხატვარს რიყის ქვები დაახატინეს. გადაცურეს მტკვრის ნახევარი, მეჩეჩზე ბრეზენტისგან საფარი მოაწყეს, დასხდნენ ზურგშექცევით და მეტად შედეგიანადაც ინადირეს. იხვი მათ 20 მეტრზე შორს ვერ ამჩნევდა და ზედ აფრინდებოდა.

კარგი საფარის გარდა საჭიროა ფიტულების სწორად განლაგება. ჩვენს პირობებში 8-12 ფიტული სრულიად საკმარისია, არც "ჯიშთა" სიმრავლეა საჭირო. საქართველოში ძირითადად ორი სახეობის იხვზე ნადირობენ - გარეულ იხვზე და იხვინჯაზე. ამიტომაც ამ ორი სახეობის ფიტულები დაგვჭირდება. ფიტულების ვიწრო ჯგუფად ჩაყრა მიზანშეწონილი არ არის. საქმე ისაა, რომ იხვები ჯგუფდებიან მაშინ, როდესაც საფრთხეს გრძნობენ და ასაფრენად ემზადებიან. ამიტომ ფიტულები ერთმანეთისგან 2-3 მეტრის მოშორებით უნდა ჩავყაროთ და ისეთი შთაბეჭდილება შევქმნათ, თითქოს ისვენებენ ან მშვიდად იკვებებიანო. მოძმეთა ასეთ თავყრილობას ცალკეული იხვიც და მცირე გუნდებიც ყურადღებას აქცევენ და ახლო ეტანებიან. ზოგი ჯდება კიდეც. სხვათა შორის, ქცევის მხრივ ამ ორ სახეობას შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა: გარეული იხვი (ხაზარულა), მით უმეტეს მამალი, თან თუ გუნდად არიან, მეტად ფრთხილია. იგი რამდენიმეჯერ, საკმაო მანძილზე და სიმაღლეზე გარს უვლის ფიტულებს, სანამ არ დარწმუნდება უსაფრთხოებაში და კამარის რადიუსის თანდათანობით შემცირებით ლამობს წყალთან მოახლოებას. მონადირეს დიდი სიფრთხილე და მოთმინება მართებს, ცდუნებას რომ არ აჰყვეს და დროზე ადრე არ გამოამჟღავნოს თავი. რამდენიმე წრის დარტყმის შემდეგ ცალი იხვი ან მცირე გუნდი დაბლა ეშვება და მონადირეს უკვე საშუალება აქვს, შედეგიანად ესროლოს. უნდა გვახსოვდეს, რომ იხვი დაჯდომისას ან ძირს დაწევისას ყოველთვის ქარის საწინააღმდეგოდ მოძრაობს და ეს ფაქტორი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. სულ სხვანაირად იქცევა იხვინჯა. იგი ნაკლებად ფრთხილია და ძალიან ხშირად ისე მოულოდნელად "დაიხატება" ხოლმე ფიტულების გვერდით, რომ მონადირე ვერც იგებს - როდის და რომელი მხრიდან მოფრინდა. იხვინჯები ხშირად ყოველგვარი დაზვერვის გარეშე სხდებიან ფიტულებთან. ჰოდა, წამიც აღარ უნდა დავაყოვნოთ, ვინაიდან ფრინველი ძალიან მალე გაიცხადებს ხოლმე ტყუილს.

სხვადასხვანაირად იქცევიან იხვები დღეღამის განმავლობაში. დილით, გარიჟრაჟისას, ისინი უფრო აქტიურები არიან და ნაკლებად ფრთხილები, შედარებით დაბალ სიმაღლეზე ფრენენ, ადვილად ტყუვდებიან ფიტულებით. დღისით მათი აქტიურობა კლებულობს, ფრენის სიმაღლე იზრდება და მონადირეს მეტი სიფრთხილე და მოთმინება მართებს.

საფარიდან ნადირობა მეტ-ნაკლები ინტენსიურობით მთელი დღე შეიძლება, მით უმეტეს, თუ ღრუბლიანი ან ბურუსიანი ამინდია.

იხვზე ნადირობა საფარიდან მიღებულია ნებისმიერი სისტემისა და ყალიბის სანადირო თოფებით, მაგრამ მე უპირატესობას საშუალო წონის, ორლულიან თორმეტი ყალიბების თოფებს მივანიჭებდი. ზოგი მონადირე მრავალსასროლიან ნახევარავტომატებს არჩევს, მაგრამ ამ თოფებში საფანტის სხვადასხვა ნომრიანი ვაზნების მონაცვლეობა გართულებულია. ვიმეორებ, თორმეტი ყალიბის შვიდ და ხუთნომრიანი საფანტით გატენილი ორლულიანი თოფი ყველაზე ოპტიმალურ იარაღად უნდა მივიჩნიოთ. და კიდევ ერთი რამ: ბევრი მონადირე იხვზე ნადირობისას საფანტის მსხვილ ნომრებს აძლევს უპირატესობას, რაც, ჩვენი აზრით, სრულიად გაუმართლებელია. ჯერ ერთი, რომ მსხვილი საფანტის რაოდენობა ვაზნაში გაცილებით მცირეა, ვიდრე წვრილისა. ფრინველს ერთეული საფანტი ხვდება, იჭრება, შორს მიფრინავს და მონადირისთვის ხშირად მიუწვდომელი ხდება. ამიტომ უფრო შედეგიანია ოპტიმალურ მანძილზე შედარებით წვრილი ნომრებით სროლა - ფრინველს რამდენიმე საფანტი ხვდება, ადგილზე ტოვებს და დანაკარგი მინიმუმამდე მცირდება. საერთოდ უნდა ვერიდოთ შორ მანძილზე სროლას, შედეგი თითქმის ყოველთვის სავალალოა: იქით - მხოლოდ დამფრთხალი ან მსუბუქად დაჭრილი იხვი, აქეთ - გაწბილებული და გულაღრენილი მონადირე.



გლუვლულიანი სანადირო თოფის ბალისტიკა

თეიმურაზ ლომინაძე

სანადირო თოფის ბალისტიკის ცოდნა, ჩვენი აზრით, აუცილებელია ყველა მონადირისათვის. როგორ ავიცილოთ თავიდან არასრულფასოვანი გასროლისაგან გამოწვეული უსიამოვნებანი, როგორ მივაღწიოთ ნასროლის მაქსიმალურ ქმედითუნარიანობას? ამაში სწორედ ბალისტიკის კანონების ცოდნა დაგვეხმარება. დაჭრილი და დაკარგული ნადირ-ფრინველის უმეტესი ნაწილი სროლის დაბალი კვალიფიკაციის გარდა, ბალისტიკის კანონების უგულვებელყოფითაც არის გამოწვეული.

ბალისტიკური პროცესების ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია კარგი ლულები და მაღალხარისხოვანი კომპონენტების შემცველი ვაზნები. ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფენ ნასროლის მაღალ ეფექტურობას.

სანადირო თოფის, ისე როგორც ნებისმიერი იარაღის ბალისტიკა ორ ნაწილად იყოფა: **ლულისშიდა** ბალისტიკა, რომელიც გასროლის მომენტში ლულაში მიმდინარე პროცესებს განიხილავს და **ლულისგარე** ბალისტიკა, - იგი საფანტის ჰაერში ფრენის თავისებურებებს ეხება.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ ამ პროცესების განხილვას შევეცდებით. აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ ამ წერილს არ ექნება სრულყოფილების პრეტენზია, რადგან მოცულობის შეზღუდულობის გამო, შეუძლებელია, ყველა საინტერესო დეტალზე ამომწურავი საუბარი.

თოფის ლულა სავაზნე ნაწილით იწყება, რომელშიც დატენილი ვაზნა თავსდება. სავაზნის შიდა დიამეტრი რამდენადმე განსხვავდება საკუთრივ ლულის შიდა დიამეტრისაგან და ეს განსხვავება თითქმის 1 მმ-ს შეადგენს. მასრის გარეთა დიამეტრი ისეთი ზომისა კეთდება, რომ იგი სავაზნეში თავისუფლად და ამავდროულად მჭიდროდ შედიოდეს. ეს სრულფასოვანი გასროლისთვისაა საჭირო, რადგან ამ დიამეტრებს შორის დიდი განსხვავების გამო წარმოქმნილ სიცარიელეში აფეთქებისას გამოყოფილი გაზების მნიშვნელოვანი ნაწილი იკარგება, ეს კი მკვეთრად ამცირებს საფანტის საწყის სიჩქარეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება ვაზნების დატენვის ხარისხს. ჩვენ არ შევჩერდებით საფირმო ვაზნების ავკარგიანობაზე. მათი დიდი უმრავლესობა მაღალხარისხოვანია და კარგ შედეგს იძლევა. შინ, მონადირეთა ხელით დატენილი ვაზნები კი ყოველთვის ვერ აკმაყოფილებენ სტანდარტის გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამიტომ გვინდა, რამდენიმე სასარგებლო რჩევა მივცეთ ახალბედა მონადირეს. სასურველია, რომ ვაზნის შემადგენელი კომპონენტები შეძლებისდაგვარად მაღალი ხარისხისა იყოს. ნორმალური, რბილი მეტალისაგან დამზადებული ფისტონი, მშრალი და კარგი დენთი, არადეფორმირებული, სფერისებური ფორმის საფანტი და, რაც მთავარია, კარგი ხარისხის მასალისაგან გამოჭრილი პიჟები იმის სრულ გარანტიას იძლევიან, რომ სწორად და გულმოდგინედ დატენვის შემთხვევაში, ნასროლი სრულფასოვანი და ქმედითუნარიანი იქნება. კარგი დენთი აფეთქებისას მთლიანად იწვის და მაქსიმალური მოცულობის გაზებს წარმოქმნის. ამ გაზების საიმედო ობტურაციას კარგად შერჩეული და მორგებული პიჟები უზრუნველყოფენ, ხოლო სფერისებური ფორმისა და ერთნაირი ზომის საფანტი სამიზნის დაზიანებისათვის აუცილებელ სიჩქარეს, გაშლის სითანაბრესა და გაჭრის ძალას დიდ მანძილზე ინარჩუნებს და თუ ასეთი გასროლა კარგი ლულიდანაც მოხდება, ცხადია, მაღალი შედეგი გარანტირებულია.

დენთის აფეთქების შემდეგ დიდი რაოდენობის გაზი წარმოიქმნება. ეს გაზი ლულაში უდიდეს წნევას ავითარებს. ლულის სხვადასხვა ნაწილში წნევა სხვადასხვანაირად ნაწილდება. წნევის ე.წ. პიკი სავაზნიდან რამდენიმე სანტიმეტრზე მოდის. შემდეგ წნევა იკლებს და ლულის ბოლოს საჭირო მინიმუმამდე, 40-50 ატმოსფერომდე დაიწევს. ყოველი მხრიდან შემოზღუდულ ლულას მხოლოდ ერთი ბოლო აქვს ღია, გაზიც ამ ბოლოსაკენ მოიწევს და თავის სიჩქარეს წინ მდებარე საფანტს გადასცემს. მისი მოქმედებით საფანტი ლულაში თანდათან იკრებს ძალას და თავის მაქსიმალურ სიჩქარეს ლულის ბოლოდან ჰაერში გასვლის მომენტში ავითარებს. ლულა თავის მხრივ წარმოადგენს ერთგვარ გზას, ანუ არხს, რომელშიც საფანტი მოძრაობს. რაც უფრო სწორი და გლუვი ზედაპირი ექნება ამ არხს, მით უფრო ნაკლები წინააღმდეგობა შეხვდება საფანტს გზაზე და ნაკლები დეფორმაცია და სიჩქარის დანაკარგი ექნება (სწორედ აქ იჩენს თავს ლულის კარგ მდგომარეობაში შენარჩუნების აუცილებლობა). ლულიდან საფანტის კონა ჰაერში გაისროლება და მასზე უკვე სხვა ძალები იწყებენ ზემოქმედებას, ანუ "საქმეში ერთვება" ლულისგარე ბალისტიკა.



გაზების წნევისა და ტყვიის სიჩქარის ურთიერთმიმართება

მაგრამ, ვიდრე ჩვენი წერილის ამ მეტად საინტერესო ნაწილზე გადავიდოდეთ, ვნახოთ, თუ როგორ შეიძლება ჩვენს სასარგებლოდ მოვაქციოთ ლულის შიგნით მიმდინარე პროცესები, ანუ როგორ დავიცვათ საფანტი ლულაში დეფორმირებისაგან, როგორ შევუნარჩუნოთ მის მარცვლებს პირველდაწყებითი სფერისებური ფორმა. ცნობილია, რომ ლულაში გავლისას საფანტის დიდი ნაწილი კარგავს ამ ფორმას, ეს ასე ხდება: დენთის აფეთქების შედეგად წარმოქმნილი დიდი რაოდენობის გაზი თითქმის ბგერის სიჩქარეს ავითარებს. ამ სიჩქარით მიყენებულ უძლიერეს დარტყმას "თავის თავზე" იღებს საფანტი, იგი პიჟებთან ერთად ანელებს გაზის სიჩქარეს და თავად იწყებს მყისიერ მოძრაობას ლულაში. სწორედ ამ დროს ხდება მისი უკან განლაგებული მარცვლების ძლიერი დეფორმაცია. ამ მავნე პროცესის თავიდან ასაცილებლად დენთზე, მთავარი პიჟის ზემოთ, შედარებით რბილ პიჟს, ე.წ. ამორტიზატორს მოათავსებენ. ეს პიჟი აქრობს ხსენებული დარტყმის დიდ ნაწილს და საფანტის ქვედა მარცვლებს დეფორმაციისაგან იცავს. მაგრამ "საქმე" ამით არ თავდება. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სავაზნე ნაწილის დიამეტრი თითქმის 0,8-1,0 მმ-ით განსხვავდება ლულის შიდა დიამეტრისაგან. ამ განსხვავების მნიშვნელოვან ნაწილს მასრის კედლების სისქე გადაფარავს, მაგრამ მაინც რჩება მცირე კონუსისებური გადასვლა, რომლის სიგრძე 1-1,5 სმ-ია. ამ გარდამავალ ნაწილში საფანტი გადაეწყობა ლულის დიამეტრზე და შედის ლულაში. აქ იგი კვლავ განიცდის მცირე დეფორმაციას და იწყებს ლულის გრძელ ნაწილში მოძრაობას. ამ დროს ლულის კედლებზე ხახუნის გამო საფანტის პერიფერიული მარცვლები ძლიერ იხეხება და ჰაერში ფრენის პირველსავე მეტრებზე იკარგება. ამას ემატება ჩოკის გავლისას მიღებული დეფორმაციაც და საბოლოოდ საფანტის საერთო რაოდენობის თითქმის მეოთხედი უსარგებლოდ იფანტება. ამ არასასურველი შედეგის თავიდან ასაცილებლად საფანტს სპეციალურ, ამორტიზატორიან პიჟ-კონტეინერში ათავსებენ. ასეთი პიჟი საიმედოდ იცავს საფანტს ლულაში დაზიანებისაგან და **უმატებს დაჯგუფების სიმჭიდროვეს, გაშლის სითანაბრესა და გაჭრის ძალას.** ამ ეფექტის გასაძლიერებლად საფანტს ზოგჯერ კარტოფილის ფქვილს ან ტალკს დააყრიან, კარგად დატკეპნიან, ანუ შეავსებენ საფანტის მარცვლებს შორის არსებულ სიცარიელეს და ამით კიდევ უფრო შეამცირებენ მის დეფორმაციას. ამავე მიზანს ემსახურება საფანტის სხვადასხვა მკვრივი მეტალის თხელი ფენით დაფარვა: მონიკელება, მოსპინძელება და ა.შ.

ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე პიჟების სწორი შერჩევა. პიჟის დიამეტრი ლულის შიდა დიამეტრზე მეტი უნდა იყოს. ეს განსხვავება 0:6-0,8 მმ შეადგენს და აუცილებელია გაზის სრული ობტურაციისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლულის კედელსა და პიჟს შორის სივრცეში დიდძალი გაზი გაედინება და საფანტის საწყისი სიჩქარე დაიკლებს.

ამრიგად, კარგი ვაზნებისათვის მაღალხარისხოვანი კომპონენტების შერჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. საბოლოო შედეგი კი ყველასათვის ნათელია.

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენი თემის მეორე ნაწილს, რომელსაც ლულისგარე ბალისტიკა ეწოდება და ვნახოთ, რა ძალები მოქმედებენ ჩვენი თოფიდან გასროლილ საფანტზე, ვიდრე იგი მიზნამდე მიაღწევდეს.

დენთის აფეთქების შედეგად წარმოქმნილი გაზების ზემოქმედებით საფანტი კომპაქტური მასის სახით ლულიდან ჰაერში გაიტყორცნება. გაზი თავის უზარმაზარ სიჩქარეს ლულიდან გამოსვლის შემდეგაც, დაახლოებით 0,5 მეტრზე ინარჩუნებს. იგი ამ მონაკვეთზე წინ უსწრებს საფანტის კონას, თან გაიყოლებს პიჟებსაც, დიდი ძალით იჭრება საფანტში და აქეთ-იქით მიმოფანტავს მას. ჰაერში დიდი სიჩქარით ფრენისას საფანტის მარცვლები თავის მხრივ ერთმანეთს ეჯახებიან, სწორხაზოვანი გეზიდან გადაიხრებიან, კვლავ ეჯახებიან ახლომდებარე მარცვლებს და ა.შ. მიმდინარეობს საფანტის გაშლა. საფანტის კონა გაშლასთან ერთად სიგრძეშიც იწელება და დაახლოებით 20-25 მეტრზე პარაშუტის ფორმას იღებს. ეს "პარაშუტი" მანძილის მატებასთან ერთად კიდევ უფრო ფართოვდება და გრძელდება. ეს ასე ხდება: საფანტის ის მარცვლები, რომლებიც ლულაში მოძრაობისას შეინარჩუნეს სფერისებური ფორმა, უფრო სწრაფად მიფრინავენ და ამის გამო "პარაშუტის" თავში აღმოჩნდებიან, ხოლო მეტ-ნაკლებად დეფორმირებული მარცვლები ჰაერის შემხვედრი ნაკადის ზემოქმედებით მალე კარგავენ სიჩქარეს და შესაბამისად ბოლოში მოექცევიან. "პარაშუტის" ბოლო უფრო და უფრო იწელება. საბოლოოდ უკანა მარცვლები ჩამოშორდებიან საფანტის ძირითად მასას და მიწაზე ცვივიან. ამას ხელს უწყობს დედამიწის მიზიდულობაც, რომელიც სწრაფი ფრენის უნარმოკლებულ საფანტის მარცვლებს მალე აკარგვინებს ისედაც დაქვეითებულ სიჩქარეს. მიზნისაკენ ფრენას მხოლოდ საფანტის ძირითადი მასა აგრძელებს. მანძილის მატებასთან ერთად ეს მასა კიდევ უფრო ფართოვდება, თანდათან კარგავს სიჩქარეს და საბოლოოდ, მისი ქმედითუნარიანობის ზღვარს იქით სამიზნის საიმედო დაზიანებისათვის აღარც ენერგია ჰყოფნის და აღარც მარცვლების განლაგების სიმჭიდროვე.

აღნიშნული "პარაშუტი" 35 მეტრზე 3,5 მეტრის სიგრძისაა, 50 მეტრზე კი მისი სიგრძე უკვე 10 მეტრს აღწევს.

"პარაშუტი" 35 მეტრზე, მასში საფანტის განაწილების მიხედვით სამ ძირითად ზონად იყოფა: მისი წინა ნაწილის დაახლოებით ერთ მეტრზე საფანტის საერთო რაოდენობის 40-45% მოდის, მის მეორე, ცენტრალურ ნაწილში, რომლის სიგრძესაც 50-70 სანტიმეტრამდე ითვლიან, 35%-მდე საფანტი თავსდება, ხოლო დარჩენილი 20% მესამე, უკანა ნაწილში ექცევა. მთელი საფანტის ფრენის ტრაექტორია თავისი ფორმით სახანძრო შლანგიდან გაშვებული წყლის ჭავლს გვაგონებს. თავდაპირველად იგი სწორხაზოვნად მიდის, შემდეგ ნელ-ნელა ფართოვდება, ქვევით იხრება და ბოლოს, სიჩქარედაკარგული, მიწაზე იყრება.

გლუვლულიანი სანადირო თოფიდან ნასროლის ავკარგიანობას სამი ძირითადი მახასიათებელი განსაზღვრავს. ეს არის **საფანტის სიჩქარე,** მისი **გაშლის** ფართობი, ანუ **გაშლის წრე** და ამ წრეში საფანტის განლაგების **სითანაბრე.**

საფანტის ენერგია, ანუ გაჭრის ძალა მის საწყის სიჩქარეზეა დამოკიდებული. თანამედროვე ვაზნებში საფანტის საწყისი სიჩქარე 400-425 მ/წმ-მდეა განსაზღვრული. სპეციალურ სპორტულ ვაზნებში, რომლებიც მკვრივი მეტალის ფენით დაფარული საფანტით იტენება, ეს სიჩქარე 450 მ/წმ აღწევს. საწყისი სიჩქარის კიდევ უფრო გაზრდა მიზანშეწონილი არ არის, რადგან ამ შემთხვევაში მკვეთრად იზრდება საფანტის დეფორმაცია და საბოლოო შედეგი საშუალოზე დაბალია. 350 მ/წმ უფრო დაბალი სიჩქარის მქონე ვაზნების საშუალო და დიდ მანძილებზე სროლა ასევე მიზანშეუწონელია, რადგან ასეთი ვაზნებიდან ნასროლი საფანტი მხოლოდ ახლო მანძილზე, 20-25 მეტრზე ინარჩუნებს სამიზნის დაზიანებისათვის საკმარის ენერგიას.

საფანტის გაშლის ფართობის კონკრეტული ნადირობის სპეციფიკის შესაბამისად რეგულირება ადვილი საქმეა. ამ და ვაზნების დატენვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე საუბარს ჩვენ მომავალში ვაპირებთ, ახლა კი ვიტყვით, რომ გაშლის ფართობის რეგულირება მეტად საჭირო საქმეა, რადგან ახლო სამიზნეზე შორი სროლისათვის განკუთვნილი ვაზნების გამოყენება იწვევს ხშირ აცდენებს, ხოლო იშვიათი მოხვედრის შემთხვევაში ფრინველი ძლიერ ზიანდება და მოხმარებისათვის უვარგისი ხდება. საპირისპირო შედეგს იძლევა ახლო სროლისათვის დამზადებული, ე.წ. ფაუსტვაზნებით მაქსიმალურ მანძილზე სროლა. ამ დროს საფანტის სიმეჩხრის გამო ხშირია აცდენები, ან კიდევ ცალკეულ საფანტწაკრული ფრინველი მსუბუქად იჭრება და იკარგება.

საფანტის გაშლის წრეში მისი განაწილების სითანაბრე მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია, არასწორი დატენვის, ან ცუდი საფანტის გამოყენების შემთხვევაში ხშირდება გაშლის წრეში გამოტოვებული ადგილები, ე.წ. "ფანჯრები". სწორედ ეს "ფანჯრებია" ზოგჯერ აცდენის მიზეზი, რადგან ამ სიმეჩხრეში, განსაკუთრებით დიდ მანძილებზე სროლის დროს ფრინველი შეიძლება თავისუფლად გაძვრეს. საფანტის გაშლის სითანაბრეზე დიდ გავლენას ახდენს ლულების დამზადების ხარისხი. კარგად დამზადებული ლულა სწორედ გაჭრის ძალითა და გაშლის სითანაბრით გამოირჩევა.

დაბოლოს, საფანტის ეფექტური მოქმედების მაქსიმალური მანძილი. ეს მანძილი დამოკიდებულია როგორც ვაზნების დატენვის და თვით საფანტის, ასევე ლულების ხარისხზე. კარგი ლულიდან ნასროლი კარგი ვაზნა სამიზნის მაქსიმალურ მანძილზე საიმედოდ დაზიანების სრულ გარანტიას იძლევა. ეს მანძილი კი ხშირ შემთხვევაში, საფანტის ზომის მიუხედავად, 45-50 მეტრს არ აღემატება. ამ საკითხზე უფრო ვრცლად და დაწვრილებით შემდეგ ვისაუბროთ.

ნომრის პერსონა

საკრებულო განათლების სამინისტროს სთავაზობს...

29 იანვარს საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება თბილისის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალური სკოლების დაფუძნების შესახებ. ეს გადაწყვეტილება საკრებულოს თავმჯდომარის ხელმოწერის შემდეგ გახდა შესასრულებლად აუცილებელი და თუ შესრულდება, მომავალ სასწავლო წელს მოსწავლეები მასწავლებელს, მასწავლებლები და მშობლები კი დირექტორს აირჩევენ...

როგორც ყველაფერი საქართველოში, ყოვლად აპოლიტიკური სფერო - განათლებაც პოლიტიკის კლანჭებში მოექცა. ოპოზიციური საკრებულოს გადაწყვეტილებას წინააღმდეგობას უწევს ხელისუფლება და მისი ორგანო - განათლების სამინისტრო. რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ორი პოლიტიკური ცენტრის დაპირისპირება თვითმიზანი გახდა. არ არსებობს საკრებულოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელსაც ხელისუფლება მოიწონებდა და პირიქით - საკრებულო ხელისუფლების ვერც ერთ ინიციატივაში ვერ ხედავს დადებით მუხტს...

მასწავლებელს, მოსწავლეს და, საერთოდ, სკოლას, დღეს სჭირდება ყველაფერი - რეფორმა, საბჭოთა დროიდან დანერგილი სისტემებისა და პროგრამების შეცვლა, ფული, დემოკრატიული მმართველობა და ა.შ. ერთადერთი, რაც სკოლას არ სჭირდება, ჩინოვნიკთა და პოლიტიკოსთა დავა-კამათია განათლების თემაზე...

განათლების სისტემის სრულიად რევოლუციური გარდაქმნის პროექტის ერთ-ერთი ავტორი და ინიციატორი, საკრებულოს წევრი, ბატონი გია მურღულია ამ კამათის ერთი მხარეა.

მაია ჭალაგანიძე

გია მურღულია

ეკატერინე ფოფხაძის

- პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ის გადაწყვეტილება, რომელიც საკრებულომ მიიღო, აბსოლუტურად ჯდება განათლების სამინისტროს მიერ დეკემბერში მიღებული დროებითი სტანდარტების კონტექსტში.

ლირიკული გადახვევისთვის: 1997 წელს, განათლების შესახებ კანონის მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში, სამინისტროს სტანდარტების დებულება უნდა შეედგინა და 1999-2000 წლამდე შუალედში ყველა სტანდარტი და პროგრამა ყოფილიყო მომზადებული. ამისთვის არაფერი გაკეთებულა.

როდესაც ოპონენტები საუბრობენ, რომ ჩვენ ვარღვევთ კანონს განათლების შესახებ, რატომ ღმერთი არ გაიცინებს. განათლების სამინიტრო წლების განმავლობაში, ყოველდღე არღვევს ამ კანონს. ძალიან კონკრეტული ვიქნები - დარღვეულია მათ მიერ შემუშავებული ე.წ. გარდამავალი დებულებები (რაც წინ წერია, იმაზე აღარ ვილაპარაკებ, რადგანაც იქაც ტოტალურად დარღვეულია ყველაფერი). გარდამავალი დებულებების "მუხლი 49" განათლების სამინისტროს ავალებს, ამ კანონის შექმნიდან 6 თვის ვადაში შეიმუშაოს ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლების სახელმწიფო პროგრამები. დღემდე ეს პროგრამები მომზადებული არ არის; "მუხლი 50" სამინისტროს ავალდებულებს 2001 წლის პირველი სექტემბრიდან 12-წლიან სწავლებაზე გადასვლას. უკვე 10-12 წელიწადია, განათლების რეფორმაზე საუბრობენ და არაფერი კეთდება. ეს ხალხი სიტყვებში ცხოვრობს. რეალური შედეგები კი მინუსებში გადადის.

1995 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო "განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამა და მისი რეალიზაციის გეგმა". ამ პროგრამით 1998-1999 სასწავლო წლის დადგომისთანავე 12-წლიან სწავლებაზე გადასვლა იყო გათვალისწინებული. არავის არაფერი გაუკეთებია. მოსამზადებელი სამუშაოები - სახელმძღვანელო, პროგრამები, სტანდარტები, მასწავლებელთა გადამზადება და ა.შ. არ გაკეთდა. 1997 წელს ამას სულზე მიუსწრო კანონმა და 12-წლიან სწავლებაზე გადასვლა 2001 წლის 1 სექტემბრისთვის გადაწიეს. ეს 6 წელი ისე მოპარეს საქართველოს, ვითომც სულ არ ყოფილიყო ჩვენი ცხოვრების ნაწილი. მაშინდელ პრესას რომ გადახედავთ, ნახავთ, თურმე, რა ზარ-ზეიმით ხორციელდება განათლების რეფორმა. ეს იყო ტოტალური ტყუილი. ამას მაშინაც ვამბობდი.

- თქვენ არ იყავით ჩაბმული განთლების რეფორმის განხილვაში?

- როგორ არა, 1988 წლიდან ვიყავი ჩართული. პერესტროიკის დროს ნაციონალური განათლების გააზრების საშუალება დაუშვეს. გამოცხადდა კონკურსი, პროექტის რამდენიმე ვარიანტი არსებობდა, მაგრამ მარტო შედგენა არაფერს ნიშნავს. მთავარი ხომ განხორციელებაა?

- თქვენი აზრით, ვინ ან რა უშლის ხელს რეფორმის განხორციელებას და კანონების შესრულებას?

- მიზეზების, დიდი-დიდი, 10-20 პროცენტი ობიექტურია. დანარჩენი 80 პროცენტი პირწმინდად სუბიექტურია და ამ სიტყვებზე პასუხს ვაგებ.

სანამ პრობლემის არსზე გადავალ, სამინისტროს განცხადებების კონტექსტი უნდა გაგაცნოთ. დაახლოებით ორი წლის წინ სამინისტრომ პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი კანონში ცვლილებების შესახებ, რომელშიც ითხოვს, 12-წლიან სწავლებაზე გადასვლა 2002 წელს ვერ მოვასწარით და 2003 წლის პირველი სექტემბერი ჩაწერეთო... ეს ვადაც აბსურდია. 12-წლიანი სწავლება რომ ვერ დაიწყება, ეს ნამდვილია.

კანონის 52-ე მუხლი, "უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებლებათა აკრედიტაციის საბჭოს დებულებისა და პერსონალური შემდგენლობის დამტკიცების ვადა და სხვა..." დამტკიცდა. საბჭოში ძალზე პატივსაცემი ხალხია, მაგრამ არც ერთხელ ეს 37 კაცი არ შეკრებილა. ამის გამო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი (არც კერძო და არც სახელმწიფო) აკრედიტებული არ არის. აქედან გამომდინარე, კანონის სხვა უამრავი მუხლი ირღვევა. მათ შორის ისიცაა, რომ ამ დარღვევების გამო საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მიერ გაცემული არც ერთი დიპლომი სახელმწიფო სტატუსს არ იმსახურებს.

57 მუხლი - ფინანსური ნორმატივების შემუშავება. ქალაქის ბიუჯეტის საკითხი ერთ კვირაში გამოდის და წარმოდგენა უნდა გვქონდეს, თუ როგორ დავაფინანსოთ თბილისის სკოლები. ერთადერთი რეალური პრინციპი ფინანსური ნორმატივების შემუშავებაა. უნდა ვიცოდეთ, რა ჯდება ერთი მოსწავლე და იმის მიხედვით გადავწყვიტოთ დაფინანსების საკითხი. ეს შესაძლებლობა არ არსებობს, რადგან განათლების სამინისტრომ განათლების კანონის ძალიან უხეში დარღვევით არ მოამზადა სტანდარტები, არ წარუდგინა ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებს, რათა მათ ეს ნორმატივები მოემზადებინათ. პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება, რომელშიც კარტოზიას დაავალა ამ სტანდარტების შემუშავება და შესაბამისი სამინისტროებისთვის წარდგენა. არც ერთი არ შესრულდა... ამიტომ, სანამ ჩვენ დაგვადანაშაულებენ კანონის დარღვევაში, საკუთარ თვალში მოიძიონ დირე.

- მუნიციპალური სკოლების დაფუძნების კანონპროექტთან დაკავშირებით რა პრობლემები დაგიყენათ სამინისტრომ?

- სამინისტროს ორაზროვანი პოზიცია აქვს. ერთი მხრივ, აცხადებს, რომ ეს ყველაფერი ძველია და ნაფიქრი აქვთ... "საქართველოს განათლების რეფორმის უმთავრესი მოთხოვნაა უნიციფირებული, უკიდურესად ცენტრალიზებული, მკაცრად რეგლამენტირებული სისტემიდან განათლების თვისებრივად განსხვავებულ, თავისუფალ დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლა. რაც სახელმწიფო მონოპოლიის ნაცვლად მართვის საზოგადოებრივი სახელმწიფოებრივი მექანიზმების ამოქმედებას და, პირველ ყოვლისა, განათლების სისტემის ოპტიმალურ დეცენტრალიზაციას, ცალკეული დაწესებულებების უფლებების გაფართოებას ითვალისწინებს", - ეს სამინისტროს დეკლარირებულია და ამას სრულიად ვიზიარებთ. უბრალოდ, ჩვენ ახლა ამ ნათქვამის განხორციელებას ვითხოვთ. ჩვენი გადაწყვეტილება სწორედ ამ თეზისების განხორციელებაა.

თბილისის თვითმმართველობა მუნიციპალურ სკოლებს დააფუძნებს და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს მიანიჭებს. დღეს მათ ეს სტატუსი არა აქვთ და ხელფეხშეკრული არიან. ყველა აცხადებს, რომ სკოლა ავტონომიური უნდა იყოს. ამის არავითარი მექანიზმი სკოლას არა აქვს და ჩვენ ამ მექანიზმებს ვუქმნით.

სამართლებრივად, დღეს ეს სკოლები არ არსებობს და ეს აბსურდია. საბჭოთა დროს ეს სახელმწიფო სკოლები გახლდათ და ერთიან საბჭოთა სისტემაში იყო მოქცეული. დღეს კი სკოლების იურიდიული სტატუსი უცნობია. არც ერთ მათგანს არა აქვს დებულება. ეს კი ის დოკუმენტია, რომლის რეგისტრაციის შემდეგაც გეძლევა სტატუსი.

განათლების კანონი ითხოვს, რომ ყველა სკოლა ლიცენზირებული იყოს. ხომ შეიძლება, კანონზე შეყვარებულმა და თან დაუკვირვებელმა ადამიანმა ასეთი შეკითხვა დასვას - რას ვაფინანსებთ 2003 წელს, ეს სკოლები ხომ არ არსებობს. როგორ შეიძლება, იურიდიულად არარსებულ სუბიექტს აფინანსებდეს ქალაქის მერია? განათლების კანონში წერია, რომ "სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების (სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის გარდა) დაფუძნების გადაწყვეტილებას იღებენ საქართველოს განათლების სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, სასკოლო ოლქის სამმართველო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები". ასე რომ, ჩვენ სკოლების დაფუძნების სრული უფლება გვაქვს. აქვე, კანონშივე, დამფუძნებლის ცნება პირდაპირ უკავშირდება დაფინანსების ცნებას.

მინდა, ბოლო მოვუღო გავრცელებულ ილუზიას და გითხრათ, რომ განათლების სამინისტრო სკოლებს არ აფინანსებს. ეს აბსოლუტური სიცრუეა, რომელიც მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალებით ვრცელდება. ასე რომ, ისიც მტკნარი სიცრუეა, როცა ამბობენ, საკრებულოს განათლების სამინისტროს მიერ სკოლებისთვის გამოყოფილი ფულის მითვისება სურსო. ჩვენს სკოლებს აფინანსებდა, აფინანსებს და მომავალშიც დააფინანსებს ადგილობრივი თვითმმართველობა და მერია. ამიტომ ლოგიკურიც არის და უპრიანიც, რომ დამფუძნებლები ჩვენ ვიყოთ. ხელშემშლელი ფაქტორი ის არის, რომ კანონით დღემდე ვერ გაიმიჯნა სახელმწიფო და მუნიციპალური ქონება. მაგრამ სკოლა ერთ ადგილზე არ უნდა იდგეს. თბილისის თვითმმართველობა უფლებამოსილია, დააფუძნოს ეს სკოლები. ჩვენი გადაწყვეტილება არავითარ შემთხვევაში არ ხელყოფს განათლების სამინისტროს უფლებამოსილებასა და ფუნქციებს.

რა თქმა უნდა, ჩვენს მიერ დაფუძნებულ სკოლებს ჩვენვე არ შევუქმნით სტანდარტებს. ჩვენ მხოლოდ დავაფუძნებთ და დავაფინანსებთ ამ სკოლებს. მივცემთ ყველანაირ საშუალებას, რომ მართვის დემოკრატიული მოდელი დამკვიდრდეს და თავად განკარგონ ფული, რასაც აქამდე ცენტრალიზებულად განკარგავდა მერია.

- რა არის წინააღმდეგობის მიზეზი? ორივე მხარე კარგად იცნობს სკოლის პრობლემატიკას.

- დიალოგისთვის მზად ვართ, მაგრამ საწინააღმდეგო არგუმენტებს ვერ ვისმენ. განათლების სამინისტროს წარმომადგენელი მერიის განათლების განყოფილებაა. ჩვენ მათთან ურთიერთობა გვქონდა და არაერთი საინტერესო შეხვედრა გავმართეთ სკოლის დირექტორებთან, განათლების პროფკავშირებთან, არასამთავრობოებთან. როცა ასეთი არსებითი და, ღრმად ვარ დარწმუნებული, სასიკეთო ცვლილებები შემოდის სკოლაში, ბუნებრივია, ეს საზოგადოებრივმა აზრმა უნდა გაითავისოს. კარგად გვესმის, რომ თავს მოხვეული აზრის განხორციელება ნაკლებად შესაძლებელია. ამ შეხვედრების დროს არსებითი წინააღმდეგობა ვერ ვნახეთ. ჩვენი ოპონენტები ამბობენ, რომ იდეას არ ეწინააღმდეგებიან, გარდა ტრადიციული, ზოგადი შეფასებებისა: "არის თუ არა მზად საზოგადოება ასეთი ცვლილებებისთვის? ცხრა კაცის არჩეულმა დირექტორმა რომ არ გაამართლოს?.." და ა.შ.

ნუთუ არ შეიძლება, ვიფიქროთ, რომ ცხრა კაცი ნაკლებ შეცდომას დაუშვებს? განათლების კანონის თანახმად (რომელსაც, როგორც ვიცი, თავად განათლების მინისტრი აღარ ეთანხმება. ჩემი ინფორმაციით, სამინისტროს შენობის გახსნაზე მან თქვა, რომ დირექტორი არჩევითი უნდა იყოს), დღეს განათლების მინისტრი ნიშნავს დირექტორებს. ეს აბსურდია. საქართველოში 3500-ზე მეტი სკოლაა. მათ შორის, თბილისში - 200-ზე მეტი (კერძო სკოლებს არ ვგულისხმობ). წარმოიდგინეთ: მინისტრმა რომ 3000 სკოლის დირექტორი დანიშნოს, სასკოლო ოლქმა, სულ ცოტა, ორი კანდიდატურა უნდა წარუდგინოს მინისტრს. შერჩევისას ხომ უნდა გაესაუბროს ამ ადამიანებს... თავად გათვალეთ, რა დრო დასჭირდება ამას... არა მგონია, ერთი კაცის მიერ დანიშნული დირექტორი იმაზე კარგი იყოს, ვიდრე იმ ადამიანების მიერ შერჩეული დირექტორი, რომელთაც ყველაზე დიდი ინტერესი აქვთ ჩადებული - თავიანთი შვილები ჰყავთ იმ სკოლაში, მუშაობენ, პედაგოგები არიან... ხანდახან ტრივიალური ჭეშმარიტებების მტკიცება მიწევს. სხვათა შორის, სამინისტრო სამართლიანად აცხადებს, რომ იდეა მათაც ჰქონდათ. მართალია, მაგრამ ეს სანახევრო ნაბიჯი იყო. სამეურვეო საბჭოები არ იყვნენ აღჭურვილნი ისეთი უფლებამოსილებითა და ფუნქციებით, როგორსაც მათ ჩვენ მივანიჭებთ.

კონფრონტაციულ რეჟიმში მუშაობის არავითარი სურვილი არა გვაქვს. ჩვენი სკოლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორი ურთიერთობა გვაქვს მე და კარტოზიას, ან მე და მის რომელიმე მოადგილეს... ჩემი მიზანია, სკოლებისთვის რაიმე სასიკეთო გავაკეთოთ.

ჩვენ სამინისტროს ვთავაზობთ: ვართ დამფინანსებლები და მზად ვართ, სკოლა სამართავად საზოგადოებას გადავცეთ. მოდით, განვახორციელოთ. ნდობას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ სკოლას ჩვენს შვილებს ვანდობთ, ნუთუ არ შეიძლება, ლარებიც ვანდოთ?!

- რა იურიდიული პროცედურა უნდა გაიაროს საკრებულოს გადაწყვეტილებამ, სკოლებამდე რომ მივიდეს?

- საკრებულოს პრეროგატივაა, გადაწყვეტილება მიიღოს და მან ეს გააკეთა. ეს გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულო იქნება. პრესით გამოქვეყნების შემდეგ გადაწყვეტილება გულისხმობს იმასაც, რომ ქალაქის მთავრობას ამ დებულების საბოლოო კონდიციამდე მიყვანა დაევალება. ამის შემდეგ კი ჩატარდება საგანმანათლებლო სისტემაში დღემდე არნახული არჩევნები.

საზოგადოების გაცნობიერებაში კი დაგვეხმარებიან ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც დიდი გამოცდილება აქვთ ამ საქმეში, რადგან სამუშაო ბევრია და ამას შესაბამისი მომზადება ესაჭიროება.

არჩევნები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა დასრულდეს.

- როგორც ჩანს, ეს საკითხიც და მთლიანად საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმირების საკითხებიც პოლიტიკის კლანჭებში მოექცა... ორივე მხარეს პედაგოგები დგახართ. რაზე დავობთ?

- გარკვეული აზრით, ყველაფერი პოლიტიკაა. განათლების სისტემა პოლიტიკისგან დაზღვეული უნდა იყოს. ჩვენი ძირითადი ინტერესია, სკოლებს მიეცეთ საკუთარი თავის მართვის საშუალება. ეს სკოლებისთვის გადადგმული სასიკეთო ნაბიჯი იქნება. მეორე მხრივ, ეს საპარლამენტო არჩევნების წელია და ნებისმიერი გადაწყვეტილება მოექცევა პოლიტიკის ჩარჩოებში. ამ კონტექსტს ვერ გავექცევით. მაგრამ, ფაქტია, რომ საკრებულოს მმართველობის უკეთესი სისტემის შემუშავება უნდა.

- რა ბერკეტები აქვს საკრებულოს და, გნებავთ, მთავრობას საიმისოდ, რომ ჩვენს სკოლებში - კერძო იქნება ეს თუ მუნიციპალური - პედაგოგთა და სწავლების დონე დამაკმაყოფილებელი მაინც იყოს?

- ერთადერთი და ყველაზე მძლავრი ბერკეტი გახლავთ ის, რომ ნებისმიერი სკოლა უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფო საგანმანათლებლო მინიმუმს. თუ სკოლა არ აკმაყოფილებს ამ სტანდარტებს, ის ვერ გასცემს სახელმწიფო სტატუსის მქონე ატესტატს, რომელიც დაადასტურებს, რომ მოსწავლემ ზოგადი საშუალო განათლება მიიღო.

- კონსტიტუციით, რამდენად არის დასაშვები სკოლების დეცენტრალიზაცია?

- კონსტიტუციაში არსად წერია, რომ მართვა აუცილებლად ცენტრალიზებული უნდა იყოს. თუ საზოგადოება ხვდება, რომ ასეთი ნორმა ხელს უშლის განათლების სისტემის განვითარებას, რომც ეწეროს, ასეთი სისტემა უნდა შეიცვალოს.

- რამდენად გაქვთ იმის იმედი, რომ პარლამენტი მხარს დაუჭერს ცვლილებებს?

- გვაქვს სერიოზული იმედი, რომ პარლამენტში ეს ცვლილებები გავა. პარლამენტში მსგავსი კანონპროექტი - "ცვლილებები განათლების შესახებ კანონში" - თუ არ ვცდები, "გაერთიანებულ დემოკრატებს" აქვთ წარმოდგენილი.

თუ ვინმე გადაწყვეტილების მიღებისას ლოგიკითა და სიკეთით ხელმძღვანელობს, ეს კანონპროექტი უნდა მიიღონ.

- პარლამენტის ბოლო დროს მიღებულ გადაწყვეტილებებს თუ გადახედავთ...

- შეიძლება, ქართული საზოგადოებრიობა მთლად თავს ვერ იწონებს თავისი პარლამენტით, მაგრამ ერთი რამის იმედი კი მაქვს: როდესაც ასე ღიად, აშკარად და ნათლად ჩანს, რომ განათლების სისტემაში ცვლილებები აუცილებელია, ამ საპარლამენტო არჩევნების წელს, ვფიქრობ, პოლიტიკოსები თავს შეიკავებენ მეტისმეტად არასწორი გადაწყვეტილებების მიღებისგან.

სინემა

"ტრანსპორტერი"
The Transporter

კინოთეატრები: "რუსთაველი", "ელისო"

რეჟისორი: **ქორეი იუენი**
მთავარ როლებში: **ჯეისონ სტატამი, შუ ქი, რიკ იანგი**
(აშშ. 2002 წელი)

ფილმის პროდიუსერად და სცენარის ერთ-ერთ თანაავტორად პოპულარული რეჟისორი ლუკ ბესონი გვევლინება. სამწუხაროდ, ამ ხელოვანის მორიგმა ნაწარმოებმა კინომოყვარულების დიდი ნაწილის გაწბილება გამოიწვია. "ტრანსპორტერში" საერთოდ არ ჩანს ის თვითმყოფადი სული, რომელიც ლუკ ბესონის შემოქმედებას ახასიათებს. თუნდაც იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ მისი ფილმების უმრავლესობა ირონიითაა გაზავებული ("ტაქსის მძღოლი", "მეხუთე ელემენტი", "ვასაბი"). გამონაკლისი მხოლოდ კინოსურათი "ჟანა დ`არკია", მაგრამ აქაც მკაფიოდ ჩანს ამ ისტორიული გმირისადმი რეჟისორის თავისებური მიდგომა. ლუკ ბესონის ამ ფილმმა უკვე დაიკავა თავისი გამოკვეთილი ადგილი ჟანა დ`არკის შესახებ გადაღებულ უამრავ სხვა ფილმს შორის.

რამდენადაც პარადოქსული უნდა იყოს, "ტრანსპორტერის" წარმატებას, პირველ რიგში, სწორედ ლუკ ბესონის სახელმა შეუშალა ხელი. მაყურებელი იმდენად მიეჩვია ამ რეჟისორისგან ფილმის სიუჟეტისადმი განსხვავებულ მიდგომას, რომ კინოსურათში მოვლენების ტრივიალური განვითარება იმედგაცრუებას იწვევს. ფილმში, თითქმის, არც ერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდი არ არის. ეს ჩვეულებრივი მძაფრსიუჟეტიანი სურათია, რუსულად "ბოევიკს" რომ ეძახიან. რასაკვირველია, ფილმში უამრავი სპეცეფექტია გამოყენებული, ბესონს არც მისი საყვარელი ავტომანქანებით თავბრუსდამხვევი რბოლა დავიწყებია. თუმცა, არ მგონია, დღეს ვინმეს გაუკვირდეს ესა თუ ის სპორტული ილეთი, როდესაც მსოფლიოს კინო-ეკრანები უკვე მოიარა, სპეცეფექტების თვალსაზრისით, ისეთმა შედევრებმა, როგორიცაა "ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს" და "ბეჭდების მბრძანებლის" ორმა ნაწილმა. ერთადერთი, რითაც "ტრანსპორტერი" ამ ფილმებისგან გამოირჩევა, არის ის, რომ სურათის გმირები არავითარ ზღაპრულ-ფანტასტიკურ იარაღს არ იყენებენ და ერთმანეთის განადგურებას ტრადიციული ცეცხლსასროლი იარაღით ცდილობენ. ხოლო თუ ამ ხერხმა არ გაჭრა, როგორც ნამდვილ მამაკაცებს შეშვენით, მუშტი-კრივზე გადადიან. ფილმის შემქმნელები, ალბათ, ცდილობენ, დაგვარწმუნონ, რომ ზღაპრული და გადაჭარბებული ამ ფილმში არაფერია, მაგრამ როდესაც მარტოხელა ადამიანი ყოველგვარი დახმარების გარეშე კარგად ორგანიზებულ ტრანსნაციონალურ მაფიოზურ დაჯგუფებას ანადგურებს, თავი მართლაც ზღაპრულ სამყაროში გეგონება.

არ ვიცი, იქნებ ლუკ ბესონს მსგავსი სტილის ფილმების პაროდირება სურდა და ამიტომაც შეიქმნა "ტრანსპორტერი", მაგრამ ფილმში პაროდიის ელემენტები ძალიან მცირე დოზით გვხვდება და კინოსურათის საერთო პათოსს ვერ ცვლის. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის ფილმი, ერთ ყოფილ სპეცრაზმელზე, რომელსაც "ცუდი ბიჭები" ძალიან გაბრაზებენ. იგი ცხელ გულზე ყველა მტერს თვალის დაუხამხამებლად განადგურებს. აი, ეს არის მთელი ფილმი!

არჩილ მელიქიშვილი

"ფაივ ლაინს პროდაქშენის" სიახლეები

პროდიუსერულმა ცენტრმა მორიგი ახალგაზრდა დიზაინერის მფარველობა გადაწყვიტა. აქამდე "ფაივ ლაინს პროდაქშენთან" თანამშრომლობდა ორი მოდელიორი, რომლებიც მხოლოდ ხელით ნაქსოვ პროდუქციაზე მუშაობენ. მათ კიდევ ერთი კოლეგა, ნესტან პაპიძე დაემატათ. 25 იანვარს ნესტანის სახელოსნოს "ნეო სტილის" პრეზენტაცია მოეწყო. პაპიძის პირველ ნამუშევარს ჯგუფ "ისინისა" და თამთა გოგუაძის კლიპში (რომლის გადაღებაც 5 თებერვალსაა დაგეგმილი) იხილავს მაყურებელი.

13 თებერვალს კლუბში Club 7 "ფაივ ლაინს პროდაქშენი" ორიგინალურ საღამოს გეგმავს. "მუთაქა ფართი - ვალენტინობა"-ზე მისულებს შესაძლებლობა ექნებათ 757 აშშ დოლარი მოიგონ. საღამოში მონაწილეობენ: მაია ბარათაშვილი, დინი ვირსალაძე, ჯაზ-ტრიო, შოუ-ბალეტი "არგო" და ასევე წარმოდეგნილი იქნება ნანა აბულაძის ხელით ნაქსოვი კოლექცია.

კალენდარი

5 თებერვალი



1943 წლის შობის დღეები იდგა, როდესაც უილიამ ბეროუზი ნიუ იორკში ლუსიენ კარსა და ალენ გინზბერგს შეხვდა. მან გაოცებული დატოვა ახალგაზრდები თავისი ერუდიციით, სარკასტული იუმორითა და გაწონასწორებული ხასიათით. ამ ერთმა შეხვედრამ ბევრი რამ შეცვალა. ბეროუზი ბიტნიკების ჯგუფში ყველაზე უფროსი იყო და ამიტომ მასწავლებლის როლი იკისრა. სწორედ მისი წყალობით გადადგეს პირველი ნაბიჯები მწერლობაში კერუაკმა და გინზბერგმა.

თავად ბეროუზმა ლიტერატურაში პირველად ბედი ჰარვარდში სცადა. მან უნივერსიტეტის მეგობართან ერთად იუმორისტული სკეტჩების წერას მიჰყო ხელი. სტუდენტობის პერიოდში მან პატარა რომანიც დაწერა, მაგრამ გამომცემლებმა სკეტჩებიც დაუწუნეს და რომანიც. ბეროუზს დიდად არ დაწყვეტია გული, მე ხომ მწერალი არა ვარო, - ამბობდა. ბეროუზის ცხოვრებას თავისუფლებისა და საკუთარი "მე"-ს ძიების წყურვილი ამოძრავებდა. ძიების გზაზე იყო უამრავი ცდუნება, დანაშაული ნარკოტიკები...

1950 წლის გაზაფხულზე ბეროუზს ჰარვარდის ძველი მეგობარი ეწვია და ასეთი იდეა შესთავაზა: რა მოხდება, რომ შენ, როგორც ნარკოტიკების მომხმარებელმა, წიგნი დაწერო, ისე, გონების სავარჯიშოდო. ეს რჩევა ბეროუზსაც ჭკუაში დაუჯდა. დეკემბერში რომანი უკვე მზად იყო. მას ერქვა "ჯანკი". სამი წლის შემდეგ ეს წიგნი გამოიცა ფსევდონიმით უილიამ ლი და დამთრგუნველი ქვესათაურით – "გამოუსწორებელი ნარკომანის აღსარება".

მერე იყო ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება და ამ ცხოვრებიდან გაქცევის მცდელობა. როგორც თავად ბეროუზი ამბობდა, მისი არსება რაღაც საზარელმა ძალამ დაიპყრო, რომელიც დროდადრო აკონტროლებდა ხოლმე მას და მართავდა კიდეც იმ დიდ ბრძოლაში, ცხოვრება რომ ჰქვია. პირველ რომანს დანარჩენებიც მოჰყვა. ამერიკელი მწერალი მიხვდა, რომ ლიტერატურა მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. "სხვა არჩევანი არ მქონდა - ჩემი ცხოვრების გზა უნდა ამეწერა," – წერდა ბეროუზი.

ამერიკელი მწერალი **უილიამ ბეროუზი** 1914 წლის 5 თებერვალს დაიბადა სენტ-ლუისში, მისურის შტატში.

ქართული კინოს კლასიკოსი

ნანა ბასილაშვილი

ხვალ ცნობილი ქართველი კინორეჟისორის სიკო დოლიძის დაბადებიდან 100 წელი სრულდება. კინოხელოვანები ამ საიუბილეო თარიღს ოდნავ მოგვიანებით, 27 თებრვალს კინოთეატრ "ამირანში" აღნიშნავენ.

საიუბილეო სამზადისის შესახებ გუშინ, მარჯანიშვილის თეატრში რეჟისორმა ქეთი დოლიძემ პრესკონფერენცია გამართა. ქართული კინოს პატრიარქის, სიკო დოლიძის 100 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად დოლიძის შთამომავლები "ამირანში" არაორდინალურ, თეატრალიზებულ სანახაობას გვპირდებიან. მოგონებებს სიკო დოლიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მისი შვილიშვილები და ქეთი დოლიძის სტუდენტები წარმოადგენენ. საღამოს მსვლელობისას ყველაზე დიდი დრო დაეთმობა ნაწყვეტებს სიკო დოლიძის ფილმებიდან. ამავე დროს საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ის მსახიობები, რომლებიც დოლიძის ფილმებში თამაშობენ; ოთარ მეღვინეთუხუცესი, ლეილა აბაშიძე, გიული ჭოხონელიძე, რამაზ ჩხიკვაძე, გოგი ჭიჭინაძე, ლიანა ასათიანი, ედიშერ მაღალაშვილი და სხვები. იუბილეს აღსანიშნავად, "კინოს სახლში" პირველად, ნაჩვენები იქნება ქართული კინოს ოქროს ხანის ამსახველი დოკუმენტური მასალა. "სიკო დოლიძის იუბილეს ორგანიზებას მე და ქალაქის მერია გავუწევთ. მიხარია, რომ ამჯერადაც მერია დაგვიდგა მხარში", - აცხადებს თემურ დოლიძე.

"დღე უკანასკნელი დღე პირველი", "ჭრიჭინა", "ფატიმა", "დარიკო", "შეხვედრა წარსულთან", "უკანასკნელი ჯვარსონები", "ჯურღაის ფარი" და ა.შ. თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ, იმ დროის ცენზურის ქვეშ შექმნილი, სიკო დოლიძის ეს კლასიკური ფილმები, დღემდე პოპულარულია.

დღევანდელ შეხვედრაზე ჟურნალისტებთან სიკო დოლიძის ცხოვრებას, მის ავტორიტეტს, პიროვნულ თვისებებს, ნიჭსა და ღვაწლს, მისი შვილები და მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი ოთარ მეღვინეთუხუცესი იხსენებდნენ.

"მამა ნამდვილი რაინდი, ლამაზი სულის, ძალიან კეთილი, უშიშარი ადამიანი იყო. საოცრად აქტიური და ჭეშმარიტი ხელოვანი. საშინელი რეჟიმის პერიოდში ისე იცხოვრა, რომ მის სახელს ჩირქი არ მოსცხებია", - სევდანარევი ღიმილით, ამაყად იხსენებს ქეთი დოლიძე. ძალიან მიხარია, რომ ასე ვთქვათ, ჩემი ორი მოძღვრის, მამაჩემისა და მიშა თუმანიშვილის დაბადების დღე, ორივე 6 თებერვალსაა, ეს, ალბათ, შემთხვევითი არაა.

"სიკო დოლიძე ნამდვილი ტალანტი იყო, ხელოვნებაში კი ყველაფერს ტალანტი განსაზღვრავს. მას პატივს სცემდნენ და იგი უყვარდათ. ცამეტი ქართული მხატვრული ფილმის რეჟისორი, კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე, დოკუმენტალური სტუდიისა და ბიჭვინთის კინოს სახლის დამაარსებელი და კიდევ რამდენი რამ უკავშირდება მის სახელს. ყველა მისი ფილმი ქართულ კინოს ოქროს ფონდში შედის. მისი წყალობით ვეცნობოდით იმ დროის კლასიკოს რეჟისორებს და მათ ფილმებს ფელინის, ვისკონტის, ანტონიონისა და ა.შ. იგი იყო ჩვენი კერპი და ზოგადად ქართული ფილმის კლასიკის შემქმნელი", - იხსენებს მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესი.

რუბენსის შედევრის უკვეთლო ბედი

ია ბერიძე

ლონდონის ნაციონალური გალერეის სტუმრებმა პირველად იხილეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ტილო – რუბენსის "ყრმათა მუსვრა". ავტორის ვინაობისა და ფასის გარდა, ეს სურათი თავისი უცნაური ბედითაცაა საინტერესო.

მე-18 საუკუნის დასაწყისიდან ტილო ლიხტენშტეინის სამეფო ოჯახს ეკუთვნოდა. მაგრამ სამეფო კოლექციის კურატორმა შეცდომა დაუშვა, რის გამოც ნახატის ავტორის ვინაობა დაივიწყეს და რუბენსის ტილო დაკარგულად იყო მიჩნეული.

მეოცე საუკუნის დასაწყისში სამეფო ოჯახი სურათს შეელია. პირმა, რომელსაც თავისი ვინაობის გამხელა არ სურდა, ის კომისიონერის შუამდგომლობით შეიძინა, როგორც იან ვან დენ ჰოკეს, რუბენსის ერთ-ერთი მიმდევრის ნამუშევარი.

შარშან ტილო სოტბის აუქციონზე, მამაჩემისა და მიშა თუმანიშვილის დაბადების დღე, ორივე 6 თებერვალსაა, ეს, ალბათ, შემთხვევითი არაა.

"სიკო დოლიძე ნამდვილი ტალანტი იყო, ხელოვნებაში კი ყველაფერს ტალანტი განსაზღვრავს. მას პატივს სცემდნენ და იგი უყვარდათ. ცამეტი ქართული მხატვრული ფილმის რეჟისორი, კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე, დოკუმენტალური სტუდიისა და ბიჭვინთის კინოს სახლის დამაარსებელი და კიდევ რამდენი რამ უკავშირდება მის სახელს. ყველა მისი ფილმი ქართულ კინოს ოქროს ფონდში შედის. მისი წყალობით ვეცნობოდით იმ დროის კლასიკოს რეჟისორებს და მათ ფილმებს ფელინის, ვისკონტის, ანტონიონისა და ა.შ. იგი იყო ჩვენი კერპი და ზოგადად ქართული ფილმის კლასიკის შემქმნელი", - იხსენებს მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესი.

რუბენსის შედევრის უკვეთლო ბედი

ია ბერიძე

ლონდონის ნაციონალური გალერეის სტუმრებმა პირველად იხილეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ტილო – რუბენსის "ყრმათა მუსვრა". ავტორის ვინაობისა და ფასის გარდა, ეს სურათი თავისი უცნაური ბედითაცაა საინტერესო.

მე-18 საუკუნის დასაწყისიდან ტილო ლიხტენშტეინის სამეფო ოჯახს ეკუთვნოდა. მაგრამ სამეფო კოლექციის კურატორმა შეცდომა დაუშვა, რის გამოც ნახატის ავტორის ვინაობა დაივიწყეს და რუბენსის ტილო დაკარგულად იყო მიჩნეული.

მეოცე საუკუნის დასაწყისში სამეფო ოჯახი სურათს შეელია. პირმა, რომელსაც თავისი ვინაობის გამხელა არ სურდა, ის კომისიონერის შუამდგომლობით შეიძინა, როგორც იან ვან დენ ჰოკეს, რუბენსის ერთ-ერთი მიმდევრის ნამუშევარი.

შარშან ტილო სოტბის აუქციონზე, კვლავ ჰოკეს სახელით გაიტანეს. მაგრამ გაყიდვის წინ ჩატარებული ექსპერტიზის შემდეგ ძველი ოსტატების ნამუშევრების მთავარმა სპეციალისტმა, ჯორჯ გორდონმა, აღმოაჩინა, რომ ის რუბენსს ეკუთვნის. დღეს ტილო "სამსონისა და დალილას" გვერდითაა გამოფენილი, - სწორედ მას მიამსგავსა თავიდან გორდონმა "ყრმათა მუსვრა".

ტილოს მფლობელებმა სასიამოვნო სიურპრიზი მიიღეს: ჰოკეს გაყიდვის შემდეგ 9 მილიონ დოლარს ელოდნენ, და უცებ 76 მილიონის მფლობელები გახდნენ – ეს მსოფლიო სენსაცია იყო. ლონდონის აუქციონზე ასეთ ფასად მანამდე არაფერი გაყიდულა.

აუქციონზე რუბენსი მედია-მაგნატმა, დევიდ ტომსონმა იყიდა, და სამი წლით "ათხოვა" ნაციონალურ გალერეას. შემდეგ შედევრი ტორონტოში, ონტარიოს სამხატვრო გალერეაში გადაინაცვლებს.

ამგვარად, 1601-1611 წლებში დახატული "ყრმათა მუსვრის" შესახებ მსოფლიო 2002-2003 წლებში ალაპარაკდა.

კულტურა მუდამ აქტიურია

შოთა იათაშვილი
მწერალი

შოთა იათაშვილი

ბესო გასვიანელის ფოტო

1. თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული კულტურის აქტივობა, რა არის ყველაზე გამომწვევი (სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან) ფაქტორი კულტურისთვის, რით შეუძლია მას უპასუხოს ამგვარ გამოწვევებს?

2. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა რაიმე ქართულ კულტურაში ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის მიჯნაზე? იქნებ დაგვისახელოთ უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა.

3. ამჟამად რას კითხულობთ, რას უსმენთ, რომელ გამოფენას ეწვიეთ ან რომელი სპექტაკლი თუ ფილმი ნახეთ ბოლო დროს?

1. ამ შეკითხვას ასე შემოვაბრუნებდი: რაზეა კულტურის პასიურობა დამოკიდებული და არა აქტიურობა, ვინაიდან თავისი ბუნებით კულტურა მუდამ აქტიურია, ადამიანის სულის, მისი ყოფის თანამდევია და რა ფორმაცია და მდგომარეობაც არ უნდა იყოს, მას თავისი პრინციპული სათქმელი მუდამ აქვს. კულტურა იმისთვისაა, რომ კარგი თუ ცუდი, რაც არ უნდა ხდებოდეს და ივარაუდებოდეს, ყველაფერი აღწეროს, გაანალიზოს, ადამიანის სისხლში გადაიტანოს. მაგრამ, მიუხედავად ამ მარადიული მისიისა, ზოგჯერ კულტურის როლი დეფორმირდება, იგი პასიური და სხვა ინსტიტუტებს დაქვემდებარებული ხდება. ერთ-ერთი ასეთი მთავარი ინსტიტუტი კი, ცხადია, სახელმწიფოა, რომელიც ხშირად კულტურის აქტიურობა-პასიურობის განმსაზღვრელია.

ჩვენ ტოტალიტარული რეჟიმიდან მოვდივართ, იმ დროისათვის დამახასიათებელი ცნობიერების ფორმები ინერციით დღემდე მოგვყვება და ბოლომდე არაა აღმოფხვრილი. ამიტომ დღევანდელი სიტუაციის აღსაწერად, კარგი იქნება, თუ წარსულსაც გავიხსენებთ. როგორი იყო მაშინ კულტურისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართება? ხატოვნად რომ ვთქვათ, კულტურის პოლიტიკას ტოტალიტარული რეჟიმის დროს ორი სექტორი ჰქონდა: ერთი იყო "საგარეო საქმეთა სამინისტრო", და "შინაგან საქმეთა სამინისტრო". "საგარეოს" ფუნქცია იყო საჩვენებელი სახე მიეცა და გარეთ გაეტანა კულტურის საუკეთესო ნიმუშები. ცხადია, იდეოლოგიურ შეზღუდვებს ბოლომდე ვერ მოხსნიდნენ, მაგრამ ასეთ შემთხვევებში იდეოლოგიური კონტროლი სუსტდებოდა და გაცილებით მეტი ყურადღება ექცეოდა მხატვრულ დონეს, ვინაიდან ეს იყო სახელმწიფოს სამარკო ნიშანი. მაგრამ, როდესაც საქმე მიდგებოდა "შინაგან საქმეთა სამინისტროს" მუშაობაზე, მაშინ უკვე მაქსიმალურად ახორციელებდნენ იმ იდეოლოგიას, რომელიც მათ აწყობდათ. ანუ ფსონი იდებოდა კულტურის იმ მოღვაწეებზე და ისეთ კულტურაზე, რომელიც მათთვის სასურველ ზეგავლენას მოახდენდა საზოგადოებაზე. ორი პოლუსია - კულტურის ორი გაყინული წერტილი, სიცოცხლისუნარიანობას კი განაპირობებს ის, რაც ამ ორ წერტილს შორისაა. არადა, სახელმწიფო სწორედ ამ ორ პოლუსზეა ძირითადად ორიენტირებული და მას ახარჯავს ბიუჯეტის დიდ ნაწილს. ადრე კიდევ არ იყო ასე საქმე, როგორც ახლაა. თანაც ყველაფერი გაიოლდა. ადრე თუ იდეოლოგიური მოსაზრებებით სხვადასხვა პოლუსებზე ხშირად სხვადასხვა ნაკლოვანებებს უშვებდნენ, ახლა, ერთი "სპეცრაზმი" ჩამოყალიბდა, რომელსაც საჭიროებისდა მიხედვით, ხან ერთ "თბილ" პოლუსზე აგზავნიან, ხან მეორეზე.

თავისთავად, კულტურის მოღვაწეების სახელმწიფოსთან თანამშრომლობის საკითხი მეტად პრობლემატურია. ერთი მხრივ, ყველას გვინდა დალაგებული, ძლიერი, წესიერი სახელმწიფო, მეორე მხრივ კი ხელოვანის მხრიდან სახელმწიფოს სტრუქტურებთან ურთიერთობა კონფორმიზმად აღიქმება. არადა, ეს "კონფორმისტი" ხელოვანები ამბობენ: როგორ შემუშავდება სწორი კულტურული პოლიტიკა, თუ თავად ჩვენ, ხელოვანები, ამაში მონაწილეობას არ მივიღებთ? პრინციპში, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ჯერჯერობით ეს მაინც ორმხრივი ტყუილია, რადგან დღევანდელ ჩვენს სახელმწიფოს კულტურის მოღვაწეების მხოლოდ ვიწრო წრე სჭირდება, კულტურული მოვლენების მხოლოდ მცირე რაოდენობით. ბევრს იგი ვერ აუვა. კულტურის მოღვაწეებისთვისაც სახელმწიფო ხშირად ცხოვრების, საუკეთესო შემთხვევაში კი კულტურის კეთების საშუალებაა და არა საბოლოო, წმიდათაწმიდა მიზანი – ქვეყნის აშენება. ამიტომაც ხდება მაკაცრი შერჩევა. როდესაც ეს შერჩევა მოხდება და ვიღაც მოხვდება სახელმწიფოს ფრთის ქვეშ, იგი ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის შესაბამისად აიწყობს კულტურულ ცხოვრებას. სხვათაშორის ასეთი დამოკიდებულების პირველი საკითხი არის ტელევიზია, რომელიც ქვეყნის გაუკულტურებაში დიდ როლს თამაშობს. ცისფერ ეკრანზე მთელი კულტურული სიტუაცია იხატება ერთი მუჭა ადამიანებით და მათი თვალით. "თავისუფალ" ტელევიზიასთან შედარებით ქართული პრესა ნამდვილად გაცილებით უფრო თავისუფალია და კულტურის რეალურ დინამიკას, რეალურ სპექტრს უკეთ ხატავს – შეიძლება ხშირად საკმაოდ ზედაპირულად, ინფორმაციის დონეზე, მაგრამ დღევანდელ სიტუაციაში ეგეც საქმეა.

ის, რომ არსებულ კულტურულ პოტენციალს ხეირიანად ვერ ვიყენებთ, ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს რეგიონებთან დამოკიდებულებაში. მაგალითად, ქუთაისი მუდამ ძალიან მნიშვნელოვანი ქალაქი იყო კულტურული თვალსაზრისით და ამ მნიშვნელობით, იყო პერიოდები, როცა თბილისსაც სჯაბნიდა. დღეს, სხვა სფეროებს რომ თავი დავანებოთ, ლიტერატურაში ძალიან მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს იქ. არადა, თბილისის ჭრილში თუ არ გაიარა, იგი რეალურ ზეგავლენას ვერ მოახდენს ქართულ კულტურაზე. სახელელმწიფოს მხრიდან ასეთ რაღაცეებზე ზრუნვას კი ნაკლებად უნდა ველოდოთ.

აი, ასეთი ტიპის პრობლემებია, ჩვენს დღევანდელ კულტურას პასიურს რომ ხდის. კულტურა ლოკალიზდება და უკვე აღარაა საზოგადოებისათვის განკუთვნილი, რაც დიდი უბედურებაა. ხოლო ლოკალურობიდან გამოსვლის ვულგარული მეთოდებით უარეს შედეგს ვიღებთ: ადრე თუ წითელი ინტელიგენცია არსებობდა, ახლა ყვითელი ინტელიგენცია გამოდის გაპარტახებულ ასპარეზზე.

2. ბოლო ათი წელია ქართულ კულტურაში ინტენსიურად მიმდინარეობს დესაკრალიზაციის პროცესი, რაც, ჩემი აზრით, ერთი დიდი კულტურული მოვლენაა. ამ დროს დესაკარალიზდება როგორც ჭეშმარიტად, ასევე ყალბად საკრალური. ეს ხდება როგორც ხელოვნების ნაწარმოებებში, ასევე უშუალოდ ხელოვანთა შორის ურთიერთობებში, კულტურულ ცხოვრებაში. მოიშალა შეფასების ძველი კრიტერიუმები. ამას მოაქვს როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური. მაგრამ ფაქტია: ეს ეტაპი რაღაცნაირად უნდა დასრულდეს და მერე კვლავ უნდა დაიწყოს რესაკრალიზაციის პროცესი.

თუ მაინც კონკრეტული მოვლენის დასახელებას მთხოვთ, მე მახსენდება რეზო მიშველაძისადმი რუსთაველის პრემიის მინიჭება. მაშინ, როცა ეს პრემია არა აქვთ ოთარ ჩხეიძეს, გურამ დოჩანაშვილს, ბესიკ ხარანაულს და შემდგომ თამაზ წივწივაძის მიერ გაცხარებულ გულზე "ლიტერატურულ საქართველოში" იმის აღწერა, თუ როგორ "ჩაუწყო" მან რეზო მიშველაძეს რუსთაველის პრემია.

მე მახსენდება, თქვენ კი დაფიქრდით, ამის შემდეგ რა გზით შეიძლება წავიდეს ქართული კულტურული ცხოვრება.

3. მალე გამოვა ალმანახი "2002 წელი. სახეები, სახელები", სადაც პოლიტიკიდან დაწყებული, სპორტით დამთავრებული, ყველა სფერო იქნება ასახული და განსაზღვრული. მე ლიტერატურაში შარშან მომხდარი მოვლენების გაშუქება მომანდეს. თავადაც გესმით, რა საპასუხისმგებლო დავალებაა, ამიტომაც ეს ბოლო ხანებია გასული წლის ლიტერატურული პროდუქციის კითხვითა ვარ დაკავებული სულ.

ძველით ახალი წლიდან დავდიოდი "ძველ გალერეაში" ლია შველიძის გამოფენა-აქციაზე "დაჯექი". ეს აქცია უკვე მეოთხედ გაიმართა და მხატვრებისა და პოეტების ურთიერთობის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. იმ ნახატებსა და ტექსტებს, რომლებიც ამ ორი კვირის განმავლობაში გალერეაში იქმნება ხოლმე, გალერისტები არჩილ დარჩია და მანანა ვადაჭკორია თავს უყრიან, აწესრიგებენ და ვინ იცის, რა ფასი დაედოს ამ არქივს დროთა განმავლობაში.

რაც დღევანდელ ქართულ თეატრსა და კინოში ხდება, ძალიან არ მაკმაყოფილებს. რამოდენიმე ხნის წინ კულტურაზე სისტემატურად წერა მიწევდა. თითქმის ყველა სპექტაკლზე დავდიოდი. მწარედ მახსოვს, როგორ გადამღალა უსახურობამ და უგემოვნობამ, ამიტომ ჯერჯერობით თეატრს არ ვეკარები. თუ წახვალ ისევ სტურუას და ჩხეიძის სპექტაკლებზე. ისევ ძველი თაობის რეჟისორები თუ გააკეთებენ რამეს. თუმცა ახალი თაობის რეჟისორების ნახელავიდან გამოირჩა დათო საყვარელიძის "დოქტორ ფრანკენშტაინი". ბოლო ქართული კინო, რომელიც ვნახე, "როგორც ლურჯა ცხენებია". ძალიან არ მომეწონა და ამის შესახებ "ახალი ვერსიის" ბოლო ნომერში რეცენზიაც გამოვაქვეყნე.

აქამდე ყველაფერ ქართულზე ვილაპარაკე, მაგრამ მუსიკას თუ შევეხებით, არ შემიძლია ბორის გრებენშჩიკოვი არ ვახსენო. რასაც მუდამ ვუსმენ, ეს მისი მუსიკაა. იგი ჩემი მუსიკის ნაწილია. შარშან მისი თბილისში ჩამოსვლაც ორი მშვენიერი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში.

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

როგორია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, როგელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და როგელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავია?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქვენის "მითვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

„წმინდა მიწაზე" ფეხბურთი ბრუნდება

2001 წლის ოქტომბრის შემდეგ პოლიტიკური კატაკლიზმებით შეჭირვებულ ისრაელში საერთაშორისო საფეხბურთო მატჩი აღარ გამართულა. UEFA-ს თასი იქნებოდა თუ მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი, ფეხბურთელები იძულებული იყვნენ, მუდამ ისრაელის ფარგლებს გართ, რომელიმე ნეიტრალური ქვეყნის ტერიტორიაზე ეთამაშათ, რადგან მათი უცხოელი კოლეგები ზედმეტად ფრთხილობდნენ და კატეგორიულ უარს ამბობდნენ ცხელ წერტილად მიჩნეულ ქვეყანაში ჩასვლაზე. სანამ UEFA შესაბამის სანქციებს მიიღებდა, ისრაელის კლუბებმაც და ეროვნულმა ნაკრებმაც დიდად იხეირეს ევროპელი ფეხბურთელების ასეთი კაპრიზულობით. ალბათ, გახსოვთ, როგორ უპრობლემოდ მოუგო UEFA-ს თასისთვის მებრძოლმა "ჰაიფამ" განახევრებული შემადგენლობით ჩასულ "ჩელსის". ისრაელის ნაკრებიც უგებდა ავსტრიელებს, მაგრამ ბოლოს მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო მატჩი ფრედ დასრულდა და პლეი ოფში ავსტრიის ნაკრები გავიდა.

2001 წლის ოქტომბერში, პოლიტიკური არასაიმედოობის მოტივით, UEFA-მ ისრაელის ტერიტორიაზე ინტერნაციონალური მატჩების ჩატარება აკრძალა. მას შემდეგ "წმინდა მიწაზე" უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა. ისრაელი და პალესტინა ისევ ომში არიან ჩაბმული, მაგრამ UEFA, რატომღაც, სანქციების გაუქმებას აპირებს. სავარაუდოდ, 12 თებერვალს ისრაელში 2001 წლის შემდეგ პირველი ინტერნაციონალური მატჩი გაიმართება - ისრაელის ნაკრები სომხეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. ებრაელები თავგამოდებით ამტკიცებენ, სომეხ ფეხბურთელთა უსაფრთხოება გარანტირებული იქნებაო. დაგეგმილია ახალგაზრდული ნაკრებების მატჩიც, რომელიც ასევე ტელ-ავივში უნდა გაიმართოს. ოფიციალური შეხვედრები კი, ჯერჯერობით, კვლავაც ნეიტრალურ მოედნებზე გაიმართება.

წლის გუნდი თურქული შტრიხებით

3 თებერვალს UEFA-მ ტრადიციულად დაასახელა 2002 წლის სიმბოლური ნაკრები. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი გამარჯვებულის, მადრიდის "რეალის" რიგებიდან წლის ნაკრებში სამი ფეხბუთელი მოხვდა: ბრაზილიელი რობერტო კარლოსი, ფრანგი ზინედინ ზიდანი და კარლოსის თანამემამულე რონალდო გულშემატკივრებმა და სპეციალისტებმა საუკეთესო მცველად, ნახევარმცველად და თავდამსხმელად მიიჩნიეს.

ცოტა არ იყოს, მოულოდნელი აღმოჩნდა სიმბოლურ ნაკრებში თურქების გამოჩენა. წლის მეკარე გახდა არა ამ ნომინაციაში მრავალგზის გამარჯვებული ოლივერ კანი, არამედ სტამბულის "ფენერბახჩეს" გოლკიპერი რეჩბერ რუშტუ. სიმბოლური ნაკრების მწვრთნელად კი თურქეთის ეროვნული ნაკრების თავკაცი შენოლ გიუნეში დასახელდა.

თითო ფეხბურთელითაა წარმოდგენილი იტალიური სერია, ესპანური პრემერა დივიზიონი და გერმანული ბუნდესლიგა - საუკეთესოთა შორის ამ ქვეყნებიდან მოხვდნენ მხოლოდ ალესანდრო ნესტა, კარლეს პუიოლი და მიხაელ ბალაკი. სამაგიეროდ, ფავორიტები იყვნენ ბრაზილიელები და ფრანგები. ტიერი ანრისთან ერთად, ზინედინ ზიდანი მეორედ დასახელდა სიმბოლური ნაკრების ფეხბურთელად.

წლის ნაკრების შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

მეკარე: რუშტუ ("ფენერბახჩე")

მცველები: კარლეს პუიოლი ("ბარსელონა"), ალესანდრო ნესტა ("მილანი"), კრისტაინ კივუ ("აიაქსი"), რობერტო კარლოსი ("რეალი")

ნახევარდაცვა: კლარენს ზეედორფი ("მილანი"), მიხაელ ბალაკი ("ბაიერნი"), ზინედინ ზიდანი ("რეალი"), დამიენ დაფი ("ბლექბერნი")

თავდასხმა: ტიერი ანრი ("არსენალი"), რონალდო ("რეალი")

მწვრთნელი: შენოლ გიუნეში (თურქეთი)

მორენოს ფეხბურთი მოენატრა

ახსოვს კიდევ ვინმეს მსოფლიოში ექსცენტრული ეკვადორელი არბიტრი ბირონ მორენო? ალბათ, ნაკლებად. აი, იტალიაში კი სენიორ მორენო ჯერაც არ დავიწყებიათ და მის შესახებ, თვით ყველაზე უმნიშვნელო ინფორმაციასაც კი, შესაშური ოპერატიულობით ავრცელებენ. არცაა გასაკვირი - ამ კაცმა ხომ უძლიერესი შემადგენლობით დაკომპლექტებული "სკუადრა აძურა" მუნდიალის მერვედფინალიდან გამოაგდო და, იტალიელთა ნაცვლად, სამხრეთ კორეის იდუმალებით მოცულ ნაკრებს აუნთო მწვანე შუქი.

მორენომ მუნდიალის შემდეგაც გამოიჩინა თავი. ეკვადორის ჩემპიონატში, ადგილობრივი "დეპორტივოსა" და "ბარსელონას" მატჩში, სკანდალურმა არბიტრმა ჯერ სამი ფეხბურთელი გააძევა მოედნიდან, შემდეგ კი ძირითად დროს თითქმის ათი წუთი დაამატა. ამ მატჩმა ისეთი აჟიოტაჟი გამოიწვია, რომ ეკვადორის ფეხბურთის ფედერაცია იძულებული გახდა, მორენოსთვის ოცკვირიანი დისკვალიფიკაცია მიეცა. მაშინ მორენომ განაცხადა, ფეხბურთს თავს ვანებებ და პოლიტიკაში გადავდივარო, რაზეც ყველა ირონიულად ამბობდა, რაღა გვეშველება, ფეხბურთი ჭეშმარიტად დიდ არბიტრს კარგავსო. მაგრამ, როგორც ჩანს, ინტერნაციონალურ ფეხბურთს მორენოს დაკარგვა არ უწერია. სასჯელმოხდილმა არბიტრმა თხოვნით მიმართა UEFA-ს, ისევ მისცეს ეკვადორის ჩემპიონატის მსაჯობის უფლება. როგორც იტალიური სპორტული პრესა იუწყება, მორენო თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგება მარტიდან, როცა ეკვადორის ჩემპიონატი სტარტს აიღებს. იმედია, ყველა დროის გენიალური არბიტრი სამოღვაწეო ასპარეზად ეკვადორის ჩემპიონატს იკმარებს და მეტად აღარ გამოჩნდება საერთაშორისო არენაზე.

ისტორიული ფოტო

ეს იყო 25 წლის წინათ...

1988 წლის 25 ივნისი, მიუნხენის ოლიმპიური სტადიონი, ჰოლანდიის ნაკრების ევროპის ჩემპიონობას ზეიმობს, მარკო ვან ბასტენი და რინუს მიხელსი

„დინამო" ბოსნიაშიც ყაიმით დაიწყო

შუშაკი შედეგით უკმაყოფილოა

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ ბოსნიის დაბა მეჟგორიეში შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" პირველი ამხანაგური სპარინგ-მატჩი გამართა. ჩვენი მეტოქე იყო სლოვენიის მრავალგზის ჩემპიონი და მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი - "მარიბორი". ეს გუნდი სისტემატურად მონაწილეობს ევროპის საკლუბო ტურნირებში, თანაც, საკმაო წარმატებით და საერთაშორისო მასშტაბით ანგარიშგასაწევ მეტოქედ ითვლება. ასე რომ, მასთან თამაში გამოავლენდა, რამდენად ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრება ჩაატარა "დინამომ" კვიპროსზე.

როგორც "დინამოს" პრესატაშემ, ლევან სალუქვაძემ სატელეფონო საუბარში გვაცნობა, სტატუსის მიუხედავად, თამაში, თავისი ხასიათით, სულაც არ გამოდგა ამხანაგური. დასტურად იმის თქმაც კმარა, რომ მსაჯმა ქართველ ფეხბურთელებს 4 ყვითელი ბარათი უჩვენა, ხოლო 52-ე წუთზე რატი ალექსიძეს წითელიც აუფრიალა და "დინამო" კაცნაკლული დატოვა. სლოვენიელთაგან რეფერემ მხოლოდ ორი ფეხბურთელი გააფრთხილა.

"დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ზოიძე (გვარამაძე), ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კარლოს და როჩა, სახვაძე (კვირკველია), გოგობერიშვილი, ბურდული, ანჩაბაძე (ახალაია), დარასელია (ხიზანეიშვილი), ალექსიძე. ქართველ ფეხბურთელთაგან გაფრთხილებები მიიღეს დარასელიამ, სახვაძემ, ანჩაბაძემ და გოგობერიშვილმა.

შუშაკმა აირჩია ტაქტიკური განლაგება 3-4-3, რომლის აპრობირებაც ორი კვირის წინ, კვიპროსზე დაიწყო. მატჩი "დინამოს" ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით დაიწყო. მე-8 წუთზე დარასელიას სოლო რეიდისა და კარგი პასის შემდეგ ბურთი მიუვიდა მოწინააღმდეგის კარიდან 9 მეტრში მყოფ ალექსიძეს, რომლის დარტყმა "მარიბორის" მეკარემ გააუვნებელყო. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ დარასელიას შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ დარტყმა უზუსტო გამოდგა. შემდეგ სლოვენიელებმა გაათანაბრეს და ერთგვარად დაამშვიდეს თამაში, თუმცა, გოლს მაინც ვერ გადაურჩნენ. ეს 38-ე წუთზე მოხდა: კუთხურიდან დარასელიამ ჩამოაწოდა, "მარიბორის" საჯარიმოში რამდენიმე რიკოშეტის შემდეგ ბურთი მიუვიდა ამისულაშვილს, რომელმაც გახსნა კიდეც ანგარიში.

შემდეგ მოხდა ის, რამაც თამაშის ხასიათი კარდინალურად შეცვალა. საჯარიმოში, პოზიციური ბრძოლისას, ალექსიძეს მეტოქემ იდაყვი უთავაზა. არც ქართველი დარჩენია ვალში. მსაჯმა მხოლოდ ეპიზოდის ფინალი შეამჩნია და ქართველ ფეხბურთელს გასახდელისკენ მიუთითა. გაპროტესტებას მოყვა ის, რომ ანჩაბაძემ ყვითელი ბარათი მიიღო.

"დინამო" ფრეებს მიეძალა

ამის შემდეგ სლავები უპირატესობას დაეუფლნენ და 70-ე წუთზე ანგარიში გაქვითეს. საპასუხო გოლი ბრეზიჩის ანგარიშზეა. მატჩის მიწურულს ნაკლულ "დინამოს" შეეძლო, გამარჯვება ხელიდან გამოეგლიჯა მეტოქისთვის, მაგრამ გოგობერიშვილის მიერ დარტყმული საჯარიმო ძელმა მოიგერია. მატჩი ფრედ - 1:1 დასრულდა.

"დილიდან კოკისპირულად წვიმდა. ამას ძლიერი ქარიც დაერთო. თამაშის დაწყების წინ ამინდი ოდნავ გამოკეთდა, მაგრამ წვიმა არ შეწყვეტილა და ძალიან მძიმე მატჩი გამოვიდა. სწრაფი პასი, ბურთის "დაჭერა" და კომბინაციური თამაში შეუძლებელი იყო. ერთი სიტყვით, "დინამომ" ამ კომპონენტებში თავისი უპირატესობა ვერ გამოიყენა. ორივე ტაიმი ძალისმიერ ბრძოლაში გაილია. შუშაკი მატჩის შედეგით უკმაყოფილო იყო, თუმცა, თავისი ფეხბურთელების თამაში დადებითად შეაფასა", - გვითხრა ლევან სალუქვაძემ.

აქვე გაცნობებთ, რომ ანტალიაში შეკრებაზე მყოფმა თბილისის "ვიტ ჯორჯიამ" ამხანაგური მატჩი გამართა კიევის "არსენალთან" და დამარცხდა - 0:3. ჯანი კარნევალე კიდევ ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. 8 თებერვალს ვეტერინარები ერთ-ერთ რუმინულ გუნდს გაეჯიბრებიან, ხოლო 12 თებერვალს რუსეთის "ტორპედო-მეტალურგს" ეთამაშებიან სპარინგ-მატჩს.

წითელი ბარათის მოლოდინში

ნინო ჰირველი

მაინც რა უბედურებაა ევროპის ექსგრანდთა თავს? მიმდინარე სეზონი საოცრად დანავსული გამოდგა ისეთი კლუბებისთვის, როგორებიცაა ესპანური "ბარსელონა", იტალიური "რომა", გერმანული "ბაიერი", ინგლისური "ლივერპული"... ყოველი მათგანი გასულ სეზონში წარმატებით გამოდიოდა და საოცნებო ტიტულებამდე სულ ცოტაღა აკლდა. ახლა კი ყველას კრიზისის მძიმე ხანა უდგას... "ბარსა", ლამისაა, სეგუნდა დივიზიონში გავარდნის პირველ კანდიდატად იქცეს, "ბაიერსაც" ბევრი არაფერი აშორებს სახიფათო ზონისგან, "რომას" სახელოვან ისტორიაში კი ჩაიწერა ისეთი სამარცხვინო ფურცელი, როგორიცაა მარცხი აუტსაიდერ "კომოსთან".

ფეხბურთის ყველა მოყვარულისთვის ლევერკუზენის "ბაიერი", ალბათ, გასული სეზონის უდიდესი სენსაცია იყო. კლაუს ტოპმიოლერის "ასპირინებმა", რომელთაც სეზონის დასაწყისში სერიოზულად არავინ უყურებდა, თითქმის შეუძლებელი შეძლეს - ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდნენ და ბოლო წუთებამდე სამი ტიტულის მოპოვების რეალური შანსი ჰქონდათ, მაგრამ სამივე პრიზი სწორედ უკანასკნელ წამებში დაკარგეს და, ჩემპიონთა ლიგის თასისა თუ გერმანიის ჩემპიონის წოდების ნაცვლად, "ლევერკუზენისა" და "მარად მეორის" არცთუ სახარბიელო იარლიყები დაიმსახურეს. მაშინ "ბაიერი" ვიცე-გმირი იყო, წლეულს კი...

წლეულს "ბაიერი" საკუთარ აჩრდილსაც კი აღარ ჰგავს - ტრავმების ეპიდემია, ვარსკვლავების გაყიდვა, ახალი ფეხბურთელებისგან განცდილი იმედგაცრუება... ყველაზე მეტი შეცდომა მაინც სატრანსფერო პოლიტიკაში იქნა დაშვებული. უცნაურია, რატომ სჯეროდა "ასპირინთა" მენეჯერს, რაინერ კალმუნდს, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელები ფრანკა და ბიროფკა ვარსკვლავად ქცეულ ბალაკისა და ზე რობერტოს შეცვლას შეძლებდნენ? ბალაკი ვერავინ შეცვალა, "ბაიერი" კი კრიზისში ჩავარდა.

ახლა "ასპირინებს" ყველა ფრონტზე ძალიან უჭირთ: მხოლოდ და მხოლოდ მეთოთხმეტე ადგილი ბუნდესლიგაში, ორი მატჩიდან არც ერთი ქულა ჩემპიონთა ლიგაში... ერთადერთი, სადაც "ბაიერი", ჯერჯერობით, კარგად ასპარეზობს, ეს გერმანიის თასის ტურნირია - ტოპმიოლერის გუნდი მეოთხედფინალში გავიდა და მომდევნო ეტაპზე გასვლის დიდი შანსიც აქვს, რადგან "ბაიერნთან" ან "ბრემენთან" კი არა, არამედ არცთუ ძლიერ "უნტერხახინგთან" უხდება ბრძოლა...

ასეთ შავ დღეში "ბაიერი" 1996 წლის შემდეგ აღარ ყოფილა. მაშინ გუნდმა მხოლოდ ბოლო ტურში შეძლო თავის გადარჩენა და არ გავარდა ბუნდესლიგიდან. ნუთუ ეს კოშმარი კიდევ ერთხელ უნდა გამეორდეს? ჯერჯერობით, ყველაფერი სწორედ აქეთ მიდის. "ასპირინები" მატჩს მატჩზე აგებენ და მდგომარეობის გამოსწორების შანსიც მინიმალური აქვთ, რადგან ყველა უბედურებას თან დაერთო ილდირაი ბასთიურქის დისკვალიფიკაციაც.

წითელი ბარათის მიღება, თავისთავად, დიდი უსიამოვნებაა დასჯილი ფეხბურთელისა და მისი კლუბისთვის, მაგრამ როცა სადისციპლინო კომისია ამას არ იკმარებს და დამნაშავეს სამმატჩიან დისკვალიფიკაციასაც მიუსჯის, ეს უკვე თითქმის ტრაგედიაა, მით უმეტეს, თუ საქმე ეხება ისეთ მოთამაშეს, რომლის დაკარგვაც მძიმედ გადასატანია გუნდისთვის. თითქმის აუტსაიდერად ქცეული ლევერკუზენის "ბაიერისთვის" თურქი ნახევარმცველის, ილდირაი ბასთიურქის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ნამდვილად მძიმე დარტყმაა. გასულ ტურში "ასპირინები" დორტმუნდში ჩავიდნენ და გერმანიის ახლანდელ ჩემპიონს - "ბორუსიას" შეხვდნენ. მატჩი ხეირიანად დაწყებული არც კი იყო, რომ ბასთიურქი ბრაზილიელ ევერტონს უკნიდან ფეხებში ჩაუვარდა. არბიტრმა დამნაშავე თურქი ნაადრევად გაისტუმრა შხაპის მისაღებად. ათკაციანმა "ბაიერმა" გალაღებულ "ბორუსიას", ბუნებრივია, ვერაფერი მოუხერხა და მორიგი მარცხი განიცადა. ესღა უნდოდა "ასპირინების" მენეჯერს, რაინერ კალმუნდს! "კოტბუსთან" საკუთარ "ბაიარენაზე" 0:3 წაგების შემდეგ "ბაიერის" მენეჯერს ყოველღამ კოშმარები ესიზმრება. მძიმეწონოსანი საქმოსანი, ნერვიულობისგან, ლამისაა, დადნეს. კალმუნდი ყოველდღე თვალებაწითლებული ცხადდება "ბაიარენაზე" და თავდაუზოგავად მუშაობს სიტუაციის გამოსასწორებლად. ექიმები დასვენებას და გამოძინებას ურჩევენ, მაგრამ რა დროს დასვენებაა, როცა "ბაიერს" ასე უჭირს? არადა, კალმუნდს უკვე სერიოზულად შეერყა ჯანმრთელობა. კლუბის თითოეული მარცხს ის საშინლად განიცდის. დიტერ ტროცლეკს, კალმუნდის პირად ექიმს, რომელიც ტრიბუნაზე მუდამ "ასპირინების" მენეჯერის გვერდით ზის, ჩემოდანში ყოველთვის უდევს ნიტრო სპრეი - პირველადი დახმარების საშუალება ინფარქტის შემთხვევაში. ყოველი მატჩის შემდეგ კი კლუბის დამარცხებით განერვიულებული კალმუნდი დამამშვიდებელ აბებს იღებს. "ბაიერი" ნელ-ნელა ბოლოს ულებს თავის ერთგულ მენეჯერს. კალმუნდი კი დანებებას არ აპირებს. "სანამ ექიმი წითელ ბარათს არ მიჩვენებს, მე ტრიბუნაზე ვიქნები და გუნდთან ერთად ვიბრძოლებ", - ამბობს ის. იმედია, წითელი ბარათის დრო კალმუნდს არასოდეს დაუდგება...

წითელი ბარათის მიღების საფრთხის წინაშე დგას "ბაიერის" ჭაღარაკულულებიანი ხელმძღვანელი კლაუს ტოპმიოლერიც. გასულ სეზონში "ტოპი" გერმანიისა და ევროპის ერთ-ერთ "ტოპ" მწვრთნელად ითვლებოდა, წლეულს კი სამარცხვინო სასჯელი -გუნდიდან გაგდება ემუქრება. ტოპმიოლერს კიდევ ორი მატჩის ვადა აქვს მიცემული: თუ "ბაიერი" ბუნდესლიგის მორიგ ტურში "ბოხუმს" და თასის მეოთხედფინალში "უნტერხახინგს" ვერ დაამარცხებს, მაშინ მას, ალბათ, აუცილებლად უჩვენებენ წითელ ბარათს...

„ბაიერნს" სურს, ელბერს ახლავე დაემშვიდობოს

საიდუმლო შეხვედრა კლოზეს აგენტთან

აკა ტონია

"მხიარული ფეხბურთელიდან" ჯოვანი ელბერი "ტრაგიკულ პიროვნებად" იქცა. უკანასკნელ 8 მატჩში მან მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა. ერთ დროს ის "ბაიერნის" ვიცე-კაპიტანი იყო, ახლა კი გუნდს მისი თავიდან მოცილება სურს.

"ბაიერნთან" ელბერის კონტრაქტი 2004 წლის ზაფხულამდე გრძელდება. ეჭვგარეშეა, ხელშეკრულებას მიუხენელები აღარ გააგრძელებენ. ბრაზილიელს რომ გაუშვებენ, უკვე გადაწყვეტილი საქმეა. მაგრამ, როგორც ჩანს, "ბაიერნი" აღარც 2004 წლის ზაფხულამდე აპირებს დაცდას და ბრაზილიელ ლეგიონერს ვადაზე ადრე დაატოვებინებს გუნდს. გერმანული გაზეთი "Bild"-ი ამტკიცებს, რომ "ბაიერნი" მიმდინარე სეზონის დამთავრებისთანავე დაემშვიდობება ელბერს. მისი შემცვლელი კი უკვე კარგად არის ცნობილი: ელბერის ადგილზე კაიზერსლაუტერნელ მიროსლავ კლოზეს მოიყვანენ.

"Bild"-ი იმასაც იუწყება, რომ გასულ ხუთშაბათს "ბაიერნის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე კარლჰაინც რუმენიგე და მენეჯერი ული ჰონესი საიდუმლოდ შეხვდნენ კლოზეს აგენტს, დოქტორ მიხაელ ბეკერს. "საიდუმლო სერობა" მიუხენში, სასტუმრო "ბაიერიშერ ჰოფში" შედგა.

"კაიზერსლაუტერნი" კლოზეს გაყიდვას 2004 წლის ზაფხულში გეგმავდა. საქმე გადაწყვეტილი იყო. ამ დროისთვის "ბაიერნი" უპრობლემოდ გაუშვებდა ელბერს, მის ნაცვლად კი კლოზეს შეიძენდა. მაგრამ "კაიზერსლაუტერნს", მძიმე ფინანსური პრობლემების გამო, სურს, სასწრაფოდ გაყიდოს კლოზე. საუბარია 8 მილიონ ევროზე. სასაცილო თანხაა "ბაიერნისთვის", მაგრამ არის პრობლემაც: რა ვუყოთ ელბერს?

ჯოვანი ელბერი

პასუხი ერთია: ელბერი უნდა გაიყიდოს. მიუხედავად იმისა, რომ თავად ბრაზილიელს თბილ ქვეყანაში, მაგალითად, ესპანეთში სურს გადასვლა, მისი ყიდვის სურვილი ჯერ არც ერთ კლუბს არ გამოუთქვამს. ელბერი, ასეთ ფორმაში, არც ერთ დიდ გუნდს არ სურს, ნაკლები შეძლების მქონე კლუბები კი ბრაზილიელს ვერ შეიძენენ. "ბაიერნში" მას წელიწადში 3,5 მილიონ ევროს უხდიან.

"ბაიერნის" ხელმძღვანელობის მოთმინება საბოლოოდ ამოიწურა. ერთ დროს ელბერი გმირი იყო, ახლა კი რუმენიგე ამბობს: "ელბერს ვურჩევ, ამიერიდან ხმა აღარ ამოიღოს. ჩვენ გვჭირდება გოლების გამტანი ელბერი და არა ისეთი, რომელიც გამუდმებით კონტრაქტის დასრულებაზე საუბრობს".

ეს ყველაფერი ჯოვანი ელბერის წარმატებული მიუნხენური კარიერის უიღბლო დასასრულზე მიგვანიშნებს...

ოლიმპიზმი

დმერთო, მომეც გამარჯვება...

დიმიტრი ობოლაძე

სათაურად გამოყენებული ფრაზა სპეციალური ოლიმპიური მოძრაობის დევიზის ნაწილია. ორგანიზაცია "სპეციალური ოლიმპიადა" 34 წლის წინათ, 1968 წელს დაფუძნდა. ინიციატივა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯონ კენედის დას ეკუთვნოდა. სწორედ იუნის კენედი ითვლება ამ მოძრაობის ფუძემდებლად. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ რა მასშტაბებს მიაღწევდა მოძრაობა. დღეს სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებში 160 ქვეყნის მილიონზე მეტი ადამიანი მონაწილეობს. იუნის კენედის მეუღლე, სერჟენტ შრაივერი, რომელიც სამშვიდობო კორპუსის პირველი დირექტორია და 1968-70 წლებში საფრანგეთში ამერიკის ელჩად მუშაობდა, დღეს საერთაშორისო სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეა და აქტიურად ეწევა ცხოვრების ჯანმრთელი წესის პროპაგანდას. ეს მოძრაობა გახლავთ სისტემური სპორტული ვარჯიშებისა და ოფიციალური ასპარეზობების უდიდესი პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს ინტელექტდაქვეითებული და სხვა ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვებისა და მოზარდების განვითარებას.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენთან ეს მოძრაობა 1991 წლის 27 მარტს, თეიმურაზ მიქიაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო. დღემდე საქართველოს სპეციალურმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ჩაატარა ზაფხულის ექვსი ეროვნული ოლიმპიადა. თითოეულში 200-ზე მეტი სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას. ქართველი ოლიმპიელები გამოვიდნენ 1991, 1995 და 1999 წლების ზაფხულის თამაშებში, 2000 წელს ჰოლანდიაში გამართულ ტურნირში და 2001 წლის ამერიკის შეერთებული შტატების ზამთრის ოლიმპიადაში, სადაც სპორტის ექვს სახეობაში 15 ოქროს, 8 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

დღეს საქართველოს სპეციალურ ოლიმპიურ მოძრაობაში გაერთიანებულია 450 სპეციალური ათლეტი. უახლოესი ასპარეზობა 2003 წლის 16-29 ივნისს ირლანდიაში გაიმართება. ორგანიზატორთა განცხადებით, ეს იქნება ყველაზე გრანდიოზული ოლიმპიადა ამ მოძრაობის არსებობის ისტორიაში, რომელშიც 160 ქვეყნის 7 ათასზე მეტი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. მათ შორის იქნება საქართველოს დელეგაციაც. ქართველებმა ირლანდიაში გამგზავრების თადარიგი ადრევე დაიჭირეს და თითქმის ყველა პრობლემა უკვე მოგვარებულია.

ოლიმპიური მოძრაობა ტემპს იკრებს

არჩილ კეკელია: *"ინტენსიურად ვემზადებით. ეს იქნება გრანდიოზული თამაშები. ძირითადი საკითხები გადაწყდა. საქართველოს ოლიმპიურმა ფონდმა სოლიდური თანხა გამოგვიყო, რისთვისაც მადლობას ვუხდი ბადრი პატარკაციშვილს. თუმცა, მხოლოდ ეს თანხა საკმარისი არ იქნებოდა. დიდად გვეხმარება ბრიტანეთის ავიახაზები. ავიაკომპანიამ მნიშვნელოვანი შეღავათები გაგვიწია. სპეციალურ ოლიმპიურ მოძრაობას მთელ მსოფლიოში უდიდეს დახმარებას უწევს არა მარტო ქვეყნის მთავრობა, არამედ კერძო ბიზნესმენები და კომპანიები. კარგია, რომ ასეთი ტენდენცია ჩვენთანაც შეინიშნება. თავად მოძრაობა კი უნიკალური და ჩვენთვისაც ძალიან საინტერესოა. ემბლემა, რომელიც უკვე ყველასთვის ცნობილია, შექმნა ზურაბ წერეთელმა, რისთვისაც იუნის კენედისგან საპატიო დიპლომი მიიღო. მოკლედ, ეს ყოველივე ქართველებისთვის უცხო არ გახლავთ. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ამ მოძრაობაში რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩავრთოთ. საქართველოს სპეციალური ოლიმპიური მოძრაობის პრეზიდენტი, ბატონი ვაჟა ლორთქიფანიძეც, აქტიურად არის ჩართული და დიდ დახმარებას გვიწევს."*

პირველი თამაშები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩიკაგოში 1968 წელს ჩატარდა. ირლანდიის მომავალი ასპარეზობა იმითაც არის საინტერესო, რომ 34 წლის განმავლობაში, ამერიკის შეერთებული შტატების ნაცვლად, სხვა ქვეყანაში იმართება. ოლიმპიადა საზეიმოდ გაიხსნება "კროუკ-პარკში".მასში მონაწილეობას მიიღებს 160 ქვეყნის 7 000 სპორტსმენი, 2000 მწვრთნელი და 1000 ოფიციალური წარმომადგენელი. ჩამოყალიბებულია მოხალისეთა 30-ათასკაციანი ჯგუფი, რომელიც უსასყიდლოდ დაეხმარება საორგანიზაციო კომიტეტს. ასპარეზობას გააშუქებს მასმედიის 2000 წარმომადგენელი. 40-ზე მეტი ქვეყანა კი გადასცემს გახსნის ცერემონიალის პირდაპირ რეპორტაჟს.

რევაზ რევაზიშვილი: *"რა თქმა უნდა, უამრავი პრობლემა შეგვექმნა, მაგრამ დღეს თითქმის ყველაფერი მოგვარებულია. ირლანდიის თამაშების ორგანიზატორებთან ყოველდღიური კონტაქტი გვაქვს. მათ იციან, რომ საქართველოში ამ მოძრაობას ბევრი გულშემატკივარი ჰყავს. თუმცა, სასურველი იქნება, ჩვენს მოძრაობაში უფრო მეტი ცნობილი, პოპულარული ადამიანი ჩაერთოს. სპეციალური ოლიმპიადის ელჩები არიან ნელსონ მანდელა, არნოლდ შვარცენეგერი და სხვა ცნობილი ადამიანები. მოძრაობის წყალობით, ინტელექტდაქვეითებულ და სხვა ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანებს საშუალება ეძლევათ, აქტიურად იცხოვრონ. იზრდება მათი თავდაჯერებულობა და, უბრალოდ, ყოველდღიური აქტივობა."*

ბოლოს კი მოვიტანთ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ციფრს: მთელ მსოფლიოში 326 მილიონზე მეტ ადამიანს აქვს სხვადასხვა სახის გადახრა გონებრივ განვითარებაში. სპეციალური ოლიმპიური მოძრაობა კი თითოეული მათგანისთვის, შესაძლოა, ერთადერთი შანსია ცხოვრებაში.

სათხილამურო სპორტი

დორფმაისტერი სენტ მორიცს კოცნის

REUTERS

მიქაელა დორფმაისტერი

სენტ მორიცში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც 61 ქვეყნის მოთხილამურეები შეიკრიბნენ, ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ასპარეზობის მეორე დღედ ქალთა სუპერ-გიგანტი დათქვეს. წინა დღის მსგავსად, გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ავსტრიელი მოთხილამურე შედგა.

უმთავრესი ასპარეზობის საინაუგურაციო დღეს ავსტრიელ შტეფან ებერჰარტერის მიერ დაწყებულ საქმეს კარგად გაართვა თავი მისმა თანამემამულემ მიქაელა დორფმაისტერმა. ებერჰარტერისგან ესტაფეტის ჩასაბარებლად დორფმაისტერს წამის მეასედები დასჭირდა. ეს პირველი შემთხვევა არ არის, რომ ავსტრიელი მოთხილამურის წარმატება-წარუმატებლობას წამის მეასედები წყვეტს. დორფმაისტერი გამარჯვებასთან ახლოს იყო ნაგანოს ოლიმპიურ თამაშებზეც, მაგრამ მეასედი წამის დანაკლისმა ოლიმპიური ჩემპიონის "ოქრო" ამერიკელ ვარსკვლავს პიკაბო სტრიტს არგუნა. თითქმის ანალოგიური სცენარით წარიმართა მოვლენები ხუთი წლის შემდეგაც. პიკაბო სტრიტზე განაწყენებული დორფმაისტერის რისხვა ამ უკანასკნელის თამამემამულეებს დაატყდათ თავს. თუ კირსტენ კლარკი ავსტრიელს ორი მეასედით ჩამორჩა, ჯონა მენდენსის მაჩვენებელი 15 მეასედს ითვლიდა. გამარჯვებით აღტკინებულმა დორფმაისტერმა კი საკუთარ ემოციებს ფართო გასაქანი მისცა. ფინიშის ხაზთან, საკუთარი თავით კმაყოფილი, ყველაფერს კოცნიდა - თოვლს, თხილამურებს, მშობლებს...

"ბედმა გამიღიმა. გაოგნებული და ძალიან გახარებული ვარ. ნაგანოს თამაშების შემდეგ მამაჩემმა მითხრა, რომ დროთა განმავლობაში წარმატება უკან დაბრუნდებოდა. დღეს სწორედ ამ სიტყვებზე ვფიქრობდი," – სიტყვები არ ჰყოფნის 29 წლის დორფმაისტერს.

ამრიგად, 2,118 მეტრის სიგრძის ენგიადინას ტრასის წუთსა და 27,48 წამში ჩასრიალებით, დორფმაისტერმა შინ, სენტ ანტონოში, ორი წლის წინათ სწრაფდაშვებასა და გიგანტურ სლალომში მსოფლიო ჩემპიონობას სენტმორიცული ოქროს მედალიც დაუმატა. სულ კი ავსტრიელის ყულაბაში 1999 წელს ვეილის (კოლორადო) მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული სუპერ-გიგანტის ბრინჯაო და სწრაფდაშვების ვერცხლის მედალიც ჩხრიალებს. მან შარშანდელ მსოფლიო თასზეც გაიმარჯვა.

რაც შეეხებათ კლარკს და მენდენს, მათთვის სუპერ-გიგანტში დაკავებული, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები კარიერის საუკეთესო მაჩვენებელია. ამაზე კლარკის სიტყვებიც მეტყველებს: "მრავალ მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვსულვარ, ორჯერ ოლიმპიურ თამაშებზეც, მაგრამ პირველი შემთხვევაა, როცა კვარცხლბეკზე ავედი. ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს".

ჩემპიონატს იმედით ეწვივნენ ფრანგებიც. სწრაფდაშვებაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა კაროლ მონტილემ, რომელიც 2001 წლის ოქტომბერში ვარჯიშისას საბედისწეროდ დალეწილი რეჟინ კავანოუს მემკვიდრედ შერაცხეს, მე-14 ადგილი დაიკავა.

სხვათა შორის, კავანოუ ერთადერთია ბოლო ორი წლის მსოფლიო ჩემპიონთაგან, რომელიც სენტ მორიცის ასპარეზობებს გამოაკლდა.

მოულოდნელი იყო ოლიმპიური ჩემპიონის, იტალიელი დანიელა ჩეკარელის წარუმატებლობაც. ის ტრასიდან გადავარდა და შეჯიბრებას გამოეთიშა.

ავსტრიელთა ბანაკში სუპერ-გიგანტის ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალია. ამერიკელთა მონაგარი კი ორ ვერცხლსა და ერთ ბრინჯაოს შეადგენს. აქედან ერთი ვერცხლი საზიაროა, რომელიც წინა დღით ავსტრიელმა ჰერმან მაიერმა და ამერიკელმა ბოდე მილერმა გაიყვეს.

მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორთა მარაქაში, ორი დღის ჯამში, მხოლოდ ავსტრიელები და ამერიკელები არიან.

ფორმულა 1

მარიო ტეისენის ახირება

BMW WilliamsF1 Team-ის ახალი ბოლიდის პრეზენტაციის დასრულებისთანავე BMW Motorsport-ის დირექტორმა მარიო ტეისენმა ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხა. ტეისენმა განაცხადა, რომ ვარაუდობდა FIA-ს მიერ ახალი, არასრულფასოვანი წესების შემოღებას და გუნდებისთვის თავგზის აბნევას, რომლის მიხედვითაც გუნდებს პირდაპირ რბოლის დაწყების წინ შეუძლიათ ძრავის გამოცვლა. ტეისენის ეს განცხადება უცნაურად ჟღერს, რადგან FIA-ს წესებში გარკვევით წერია, რომ კვალიფიკაციის შემდეგ, რბოლის დაწყებამდე, მანქანები პიტ-ლეინის სპეციალურ ზონაში უნდა იდგნენ.

"პრინციპში, FIA-მ ძალიან რადიკალური მოთხოვნები არ წარმოადგინა. მისთვის მთავარი ის არის, რომ შევინარჩუნოთ ძრავის სისტემის ახლანდელი სისტემა. ჩვენს შემთხვევაში ეს იმას ნიშნავს, რომ, ვთქვათ, შაბათის ვარჯიშებისა და ბოლო კვალიფიკაციისთვის ძრავას პარასკევ საღამოს დააყენებენ. შემდეგ კი, უკანასკნელი ვარჯიშისა და უშუალოდ რბოლისთვის, შესაძლებელი იქნება ახალი ძრავის დამონტაჟება", - აცხადებს მარიო ტეისენი.

FIA-ს მიერ 21 იანვარს გამოქვეყნებულ ოფიციალურ პრესრელიზში ნათქვამია, რომ კვალიფიკაციასა და რბოლას შორის მანქანასთან მუშაობა შეიძლება მხოლოდ სტიუარდების მკაცრი კონტროლის ქვეშ. განსაკუთრებულ შემთხვევებში კი საჭირო იქნება სპეციალური გადაწყვეტილება. რა იგულისხმებოდა ამ "განსაკუთრებულ შემთხვევებში", პრესრელიზს არ განუმარტავს, მაგრამ არც იმის ვარაუდი იქნებოდა გამართლებული, რომ FIA წავა ისეთი მნიშვნელოვანი პროცედურის გადახალისებაზე, როგორიც ძრავის შეცვლაა.

უილიამსმა ახალი ბოლიდი წარმოადგინა

"აქამდე ძრავები შაბათის კვალიფიკაციის 12 წრეზე უძლებდნენ 250 კილომეტრს. ახალი მოთხოვნებით კი საკვალიფიკაციო რბოლები შემოიფარგლება მხოლოდ სამი წრით, რომელთაგან ერთი ჩამთვლელი იქნება. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ სპეციალური ძრავა, რომელიც ვარჯიშიდან კვალიფიკაციამდე იმუშავებს. თუმცა, ასეთი ძრავის შექმნა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და პირდაპირ ეწინააღმდეგება 2004 წლის წესებს, როცა მთელი უიქ-ენდის განმავლობაში გუნდებს მხოლოდ ერთი ძრავის გამოყენების უფლება მიეცემათ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ FIA არ დაუშვებს 2003 წლის სეზონში მოვლენების ამგვარ განვითარებას", - აღნიშნა ტეისენმა.

რას ნიშნავს ეს ყველაფერი, არავინ იცის. ან დოქტორ ტეისენს დაავიწყდა ახალი წესების შესახებ FIA-ს კომენტარების წაკითხვა, ან ეს წესები არც ისე თვალსაჩინოა, როგორც უბრალო მოკვდავებს ჰგონიათ. თუმცა, როგორც უნდა ვთქვათ, სეზონის დაწყებამდე ერთი თვეა ...

ფორმულა 1

კლიჩკო უმცროსი ყველასთან მზადაა

უფროსი ძმის, ვიტალი კლიჩკოსი არ იყოს, ბრძოლა სწყურია უმცროს ძმას – ვლადიმირ კლიჩკოსაც. ვლადიმირისთვის მეტოქის შერჩევითაა დაკავებული "Universum Box-Promotion"-ის თავკაცობაც და ერთი ასეთი კანდიდატიც შეურჩევია. თუმცა, რა გამოვა აქედან, ამას მომავალი გვიჩვენებს.

გიგა გურასაშვილი

WBO-ს (ორგანიზაციის) ვერსიით მძიმე წონის მსოფლიოს ჩემპიონის ვლადიმირ კლიჩკოს ერთ-ერთ უმთავრეს მეტოქედ სამხრეთაფრიკელ მოკრივეს, 37 წლის კორი სანდერსს მიიჩნევენ. მართალია, ჯერჯერობით, გარკვეული და დამტკიცებული არაფერია, მაგრამ თუ ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციებით ვიმსჯელებთ, გამორიცხული არ არის, ჰანოვერის მარტის ორთაბრძოლაში სწორედ ეს უკანასკნელნი წარსდგნენ ერთმანეთის პირისპირ. მიუხედავად იმისა, რომ კლიჩკო უმცროსი სანდერსთან ბრძოლის პერსპექტივით მოხიბლული არ არის, მაინც მზადაა, ნებისმიერ მოკრივეს დაუპირისპირდეს. მით უმეტეს, თუ ამას საჭიროებაც მოითხოვს.

"ზუსტად ვერ ვიტყვი, სანდერსი იქნება ჩემი მეტოქე თუ ვინმე სხვა. არც კონტრაქტისთვის მომიწერია ხელი. სურათი ყოველ წუთს შეიძლება შეიცვალოს. ჯერჯერობით, სანდერსის კანდიდატურას განვიხილავთ. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მასთან ბრძოლის კონტრაქტზე ხელი ჯერ არ მომიწერია...

ტიტულის დასაცავად ნებისმიერთან საბრძოლველად მზად ვარ. თუ ვინმე, სხვა კანდიდატთაგანი, ჩემთან პაექრობაზე უარს იტყვის, მაშინ სხვა რა გზა მაქვს - იმას უნდა შევეჭიდო, ვინც ორთაბრძოლაზე თანახმაა", - ძმები კლიჩკოების ვებ-გვერდის საშუალებით ვიგებთ ვლადიმირის მოსაზრებას.

რაც შეეხება უმცროსი კლიჩკოს შესაძლო მეტოქეებს, კარგა ხანია, რაც მათ არჩევენ. თავდაპირველად მიაჩნდათ, რომ ვლადიმირის მეტოქე დავიდ ტუა უნდა ყოფილიყო - ბუნებრივია, რეიტინგის გამო, რომელიც მას კრივის მსოფლიო ორგანიზაციაში აქვს. მაგრამ, საქმე ის არის, რომ ტუას 8 ან 29 მარტს, მატჩ-რევანში აქვს დანიშნული ჰასიმ რაჰმანთან. როდესაც ეს ვარიანტი გამოირიცხა, კლიჩკოების გერმანელმა პრომოუტერმა კლაუს-პეტერ კოლმა სამ მოკრივესთან – კირკ ჯონსონთან, ფრეს ოკენდოსთან და დენი უილიამსთან დაიწყო მოლაპარაკებები. თუმცა, ბოლოს არც აქედან გამოვიდა არაფერი. უფრო სწორად, ვერც ერთმა მათგანმა ვერ დააკმაყოფილა ესა თუ ის მოთხოვნა. რჩევა-რჩევაში კი კოლის ყურადღება მიიპყრო სანდერსმა, რომელიც, მისი თქმით, ძლიერი მოკრივეა.

ვლადიმირ კლიჩკო

სამხრეთაფრიკელზე საკმარის ინფორმაციას ფლობს თავად კლიჩკო: "მისი დაუფასებლობა არ შეიძლება. კარგი, გამოცდილი და დამსახურებული მოკრივეა. ამასთან, მემარცხენე. რაც შეეხება, ასაკს... მზად ვარ, ბევრად დიდებს - მაიკ ტაისონს, ევანდერ ჰოლიფილდსა და ლენოქს ლუისსაც შევხვდე".

რაკი მეტოქის დამსახურება-გამოცდილებაზე კლიჩკო უმცროსიც ამახვილებს ყურადღებას, აქვე ვიტყვით, რომ სანდერსის (მისი სრული სახელი და გვარია კორნელიუს იოჰან სანდერსი) ნათლობა პროფესიულ რინგზე შედგა 1989 წლის აპრილში. პირველ საჩემპიონო ბრძოლაში (ისევე როგორც ეს გიორგი კანდელაკის შემთხვევაში იყო), 1997 წელს, ამერიკელ როს პიურიტს დაუპირისპირდა და WBU-ს (კავშირის) ვაკანტურ ტიტულსაც დაეუფლა. სამი წლის შემდეგ ჰასიმ რაჰმანთან ორთაბრძოლაში, მეშვიდე რაუნდამდე, ზემოხსენებული ტიტულის მატარებელიც იყო, მაგრამ რაჰმანის მუშტებთან ვერაფერი გააწყო და ამ უკანასკნელსაც გამოეთხოვა. ბოლო ბრძოლა კი შარშან, 9 ნოემბერს გამართა და ტექნიკური ნოკაუტით მეორე რაუნდში დასცა WBF-ის (ფედერაციის) ვერსიით ამერიკის ყოფილი ჩემპიონი და იმავე ვერსიით ინტერკონტინენტალის გამარჯვებული ოტის ტისდეილი.

კალენდარი

1941 – დაიბადა ვადიმ გულიაევი. საბჭოთა წყალბურთელი. ევროპის ორგზის ჩემპიონი, 1972 წლის ოლიმპიური ჩემპიონი.

1948 – დაიბადა სვენ გორან ერიქსონი. შვედი მწვრთნელი. ამჟამად წვრთნის ინგლისის ნაკრებს.

ბინები

იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფასი: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სარ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება საკუთარი სახლი ნუცუბიძეზე, საბაგაროსთან. ხეხილის ბაღით და ავტოფარეხით. 39 87 19

იყიდება ერთსართულიანი შენობა ეზოთი. საცხოვრებელი ფართი 56 კვ.მ. ფასი 1500 $. 79 68 75 საღამოს

სასწრაფოდ იყიდება კარგად გარემონტებული 5-ოთახიანი ბინა ვაკეში, II-III სართული. ფასი 75 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება გარემონტებული სამოთახიანი ბინა ა/ფარეხით ფალიაშვილის ქუჩაზე. მე-2 სართული. ს/ფასი 50 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი ბინა ახალ კორპუსში რუსთაველზე, I სკოლასთან. 50 000. 8(99) 51 58 54

მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

კომერც. ფართი

სასწრაფოდ! ქირავდება ფართი საოფისედ მეტრო "რუსთაველის " უკან, "მაკდონალდსის" ეზოში, 120 კვ.მ, I სართ., მუდმივი დენი, ბ/ა. გარემონტებული. ფასი: 400$.

ტელ: 31-41-91 ნუგზარი. 899 974212.

ქირავდება საოფისედ გრიბოედოვზე ბელეტაჟზე ოროთახნახევრიანი იზოლირებული პარკეტიანი, კაფელიანი ბინა. ტელ: 98-86-01

ბინები

ქირა, ბირაო

ქირავდება!
სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

ქირავდება 1, 2 და 3-ოთახიანი ბინები, კეთილმოწყობილი. პარლამენტთან ახლოს. ბესიკის ქუჩა №9-ში. 92 03 85, 99 94 67, 8(93) 33 03 86

ქირავდება 4-ოთახიანი ბინა 2-აივნით, ბუხრით, ახალი გარემონტებული, ბ/აირით, წინამძღვრიშვილზე. 96-10-67

მანქანები

იყიდება „ზაპოროჟეცი“ კაპრემონტით, ძრავის და შუშების გარეშე. ფასი 100 ლარი. 79 68 75 საღამოს

სწავლება

კვალიფიციური თარჯიმანი ამზადებს გერმანულ ენაში უახლესი პროგრამით. სასურველია გქონდეთ კარგი საფუძველი. 39 85 30 ოთარი

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

სხვადასხვა

იყიდება ა/მ გიდრავლიკური დომკრატი 1,5 ტ. ფასი 100 $. 79 68 75 საღამოს

იყიდება ა/მ საშრობი რეფლექტორი 3-ფაზიან დენზე. ფასი 100 ლარი. 79 68 75 საღამოს

იყიდება გაზ-52 სიჩქარეების კოლოფი კარგ მდგომარეობაში. ფასი 30 ლარი. 79 68 75 საღამოს

იყიდება გაზ-2109 შუშების კომპლექტი. 1 კომპლექტის ფასი 20 ლარი. 79 68 75 საღამოს

იყიდება „გოლფის“ დომკრატი და ბიზონის გასაღები ახალი. ფასი 40 ლარი. 79 68 75 საღამოს

შევიძენ 1-ტონიან პლასტმასის ავზს. 899 973993, 899 298705.

იყიდება ახალი, ბელგიური, ფერადი ტყავის სამეულები. 39 38 23

ვისესხებ თანხას ბინის და ავტომანქანის მყარი გარანტიით. 37 96 46

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

ვთარგმნი გერმანულიდან, ინგლისურიდან, რუსულიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს. 75 53 55

იყიდება ნატურალური ღვინო “ოჯალეში, რომელიც არეგულირებს წნევას, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, დევნის შლაკებს ორგანიზმიდან. აგრეთვე რეკომენდირებულია გულ-სისხლძარღვთა და დიაბეტიანი ავადმყოფებისათვის. ფასი 5 ლარი.

ტელ: 52-30-30, 899 181945

ფირმების რეგისტრაცია უმოკლეს ვადაში.
96-17-35
899 16 11 03

აფიშა

თეატრები

რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია

ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი “ჩემი გაზაფხულის შემოდგომა”

დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

თეატრალური სარდაფი

“ინსტინქტი”, რეჟ. ოთარ ეგაძე

დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

თავისუფალი თეატრი

“ჭინსების თაობა (დაგვიანებული რექვიემი)”, რეჟ. დათო დოიაშვილი

დას: 19:00 სთ; ფასი 3,7,10 ლარი

საბავშვო დარბაზები

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი

მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

„ძარვასლა„

ფოტოგამოფენა ფოკის მამათა მონასტრის დასახმარებლად

ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეა

ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა “ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ”

კინოთეატრები

„ამირანი„

“ბეჭდების მბრძანებელი”, რეჟ. პიტერ ჯექსონი

დას: 10:30; 14:00; 17:30; 21:00 სთ; ფასი 5,6,9,10 ლარი

„რუსთაველი„

“ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს”, რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი

დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი

“ტრანსპორტერი”

დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

„ელისო„

“ტრანსპორტერი”

დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი

“ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს”, რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი

დას: 17:00; 21:30სთ; ფასი 5 ლარი

ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი (გუდიაშვილის 10)

რუდოლფ ნურიევის ხსოვნისადმი მიძღვნილი ვიდეოჩვენება “მძინარე მზეთუნახავი”, პარიზის ოპერის ბალეტის ვარსკვლავების შესრულებით

დას: 18:00 სთ

TV პროგრამა 5 თებერვალი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ძალთა ქვეყანა“
10.40 სერიალი „ალფი“
11.10 ვის უნდა ოცი ათასი?
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „მაცდური სიყვარული“
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ძალთა ქვეყანა“
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
18.50 სერიალი „ლეგენდა დაკარგულ ძალაზე“
19.30 სერიალი „მედისონის სკოლა“
20.05 სერიალი „მაცდური სიყვარული“
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „სისხლის ალება“ მთ. როლებში სოფი ლორენი, მარჩელო მასტროიანი
02.30 კლასიკა

პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „უკანასკნელი ნაკრძალი“
10.15 მხ. ფილმი „შეხვედრების ადგილი უცვლელია“ მე-3 სერია
11.30 დოკ. სერიალი „აფრიკის ბუნების დიდებულება“
12.00, 15.00, 20.00 მოამგე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.00 „ნაშუადღევს“
14.05 ქართული ენის გაკვეთილი
14.35 „ზღვარი“
15.15 მხ. ფილმი „სიკვდილის მაცნე“
17.00 დოკ. სერიალი „მოდა ყველასათვის“
17.20 50-50
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ავიაშოუ“
18.30 გასტრ-ბუბუ
18.50 „ისტორიანი“
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
20.55 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
21.45 „ჰოლივუდის ვარსკვლავები“ (ჯინ ჰეკმანი)
22.10 ირმა ნიორაძე
23.00 „დღის გოლოს“
00.00 მხ. ფილმი „მიზანი - დედამიწა“

JSTV პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმეორებით რუსული მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „ერთი მშვენიერი დღე“
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 ქართულ-უცხოური მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 პა-ს-ეანი
23.00 ჩაძიროგანა
00.00 ფილმი გრავო „მომკალი მოგვიანებით“
01.45 ფილმი ღამურა „დაკარგული სამარხი“
03.45 პაუზის გარეშე

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამგე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები“
20.30 და არს მუსიკა
21.00 დოკ. ფილმი
21.30 წარსულის ტერიტორია
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „განყენების მომენტი“

იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.25, 10.15, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
09.30 მხ. ფილმი „კაფე მამგო“
10.20 მხ.ფ. „ბარი ლინდონი“
12.20 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი (განმეორებით)
13.10 დოკ. სერიალი „ექსპედიცია“
14.10 დოკ. ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია“
18.45 ბუნების ფერები
19.45 გადაცემა - მურადა
20.00 მხ.ფ. „სისი, მოხიბლავი პრინცესა“
22.15 მხ.ფ. „დამნაშავე“
00.30 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „შურისგების მუშტი“
13.30 მხ. ფილმი „განგსტერთა ბრძოლები“
15.00 მხ. ფილმი „უკეთესად არ არსებობს“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „ლტოლვილი მატარებელი“
19.20 სპეშტრი
21.00 მხ. ფილმი „რებენერატორი“
22.30 მხ. ფილმი „ფიორინა“

მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.40 მულტფილმი „ტომი და ჯერი“
10.00, 11.50, 14.20, 17.20, 19.50, 21.50, 23.40 მუსიკა
10.10 მხ. სერიალი „ყრმა სახელად იესო“
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი.“
12.50 მხ. ფილმი „გილიარდომანები“
14.45 მულტფილმი „ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები“
15.10 დოკ. სერიალი „ეს ცეკვაა“
15.40 მხ. ფილმი „კარიერა“
17.45 მხ. სერიალი „ყრმა სახელად იესო“ მე-2 სერია
18.40 მულტფილმი „ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები“ მე-3 სერია
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“ 108-ე სერია
20.00 დოკ. ფილმი „პალიტრა“ ფრანგი მხატვრები - ანრი მატისი
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი.“
22.00 მხ. ფილმი „მეთვალყურე“
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი“ მე-3 სერია
00.45 მხ. ფილმი „სიღრმეში“

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაჯესტი
08.30 მუსიკა
09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
09.30 მუსიკა
10.00 საბავშვო ფილმი „მთის მეფე“
12.15 ფანტასტიკა „დევნილი“
14.20 კომედია „არაფერი მესმის, ვერაფერს ვხედავ“
16.10 მულტფილმი
17.55 მხატვრული ფილმი „ძაღლი თივაზე“ 1 სერია
19.15, 22.30, 00.30 „ნოვოსტი“
19.25, 22.45, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.35 მხატვრული ფილმი „ძაღლი თივაზე“ 2 სერია
21.15 დოკუმენტური ფილმი „ეგვიპტე“
22.00, 00.00 „დღეს“
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
22.55, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.00 „ალტერნატივა“
01.10 მხატვრული ფილმი „ვეფხვების ქვეყანა“
03.30 მელოდრამა „სასიყვარულო გატაცება“

VII არხი

09.25 „აჩიკუდა“
09.50 „სახლიდან გაუსვლელად“ -აუდიო-ვიდეო-ტელე
10.30 სპორტული პრობგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა -განმეორებით
11.05 „სახლიდან გაუსვლელად“ -კომპიუტერული ტექნიკა
11.45 „ბიორითმი“ - ფილიპ კირკოროვი.
12.05 „სახლიდან გაუსვლელად“ -მოგილურები
12.45 დისნეი და მისი მეგობრები
13.15 „სახლიდან გაუსვლელად“
13.45 სპორტი
18.20 „სახლიდან გაუსვლელად“ - აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა“
19.40 „სახლიდან გაუსვლელად“ - მოგილურები
20.20 სპორტული პრობგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.00 „ლა-ლა-ლა“
21.55 „სახლიდან გაუსვლელად“ - კომპიუტერული ტექნიკა
22.35 „კინოლუბი „ - „ლრუბლებში გასეირნება“.
00.15 „სახლიდან გაუსვლელად“ - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
00.45 „ბიორითმი“ - ფილიპ კირკოროვი.

ОРТ

07.00 „Доброе утро!“
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал „Земля любви, земля надежды“
11.10 Сериал „ЕРМАК“
12.05 „Кумиры“. И.Кваша
12.35 Дисней-клуб: „Ллойд в космосе“
13.15 Худ. фильм „ТЕМНАЯ ЛОШАДКА“
15.00 „Новый день“. „Искатели“. Северная Атлантида
15.30 „Новый день“. Подводный мир А. Макаревича
16.15 Док. сериал „Дикие штучки“
16.55 Худ.фильм „Русские в Городе Ангелов“
18.00 „Большая стирка“
19.30 „Смехопанорама“
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“
21.00 „Русская рулетка“
22.00, 00.30 Время
22.40 Худ.фильм „Русские в Городе Ангелов“
23.45 Док.фильм „Потаенные годы Иисуса“. 1-я с.
00.50 „Новый день“. „Вундеркинды. Обгоняя время“
01.20 „Новый день“. „Русский экстрим“
01.50 „Апология“
02.55 Боевик „Неудержимый“. „ОТРЯД“

РТР

06.45 Доброе утро России!
09.45 Сериал „Леди босс“
10.35 Сериал „СЕМНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ВЕСНЫ“
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Сериал „Пуаро Агаты Кристи. похищение премьер-имнистра“
13.20 Худ.фильм „Крестоносцы“
14.15, 17.45 Экспертиза
14.30 Москва-Минск
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина“
16.10 Сериал „Трое против всех“
17.15 Сериал „Простые истины“
18.20, 03.30 Дорожный патруль
18.35, 00.50 Вести-спорт
18.45, 20.50 Вести. Дежурная часть
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс“
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Леди босс“
22.50 Сериал „СЕМНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ВЕСНЫ“
23.50 „Вести +“
00.55 Худ.фильм „в городе сочи темные ночи“

НТВ

09.35 Утро на НТВ
10.05 Сериал „Скорая помощь 6“
11.00 Сегодня утром
11.25 „Очная ставка“. „Убитая любовь“
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Шоу Е. Степаненко“
13.05 Детектив „ТАЙНА ЗАПИСНОЙ КНИЖКИ“
14.45 Криминал
15.05 Путешествия натуралиста
15.35 Детектив „Она написала убийство“
16.30 „Соседи: друзья или враги!“. Ток-шоу „Принцип „Домино“
18.10 Сериал „Кодекс чести“
19.15 Чистосердечное признание
20.40, 00.15 „ТАЙНЫ СЛЕДСТВИЯ: МЯГКАЯ ЛАПА СМЕРТИ“
21.50 Сериал „Кодекс чести“
23.00 „Сегодня вечером“
23.35 Сериал „Секс в большом городе“
01.20 Гордон
02.15 Сериал „Солдаты удачи“
03.05 Ночь.



ალაჰის ქალები

ხათუნა ხაბულიანი

შირინ ნეშატის ნამუშევრები უმეტეს შემთხვევაში ადვილად საცნობია - ეს არის ნაწილობრივ ჩადრით დაფარული ქალის სახე ზედ გადაწერილი სპარსული ტექსტით. იმათთვის, ვისთვისაც უცნობია ირანული კალიგრაფია, ეს დეკორატიული მაქმანი ემოციის მომგვრელ ხიბლად რჩება. კონცეპტუალური უწყებების მთარგმნელებისათვის ის ზღუდეა, რომელიც სტერეოტიპებს მიღმა არსებულ უცნობ სამყაროზე მიუთითებს. შირინ ნეშატმა ერთ ინტერვიუში თქვა, რომ თვით ჩადრთან დაკავშირებული ასოციაციები ქმნიან ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სტერეოტიპს ისლამური სამყაროს მიერ "დაჩაგრულ" სქესზე, რომ არსებობს მეორე მოსაზრებაც ჩადრის სასარგებლოდ - ის, ერთგვარად, იცავს ქალს ძალადობრივი იმპულსებისაგან, რადგან მალავს მის სხეულს - სურვილის ობიექტს. არასწორხაზოვნება არის, ალბათ, მთავარი ღირსება ნეშატის ფოტოებისა, რომლებიც სთავაზობენ მნახველს სხვა, პარალელურად არსებულ ინფორმაციას, სადაც ყველაფერი უფრო ღრმა და რთულია, ვიდრე ადვილად მისაღებ კლიშეებში.

შირინ ნეშატი - დღეისათვის აღიარებული ფოტოხელოვანი და ვიდეო ფილმების ავტორი დაიბადა 1957 წელს ყაზვინში (ირანი), ცხოვრობს ნიუ იორკში, შესაბამისად მისთვის აქტუალურია ირანული კულტურაცა და უფრო ფართო რეალობაც, რომელიც დისტანციიდან რეაგირებს სრულიად უცნობსა და განსხვავებულ "ისლამურ სამყაროზე", უმეტესად მარტივი განმარტებებით.

"მწერლის მსგავსად, მე შევქმენი ჩემი ლექსიკონი - ჩადრი, სხეული, ტექსტი, იარაღი (ცეცხლსასროლი) და შემდეგ გავაგრძელე იმპროვიზაცია ამ ჩარჩოს შიგნით".

გრაფიკული ტექსტის ნაჭრები ყველაზე მძაფრი ელემენტებია ამ ფოტოებზე, სადაც ავტორი ენიგმით ეთამაშება გარე სამყაროს. თვით ამ ენიგმამ აქცია შირინ ნეშატიც ფოტოხელოვანად: "ჩემი, როგორც ფოტოგრაფის განვითარება დაიწყო, როგორც გამოხმაურება თანამედროვე ირანელი ქალების მწერლობაზე. ეს სახეები გამკვეთრებული იყო იმ სულიერი და ემოციური თვისებებით, რომელთაც ვკითხულობდი ამ ქალების სიტყვებში. აქ აღმოვაჩინე, რომ მათი კომუნიკაციური სისტემა - მათი



ჩადრიანი ქალები ნეშატის არქივიდან.

პერსონალური და საზოგადოებრივი ცხოვრების მდგომარეობის გამოხატვა მსგავსი იყო ჩემი სისტემისა - მინიმალისტური, ემოციური, რთული, მაგრამ დაწნეხილი." საკუთარ მხატვრულ სახეებს ნეშატი ამ პოეტი ქალების სიტყვების ვიზუალიზაციას უწოდებს. ეს ტექსტები, რომლებიც საგნისა, თუ მოვლენის არსზე მიუთითებენ, ძირითადად, ორ კონკრეტულ ავტორს ეკუთვნის. მათგან ერთი ფორუღ ფაროჰზადია, რომელიც ითვლება ერთ-ერთ უდიდეს პოეტად ირანულ ლიტერატურაში (გარდაიცვალა 30-იან წლებში). ნეშატისათვის ინსპირაციის და გამბედაობის გამომწვევია მისი ნაწერები, უკიდურესად პირადული, გახსნილი თავისი სურვილებით, ვნებებითა თუ სასოწარკვეთით და ასოცირდება ქალის თვითგანცდასთან ირანულ კულტურაში. მეორე ირანელი პოეტი ქალი, რომელმაც ასევე დიდი გავლენა მოახდინა შირინ ნეშატის შემოქმედებაზე, განსაკუთრებით სერიაზე "ალაჰის ქალები", - არის თაჰერეჰ საფარზადე, რომლის პოეზია "ფორუღის თემების საწინააღმდეგოდ რელიგიურია და ნაკლებად გამოხატავს მის პიროვნულ სამყაროს." თაჰერეჰ საფარზადეს ჰქონდა დასავლური განათლება და ინტენსიურად იყო ჩართული ისლამურ რევოლუციაში. იგი მხარს უჭერდა ისლამურ იდეოლოგიას და კომუნის უპირატესობას ინდივიდუმის საწინააღმდეგოდ. აქ ნეშატს განსაკუთრებით ხიბლავს რელიგიური რწმენის ვნებიანი გამოხატვა, რომელიც "ემოციური და უკიდურესად ფემინურია."

ერთ-ერთ ფოტოზე სერიიდან "ალაჰის ქალები" ავტორი აჩვენებს ქალებს ევროპული ფერწერული ლანდშაფტის ფონზე, რომლებიც საუბრობენ იმ რომანტიკული მიმზიდველობის შესახებ, რომელიც ერთ დროს ჰქონდათ მუსულმანებს დასავლური სამყაროს მიმართ და ევროპელებს ისლამური სამყაროსადმი. ამ სახეებით ნეშატი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რაც "ერთ დროს მშვენიერი იყო და ახლა აჩრდილად იქცა, რაც სიამოვნებაზე მიანიშნებდა და ახლა შიშს იწვევს".

ჩადრიანი ქალები ტექსტის ვუალით, წარწერებიანი ხელებით და ზოგჯერ იარაღითაც, რა თქმა უნდა, "ეწინააღმდეგება კოლონიალისტურ წარმოდგენებს აღმოსავლეთის ქალებზე, როგორც ეგზოტიკურ საკუთრებაზე, ეროტიკულ ობიექტსა და მორჩილ ქმნილებებზე. ეწინააღმდეგება იმიჯებს, რომლებიც შექმნილია ტრადიციული დამახინჯებებით, რომლებიც მოდის დელაკრუასა და მატისის ტილოებიდან." (ოქტავიო ზაია. "ინტერზონები") ნეშატისათვის საინტერესოა სწორედ ეს პარადოქსი, სადაც "ალაჰის ქალები" ერთი მხრივ ტიპურ "ორიენტალისტურ სტერეოტიპს" ეთანხმებიან – ერთი მხრივ, მაცდური, ეროტიკული, უცოდველი და, მეორე მხრივ, შეიარაღებული, აგრესიული. თავისი სამუშაოთი ნეშატი მიიჩნევს, რომ განმარტავს თანამედროვე ისლამის საგანს, "ძალადობის" ფენომენს, რომელიც ისტორიულად არის დაკავშირებული მუსულმანობასთან. როგორც თვითონ ამბობს: "ეს არ არის ძალადობის განდიდება, არამედ ერთგვარი კომუნიკაცია საწყისებისა და სირთულეებთან ამ ძალადობის მიღმა და არც "რადიკალური ხიბლის" რეკლამირებაა ძალადობასთან დაკავშირებული ისლამის ქალების ჩვენებით".

კალეიდოსკოპი

სპეისი ბრიტანული მისიით

გაზეთ "თაიმსის" ცნობით, ორი "ოსკარის" მფლობელ კევინ სპეისს ლონდონის ცნობილი თეატრის "ოლდ ვიკის" მხატვრულ ხელმძღვანელად ნიშნავენ. ამ ცნობის დადასტურებას ბრიტანელი ჟურნალისტები თეატრის თავმჯდომარისგან, სერ ელტონ ჯონისგან დღესვე ელიან. პრესის ვარაუდით, სპეისის "ოლდ ვიკში" ექვსციფრა ხელფასი შესთავაზეს და მსახიობიც დათანხმდა. ამჟამად თეატრს, რომელსაც უწინ სერ ჯონათან მილერი და სერ პიტერ ჰოლი უდგნენ სათავეში, დირექტორი არ ჰყავს.

ლონდონელებს იმედი აქვთ, რომ სპეისი 180 წლის თეატრს კრიზისისგან იხსნის. "ოლდ ვიკი" ხომ დანგრევისა და გაუქმებისგან 1998 წელს იმპრესარიომ სალი გრინმა გადაარჩინა. თუმცა, პრობლემა ბოლომდე მაინც არ მოგვარებულა. მხოლოდ წვიმებისა და წლებისგან დაზიანებული სახურავის შეკეთებას 350 ათასი გირვანქა სტერლინგი სჭირდება.

სპეისი კი, რომელიც სალი გრინმა პირველად ეუგენ ო'ნილის პიესაში *The Iceman Cometh* აღმოაჩინა, თეატრის გადასარჩენად დირექტორად დანიშვნამდეც იღწვოდა. ის გახლდათ რწმუნებულთა საბჭოს წევრი, რეგულარულად ესწრებოდა შეხვედრებს და ხშირად მართავდა საქველმოქმედო საღამოებს "ოლდ ვიკის" დასახსნელად. ასეთი საღამო ნიუ იორკში ამ ზაფხულსაც გაიმართა.

სულ შესაგროვებელი 10 მილიონი გირვანქა სტერლინგია. ფონდის შესავსებად "ოლდ ვიკის" მესვეურები აპირებენ, დადგან გახმაურებული ფილმის "ბილი ელიოტის" თეატრალური ვერსია. ფილმი, რომელსაც ქართველი მაყურებელიც კარგად იცნობს, მოგვითხრობს მეშახტის ვაჟიშვილის ისტორიას, რომელსაც სურს, ბალეტის მოცეკვავე გახდეს. "ბილი ელიოტისთვის" სიმღერები ელტონ ჯონმა დაწერა.

მერილ სტრიპი "ოსკარს" ამახელს

"მგონი, საგანგაშო სიტუაციაა შექმნილი: "ოსკართან" მთელი ეს დაკავშირებული კამპანია პოლიტიკურ ბატალიებს დაემსგავსა. ალბათ, შორს არ არის ის დრო, როდესაც საუკეთესო ფილმის, მსახიობის და დანარჩენი ნომინაციებისთვის ტელეეთერში რეკლამებსაც გაუშვებენ. საშინელი უგემოვნობაა", - აცხადებს მერილ სტრიპი. თუმცა, ამერიკული კინემატორაფის ამ ტრადიციული ცერემონიალის ასე უარყოფითად შეფასების მიუხედავად, სტრიპს წელსაც აქვს შანსი, ორიდან ერთი "ოსკარი" მაინც მოიპოვოს. ის წარდგენილია საუკეთესო მსახიობის ნომინაციაში ფილმისთვის "საათები" და საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლისთვის ფილმში "ადაპტაცია".

საერთოდაც, მსახიობს კინო-აკადემიის პოპულარულ ცერემონიალთან განსაკუთრებული მოგონებები აკავშირებს. ის მთელი კინო-კარიერის განმავლობაში "ოსკარზე" 12-ჯერ იყო წარდგენილი, მაგრამ მხოლოდ ორის მოპოვება შეძლო, ფილმებისთვის: "კრამერი კრამერის წინააღმდეგ" და "სოფის არჩევანი". წელს კი, მას შანსი აქვს, რეკორდული ნომინაციების განხრით ლიდერს – ქეთრინ ჰეპბერნს გადაუსწროს.

რასელ ქროუს ახალი როლი

"მშვენიერი გონების" რეჟისორი რონ ჰოვარდი რასელ ქროუსთან ერთად მორიგი ფილმის გადაღებას აპირებს. დრამა Cinderella Man ამერიკული დეპრესიის პერიოდსა და ფოლკ-გმირად ქცეულ მოკრივეზე, ჯიმ ბრედოკზე მოგვითხრობს. მან ხომ 1935 წელს მძიმეწონიანთა შორის ჩემპიონი მაქს ბერი 15 რაუნდიან სასტიკ ბრძოლაში დაამარცხა. ასე რომ, რასელ ქროუს წინ მძაფრი სიუჟეტებით დატვირთული ფილმი ელის. თუმცა, ამ პროექტის დაწყებამდე მსახიობი საკუთარი სურათის გადაღებაზე იზრუნებს. ჯონ ჰეპუორტის რომანის მიხედვით დაგეგმილი ფილმი, "გრძელი, მწვანე ნაპირი" რასელ ქროუს სარეჟისორო დებიუტი იქნება.

სადაც იცხოვრებს ნატო

თამარ ბაბუაძე

არავინ იცის, რეალურად რა იქნება 2008 წელს. დაგეგმვით კი, ამ დროისთვის ჯერ გრანდიოზული ნგრევა იგეგმება, შემდეგ კი გრანდიოზული შენება. ანუ, ერთგვარი არქიტექტურული პრემიერა, რომელსაც თანაბარი ინტერესით ელიან, როგორც პოლიტიკოსები, ისე ჟურნალისტები და ხელოვანები. ამ წელს, ბრიუსელში, ნატო-ს ძველი შტაბ-ბინის მეზობლად ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ახალი, ულტრათანამედროვე შენობა გაიხსნება; გამარჯვებული დიზაინი 23 იანვარს გამოვლინდა. გაზეთ "გარდიანში" კი ერთი შეხედვით პროვოკაციული კითხვა პროექტის ავტორის შესახებ ორიოდე დღის წინ დაისვა:

SOM – გახლავთ აბრევიატურა ფირმისა "სკიდმორი, ოუნინგსი და მერილი", რომელიც ახალი საუკუნის უმნიშვნელოვანეს მშენებლობას გაუძღვება. ფირმა ამერიკულია. "გარდიანის" პროვოკაციული თუ რიტორიკული კითხვის მიზეზიც სწორედ ეს – მისი "ნაციონალობა" გახლავთ. "როგორც იქნა, ნატო-ს ახალი შტაბ-ბინა ექნება, მაგრამ საკითხავია, უნდა დააპროექტოს თუ არა ის ამერიკამ – ამ ძველმა იანკურმა ფირმამ? ნატოს ხომ ხშირად, გაეროს მსგავსად, აშშ-ს საგარეო პოლიტიკის რუპორობას აბრალებენ. ამიტომაც გაისმის განგაშის ზარი, როდესაც ნატო-სთან მიმართებაში ამერიკულ SOM-ს ახსენებენ", - აღნიშნულია წერილში.

თუმცა, ცნობილი არქიტექტორებითა და ნატო-ს წამყვანი სპეციალისტებით დაკომპლექტებულ ჟიურის საკუთარი გადაწყვეტილების სამართლიანობაში ეჭვი არ ეპარება. SOM-ი ააგებს შენობას, რომელიც "ბრიუსელის არქიტექტურული პეიზაჟის განმსაზღვრელი ნაწილი იქნება. მისი მოდერნისტული ფორმები, ერთმანეთში ჰარმონიულად გარდამავალი ხაზები ნატო-ს თანამედროვეობისა და ეფექტურობის სიმბოლო უნდა გახდეს" – იმედი აქვთ ჟიურის წევრებს. SOM-ის წარმომადგენლები კი აცხადებენ: "ჩვენი სამგანზომილებიანი შენობა ამ კომპლექსური ორგანიზაციის ნამდვილი გამოვლინება იქნება".

ამ არიქტექტურულ ფირმას, რომელიც ამერიკაში 1936 წელს დაფუძნდა, დღეს უკვე 50-მდე ქვეყანაში არქიტექტურის, ინტერიერის თუ ურბანული დიზაინის განხრით ათი ათასამდე პროექტი აქვს განხორციელებული. როგორც გამარჯვებული პროექტის ავტორს, ჩრდილო-ატლანტიკურმა ალიანსმა მას 200 ათასი ევრო გადასცა. რამდენიმე წელიწადში დასრულდება ყველა წინასწარი სამუშაო და 2008 წელს ალიანსს უკვე ახალ და ლამაზ შენობაში გადაასახლებენ.



ნატო-ს ახალი შტაბ-ბინის გამარჯვებული პროექტი.

დღესდღეობით კი ორგანიზაცია მოთავსებულია 1967 წელს აგებულ შტაბ-ბინაში, რომელშიც ის მაშინ მხოლოდ დროებით, 3-5 წლით შეასახლეს. თუმცა, მას შემდეგ 35 წელი გავიდა და ნატო კვლავაც ამ დროებით შენობაში ცხოვრობს. ორგანიზაცია კი სულ უფრო ფართოვდება და მას ახალი შენობა სჭირდება – ისეთი, რომელიც ბოლო ხანს აგორებული ანტიტერორისტული ტალღის გამო გაჩენილ უსაფრთხოების მოთხოვნებსაც დააკმაყოფილებს. გამარჯვებულ პროექტში შედის: მუდმივი პერსონალის ულტრათანამედროვე ოფისები, სამხედრო წარმომადგენლობების, დელეგაციებისა და პარტნიორი ქვეყნების მისიების რეზიდენციები, საკონფერენციო პალატები, სრულყოფილი საკომუნიკაციო სისტემა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ქსელი, რესტორნები, ბანკები, მაღაზიები და სპორტ-კლუბები. ერთი სიტყვით, ის სრული კომფორტით იქნება აღჭურვილი.

რაც შეეხება დიზაინს, ზოგი მას "ვარსკვლავეთის ომების" შთაგონებით შექმნილს უწოდებს. მართლაც, ავანგარდული ფორმები, შუშის კედლები, უსწორმასწორო, მაღალი ჭერი, ლაპლაპა ფილებიანი იატაკი – ეს ყველაფერი ისეთ განცდას ბადებს, თითქოს, ფანტასტიკური ჟანრის ფილმს ვუცქერდეთ და არა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შტაბ-ბინას. ეს იმიტომ, რომ მას თანამედროვე ბაროკოს სტილში ააგებენ. არადა, როგორც ვარაუდობდნენ, ნატო-ს შენობა უნდა ყოფილიყო "მკაცრი, სერიოზული, მშვიდი, ალიანსის განსაკუთრებული ფუნქციის გამომხატველი". შესაძლოა, ამ გარემოს მკაცრი და ცივი იერი მართლაც ჰქონდეს, მაგრამ არა ბოლომდე საქმიანი – ასეთ შენობაში მოხვედრილ კაცს, იგივე ნატო-ს ექსპანსიის თუ ანტი-ტერორისტული ომის მაგიერ, პირველ რიგში ჯორჯ ლუკასის ჰიტი-ფილმი მოაგონდება. თუმცა, ვინ იცის, შესაძლოა, ულტრათანამედროვე იმიჯის შექმნისთვის ასეც ჯობდეს.

კიდევ ერთი საინტერესო ამბავი: SOM-ი აპირებს პროექტში ჩართოს არქიტექტორთა და დიზაინერთა საერთაშორისო გუნდი. ეს მულტინაციონალურობა კი თავად ნატო-ს შემადგენლობისა და მისი ღირებულებების სიმბოლოდაც გამოდგება.

ამგვარი სიმბოლიკა ევროპელებისთვის კიდევ მისაღებია. მათთვის მთავარია, ნატო თავისი შტაბ-ბინითაც აშშ-ს საგარეო პოლიტიკის თუ გლობალური ბიზნესის გამომხატველი არ გახდეს.

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მინებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

ფაუერლინ-ქლა

სრულიად ახალი სიტყვა ბუნებრივი საკვები დანამატების წარმოებაში!

მსოფლიოში ცნობილმა ინგლისურ-შვეიცარიულმა კომპანია "სვისჰელსმა" მრავალწლიანი მეცნიერული კვლევის საფუძველზე განსაკუთრებული ტექნოლოგიის გამოყენებით შექმნა დიეტური დანამატი, "ფაუერლინ--ქლა", რომელიც სრულიად ბუნებრივი და ჯანსაღი პროდუქტია და მას უნიკალური თერაპიული თვისებები აქვს: აწერებს მჯირდის, პროსტატისა და სხვა სიმსივნური წარმონაქმნების განვითარებას, მაქსიმალურად აძლიერებს იმუნურ სისტემას, ამცირებს "ცუდი" ქოლესტერინის დონეს, ხელს უშლის აორტის ათეროსკლეროზისა და გულისსისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას, შეუძლია დიაბეტის სანყისი ეტაპის შეჩერება, ცხიმოვან ქსოვილს უცხიმო ქსოვილად გარდაქმნის, არ აძლევს ცხიმის უჯრედს ზრდის საშუალებას, ეხმარება ორგანიზმს ნაღები რადიაქტიურობის საკუთხიდან მეტი ეფექტის მიღებაში, სწრაფად იწვევს მაძღრობას, ხელს უწყობს კუნთის ზრდას, აძყრვებს სხეულს.

მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები მას უმაღლეს შეფასებას აძლევენ.

"ფაუერლინ-ქლა" არ არის ტოქსიკური დიდი დოზების მიღების შემთხვევაშიც.

იგი უალრესად პოპულარულია მსოფლიოს ყველა ელიტარულ კლუბში!

შეიძინეთ: "აფრასის", GPC (ვი-პი-სი) ბაზებსა და სხვა აფთიაქებში. "სპისჰელსის" ექსკლუზიური დისტრიბუტორი კომპანია "ფლორენი", ტელ. 93-87-37.

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გაწევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების დარგებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ პრივატთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ეკონომიკანაწნობებია თავმოყრილი. პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 3 აპრილი.

MBA მარკეტინგი / ფინანსები / IT
ოპერაციონალი კომერცია / HRM
პროექტის მენეჯმენტი

MSc საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული ხარისხის ფასი $5950

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების დარგებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა 10 950$ (£ 6760 ეკვივალენტი).
3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებით 1000$-ის (£ 1000) გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიგარ მუსაბეკოვას, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის მიმღებ განყოფილებაში
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან ადგილობრივ წარმომადგენელს: ნონა მესხიშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

დაზღვეულია ბრიტანეთში

მშენებარე სახლი პეტრიაშვილის ქუჩაზე

არაყიშვილის ქ. №14 ტელ: 25 34 34 91 25 34 91 25 33

შენობის მშენებლობა დაიწყება სამშაბათს და დასრულდება სანამ ბოლო სახლის მფლობელი

- ■ საჭირო მოხმარების ფარიის მოწვდა-დასუფთავება
- ■ ავტომანქანის რემონტი
- ■ ტექნიკური მოხსახურება
- ■ ნაგვის გატანა

ერთი წლის განმავლობაში დაცვის სამსახურის, სანიტარული და ტექნიკური მოხსახურების ხარჯებს უზრუნველყოფს კომპანია აქსისი

ელ.ფოსტა: axis@axisbuilding.com

აქსისი AXIS

- ■ ქსტერიერზე მალალი ხარისხის მეტალოპლასტიკის კარ-ფანჯარა ორმაგი შემინვით და ალუმინის დამცავებით
- ■ ტიხრები ამოყვანილი აგურით თქვენს მიერ შერჩეული გეგმარების მიხედვით
- ■ გათბობის ინდივიდუალური სისტემა
- ■ კედლების მალალი ხარისხის ღებვა გაჯით
- ■ იატაკი მოჭიმული
- ■ ნართული კომუნიკაციები
- ■ ავტომატიკით, დისტანციური მართვის პარით
- ■ დაცვის აუდიო და ვიდეო სისტემები

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

Visage

ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მალალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLI ENGINEERING

მიკროკრისტალურ დერმაბრაზიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმქამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

დალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52